იურიდიული დახმარების სამსახური

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

Legal Aid Service

MINISTRY OF CORRECTIONS AND LEGAL ASSISTANCE OF GEORGIA

# წლიური ანგარიში
# ANNUAL REPORT

# 2010



# წლიური ანგარიში
# 2010 ANNUAL REPORT

## იურიდიული დახმარების სამსახური
საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

## LEGAL AID SERVICE
MINISTRY OF CORRECTIONS AND LEGAL ASSISTANCE OF GEORGIA

UNDP Georgia

გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

Published with financial support of the United Nations Development Programme (UNDP) Georgia.

The views expressed in this publication are those of the author and do not necessarily represent those of the United Nations or UNDP.

თბილისი 2011 TBILISI

# დირექტორის მიმართვა
# DIRECTOR'S ADDRESS

2010 წელი იურიდიული დახმარების სამსახურისთვის ახალი გამოწვევებისა და მნიშვნელოვანი წარმატებების წელი იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებით იმ მიზნებს, რომლებიც 2009 წელს, ხუთწლიანი სტრატეგიის ფარგლებში დავისახეთ. ეს მიზნებია: უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა და მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება, ასევე საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და სამსახურის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

გამოწვევებზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედება და იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაზრდა. მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებულმა ახალმა საპროცესო კანონმდებლობამ მნიშვნელოვნად გაზარდა ადვოკატის როლი სისხლის სამართლის პროცესში. პატიმრობის ახალმა კოდექსმა კი უფასო იურიდიული დახმარება გაითვალისწინა იმ პატიმრებისათვის, რომელთა მიმართ ხორციელდება დისციპლინური სამართალწარმოება.

გარდა მანდატისა, გაიზარდა იურიდიული დახმარების სამსახურის სამოქმედო სივრცეც, რომელმაც სამცხე-ჯავახეთის მრავალეთნიკური რეგიონიც მოიცვა. ახალციხეში – იურიდიული დახმარების ბიურო, ხოლო ახალქალაქში საკონსულტაციო ცენტრი ამოქმედდა. გარდა ამისა, გაუმჯობესდა სამსახურის ინფრასტრუქტურა. კერძოდ, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის ბიუროებმა ფუნქციონირება განაგრძეს თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ ოფისებში, რამაც გააუმჯობესა სამუშაო გარემო.

სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის გამართული ფუნქციონირება. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 2010 წელს, არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, გაიზარდა რეესტრის ადვოკატთა ანაზღაურების ოდენობები.

მაღალი ხარისხის იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის მიზნით, დიდი ყურადღება დაეთმო საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიულ განვითარებას. 2010 წელი საკმაოდ მდიდარი იყო სხვადასხვა სამართლებრივ თემაზე ორგანიზებული ტრენინგ-სემინარებითა და კონფერენციებით. გარდა ამისა, საინტერესო სამუშაო წარიმართა საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული საქმიანობის სტანდარტების შემუშავების მიმართულებით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს ხარჯზე არსებული იურიდიული დახმარების სისტემისადმი ნდობის განმტკიცებას.

2010 წელს, სამსახურმა აქტიური საინფორმაციო კამპანია აწარმოვა უფასო იურიდიული დახმარების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. კამპანიის ფარგლებში მომზადდა სარეკლამო კლიპი, სატელევიზიო და რადიოგადაცემები, ასევე საგაზეთო ჩანართები. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო კამპანია დაეფუძნა სოციოლოგიური კვლევის შედეგებს, სადაც სამსახურის საქმიანობისადმი საზოგადოების დამოკიდებულება აისახა. გარდა ამისა, იურიდიული დახმარების ბიუროებმა და საკონსულტაციო ცენტრებმა არასრულწლოვნების, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისა და დევნილების სამართლებრივი პრობლემების შესწავლისა და მოგვარების მიზნით მრავალი გასვლითი კონსულტაცია მოაწყო.

სამსახურის საქმიანობის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა შექმნა იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭო, რომელიც განსაზღვრავს იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, დაამტკიცებს სამსახურის სტრატეგიას და განახორციელებს მონიტორინგს მის შესრულებაზე.

წარმატებები, რომელსაც იურიდიული დახმარების სამსახურმა 2010 წელს მიაღწია, ჩვენი გუნდის, სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინირებული მოქმედების შედეგია. ჩვენ კვლავაც მივმართავთ ერთობლივ ძალისხმევას უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის სრულყოფისა და განვითარებისაკენ.

პატივისცემით,

**ირაკლი კობიძე**
*იურიდიული დახმარების*
*სამსახურის დირექტორი*

2010 was a year of new challenges and significant achievements for the Legal Aid Service (LAS). It is safe to say that step-by-step we are approaching the goals set in 2009 within the framework of the Five Year Strategy. These goals include the following: an increase in the availability of free legal aid, provision of high-quality service, raising public legal awareness and ensuring transparency of the LAS.

With regards to the challenges, the coming into force of the new Criminal Procedure Code should be noted along with the increase of the mandate of the Legal Aid Service. The new procedural legislation based on the adversarial principle has greatly increased the role of a counsel in criminal proceedings. The new Code of Imprisonment provided free legal aid for those prisoners who are subject to disciplinary proceedings.

Besides the mandate, the area of activity of the Legal Aid Service has also increased and now includes the multiethnic region of Samtskhe-Javakheti. A Legal Aid Bureau and a Consultation Center have begun operation in Akhaltsikhe and Akhalkalaki, respectively. Moreover, the infrastructure of the LAS has improved. In particular, the Bureaus of Shida Kartli and Kvemo Kartli have continued functioning in modernly equipped offices, which has improved the working environment.

The proper operation of the Contracted Public Lawyers' Register remains one of the priorities of the LAS. In this regard, it is noteworthy that in 2010, within available financial resources, the remuneration of the lawyers was increased.

In order to ensure high-quality legal aid, greater attention was paid to the professional development of public attorneys. As a part of this, number of training sessions, seminars and conferences on various legal topics were conducted in 2010. In addition, special efforts were made to develop professional standards of public lawyers, which should help build confidence in the legal aid system existing at the state's expense.

In 2010, the LAS conducted an active information campaign to raise public awareness of free legal aid. TV and radio broadcasts and ads, newspaper articles and advertisements were prepared within the framework of the campaign. It should be noted that the information campaign was based on the results of sociological research, which reflected public attitude towards the activities of the LAS. Moreover, Legal Aid Bureaus and Consultation Centers conducted numerous field sessions in order to examine and resolve the legal problems of minors, vulnerable citizens, and IDPs.



To ensure the transparency of the activities implemented by the LAS, the Minister of Corrections and Legal Assistance has created the Monitoring Council of the Legal Aid Service, which defines the principal directions of the Legal Aid Service, approves its strategy, and monitors the implementation of the strategy.

The success achieved by the Legal Aid Service in 2010 is the result of the coordinated work of our team, the State and international organizations. We shall continue to employ joint efforts to improve and develop the free legal aid system.

Sincerely,

**Irakli Kobidze**
*Director of the Legal Aid Service*

შინაარსი
# TABLE OF CONTENTS


1 საინტერესო ფაქტები ისტორიიდან
INTERESTING FACTS FROM HISTORY 6

2 იურიდიული დახმარების სისტემა
LEGAL AID SYSTEM 8

2.1 შესავალი
Introduction 8

2.2 იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი
The Mandate of the Legal Aid Service 9

2.3 ადვოკატის როლი სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით
The Role of the Lawyer in Accordance with the new Criminal Procedure Code 10

2.4 სტატისტიკა
Statistic 12

3 უფასო იურიდიული დახმარება რეგიონებში
FREE LEGAL AID IN REGIONS 14

3.1 თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო
Tbilisi Legal Aid Bureau 14

3.2 მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო
Mtskheta-Mtianeti Legal Aid Bureau 16

3.3 კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
Kakheti Legal Aid Bureau 18

3.4 ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
Kvemo Kartli Legal Aid Bureau 20

3.5 შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
Shida Kartli Legal Aid Bureau 21

3.6 სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
Samtskhe-Javakheti Legal Aid Bureau 23

3.7 იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო
Imereti-Zestaponi Legal Aid Bureau 24

3.8 იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო
Imereti-Kutaisi Legal Aid Bureau 26

3.9 სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო
Samegrelo-Zugdidi Legal Aid Bureau 28

3.10 სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო
Samegrelo-Poti Legal Aid Bureau 29

3.11 აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო
Ajara Legal Aid Bureau 31

3.12 ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი
Ambrolauri Consultation Center 32

3.13 ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი
Ozurgeti Consultation Center 33

3.14 ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი
Akhalkalaki Consultation Center 34

4 იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა 36
ACCESS TO LEGAL AID

4.1 ახალი ოფისები და განახლებული ინფრასტრუქტურა 36
New Offices and Improved Infrastructure

4.2 მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი 39
Contracted Public Lawyers' Register

5 იურიდიული დახმარების ხარისხი 41
THE QUALITY OF LEGAL AID

5.1 ადამიანური რესურსების მენეჯმენტი 41
Human Resources Management

5.2 თანამშრომელთა პროფესიული განვითარება 43
The Professional Development of Staff

5.3 საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული საქმიანობის სტანდარტები 48
The Standards of the Professional Activities of Public Lawyers

5.4 იურიდიული კლინიკები 49
Legal Clinics

6 მომხმარებლები ჩვენ შესახებ 51
CLIENTS ABOUT US

7 საზოგადოებასთან ურთიერთობები 53
PUBLIC RELATIONS

7.1 მედია კამპანია 53
Media Campaign

7.2 გასვლითი კონსულტაციები და ღონისძიებები 59
Field Consultations and Events

8 საერთაშორისო კონფერენციები 69
INTERNATIONAL CONFERENCES

9 დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა 73
INDEPENDENCE AND TRANSPARENCY

10 ფინანსური ანგარიში 77
FINANCIAL REPORT

11 პარტნიორები 78
PARTNERS

# საინტერესო ფაქტები ისტორიიდან
# INTERESTING FACTS FROM HISTORY

საქართველოში უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა 2004 წელს სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობით დაიწყო. თავდაპირველად რეფორმის კონცეფცია მომზადდა. 2005 წლიდან კი მისი იმპლემენტაცია დაიწყო.

The reform of the free legal aid system in Georgia began in 2004 through the cooperation of state, non-governmental and international organizations. Initially, the concept of the reform was prepared. Its subsequent implementation commenced in 2005.

## თებერვალი FEBRUARY 2005

იუსტიციის სამინისტროს სისტემაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, „საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახური“ ჩამოყალიბდა. დაიწყო იურიდიული დახმარების ახალი სისტემის პილოტირება.

The Public (Treasury) Attorney Service is established within the system of the Ministry of Justice as a public legal entity. The piloting of a new legal aid system is initiated.

## ივნისი JUNE 2005

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონისა და ზესტაფონის რაიონის ტერიტორიული ბიურები ამოქმედდა.

The regional bureaus of the Public Attorney Service of the Ministry of Justice begin operation in the Gldani-Nadzaladevi district of Tbilisi and Zestaponi district.

## თებერვალი FEBRUARY 2006

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის ტერიტორიული ბიუროების კომპეტენცია – გაფართოვდა. გლდანი-ნაძალადევის ტერიტორიული ბიუროს კომპეტენცია თბილისის დიდუბე-ჩუღურეთისა და ვაკე-საბურთალოს რაიონებზე, ხოლო ზესტაფონის ტერიტორიული ბიუროს კომპეტენცია ხარაგაულისა და თერჯოლის რაიონებზე გავრცელდა.

The jurisdictions of the regional bureaus of the Public Attorney Service of the Ministry of Justice are increased. The jurisdiction of the Gldani-Nadzaladevi Regional Bureau is expanded to include the districts of Didube-Chughureti and Vake-Saburtalo, and Zestaponi Regional Bureau's jurisdiction is extended to include the districts of Kharagauli and Terjola.

## ივლისი JULY 2007

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. კანონის საფუძველზე, იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახური ჩამოყალიბდა.

The Parliament of Georgia adopts the Law on Legal Aid. On the basis of the Law, the public legal entity – the Legal Aid Service is established within the field of governance of the Ministry of Justice.

### ნოემბერი NOVEMBER 2007

იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროები მცხეთაში, თელავში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდსა და ფოთში ამოქმედდა.

Legal Aid Service Bureaus begin functioning in Mtskheta, Telavi, Kutaisi, Batumi, Zugdidi, and Poti.

### მაისი MAY 2008

იურიდიული დახმარების სამსახურმა ოზურგეთში საკონსულტაციო ცენტრი გახსნა.

The Legal Aid Service opens a Consultation Center in Ozurgeti.

### ივნისი JUNE 2008

საკონსულტაციო ცენტრი ამოქმედდა ამბროლაურში.

A Consultation Center begins operation in Ambrolauri.

### თებერვალი FEBRUARY 2009

იურიდიული დახმარების სამსახურმა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, ფუნქციონირება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში განაგრძო.

The Legal Aid Service continues operation within the system of the Ministry of Corrections and Legal Assistance of Georgia as a public legal entity.

### მაისი MAY 2009

ფუნქციონირება დაიწყო მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრმა, რომელშიც კერძო სექტორში დასაქმებული ადვოკატები დარეგისტრირდნენ და, საბიუჯეტო ანაზღაურების საფუძველზე, სოციალურად დაუცველი პირებისათვის უფასო მომსახურების გაწევას შეუდგნენ.

The Contracted Public Lawyers' Register begins operation. The Register brings together lawyers employed in the private sector, who, on the basis of budgetary compensation, begin to provide free service to vulnerable individuals.

### მაისი MAY 2009

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ და გაეროს განვითარების პროგრამამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას იურიდიული დახმარების სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერების პროექტის ინიცირების შესახებ. პროექტის პრიორიტეტებად იურიდიული დახმარების სამსახურის ახალი ოფისების გახსნა, ინფრასტრუქტურის განვითარება, საზოგადოებრივი ადვოკატების კვალიფიკაციის ამაღლება და სამსახურის შესახებ საზოგადოების ინფორმირება განისაზღვრა.

The Ministry of Corrections and Legal Assistance and the United Nations Development Programme (UNDP) sign an agreement on the initiation of a project to enhance the capacities of the Legal Aid Service. Opening new offices of the Legal Aid System, development of infrastructure, professional development of public lawyers, and enhancing public awareness about the Service are defined as the priorities of the project.

# იურიდიული დახმარების სისტემა
# SYSTEM OF LEGAL AID

## 2.1 შესავალი

2007 წელს, იურიდიული დახმარების შესახებ კანონის მიღების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფომ მიზნად დაისახა კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული დაცვის უფლების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი, სოციალურ მოთხოვნილებაზე ორიენტირებული, მდგრადი და საიმედო იურიდიული დახმარების სისტემის შექმნა. ამ სფეროში კანონის მიღება გახდა რეფორმის ახალი ფაზა, რომლის ფარგლებშიც ამოქმედდა იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები, შეიქმნა მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი, რამაც უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა უზრუნველყო.

იურიდიული დახმარების შესახებ კანონი სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების სახეებსაც განსაზღვრავს. კერძოდ, იურიდიული დახმარების სახეებია:

- იურიდიული კონსულტაცია;
- სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა;
- ბრალდებულისა და მსჯავრდებულის ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში;
- წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით;
- წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოში.

ამ ეტაპზე, იურიდიული დახმარების სამსახური საადვოკატო მომსახურებას მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე უზრუნველყოფს. თუმცა, მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა სამსახურის შესაძლებლობების გასაძლიერებლად, მისი მანდატის სრულად ამოქმედების მიზნით. ასევე, საინტერესოა, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომლებმაც საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

## 2.1 INTRODUCTION

In 2007, following the adoption of the Law on Legal Aid, the government of Georgia set a goal to create a sustainable and reliable legal aid system, as guaranteed by the Constitution and international treaties, necessary for the provision of protection of rights and oriented towards social demands. The passing of a Law in this field became a new stage of reform, within which Legal Aid Bureaus and Consultation Centers began operation, and the Contracted Public Lawyers' Register was created, which in turn ensured the accessibility of free legal aid.

The Law on Legal Aid also determines the types of services rendered by the Legal Aid Service. In particular, the types of legal Aid offered are the following:

- Legal consultation;
- Drafting of legal documents;

2009 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც 2010 წლის 1 ოქტომბერს ამოქმედდა. სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიღებითა და ამოქმედებით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებულ სისხლის სამართლის პროცესს, რომელშიც ძირითადი აქცენტი გამახვილებულია ბრალდებისა და დაცვის მხარეებისათვის თანაბარი პირობების შექმნაზე, რათა მათ სრულყოფილად შეძლონ გამოძიების დროს მტკიცებულებების მოპოვება, ხოლო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას – მათი წარმოდგენა და გამოკვლევა.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იქნება საქართველოს მოქალაქეების უშუალო მონაწილეობით განხორციელებული მართლმსაჯულების ეფექტური ფორმა. მის საფუძველზე მოხდება სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის დონის ამაღლება და, ზოგადად, ამ პროცესში მოქალაქეების სრულყოფილი მონაწილეობა.

## 2.2 იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი

როგორც ცნობილია, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სსსკ) აღარ ითვალისწინებს ექჱმიტანილისა და განსასჯელის საპროცესო სტატუსს, თუმცა რეალურად ეს არ ნიშნავს მართლმსაჯულების პროცესში იურიდიული დახმარების მანდატის შემცირებას. იმ საქმეებზე, რომლებზეც სისხლისსამართლებრივი დევნა 2010 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ დაიწყო, პასუხისგებაში მიცემული პირები, მათ მიმართ განაჩენის გამოტანამდე, ნაცვლად ექჱმიტანილის ან განსასჯელის სტატუსისა, ბრალდებულის სტატუსით ისარგებლებენ.

ახალი სსსკ სისხლის სამართლის პროცესის მხარედ აღარ მოიაზრებს დაზარალებულს, ანუ ფიზიკურ, ან იურიდიულ პირს (მათ შორის სახელმწიფოს), რომელსაც, მის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულის შედეგად, ფიზიკური, მატერიალური ან მორალური ზიანი მიადგა, რაც, ცხადია, გამორიცხავს შემდგომ მისთვის ადვოკატით სარგებლობის უფლების მინიჭებას. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ახალ სსსკ-ში არსებული გარდამავალი დებულებების თანახმად, იურიდიული დახმარების სამსახური 2012 წლის 1 ოქტომბრამდე გააგრძელებს დაზარალებულთა დაცვას (მხოლოდ მათი დაკითხვის ეტაპზე), თუ იგი არასრულწლოვანია; ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანია; ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესები.

იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაზრდის თვალსაზრისით, კიდევ ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს პატიმრობის კოდექსი, რომელიც ადგენს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი ბრალდებულისა და მსჯავრდებულისათვის უფასო იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობას დისციპლინური სამართალწარმოების განხორცილებისას.

- Protection of the interests of accused and convicted persons during criminal proceedings;
- Representation in court in connection to administrative and civil cases;
- Representation in an administrative body.

At this stage, the Legal Aid Service provides legal services only in criminal cases. However, constant work is underway to increase the capacities of the LAS and fully implement its mandate. Moreover, the changes introduced in criminal legislation are also of great interest, since they have greatly impacted the activities of public lawyers.

On October 9, 2009, on the third hearing, the Parliament of Georgia adopted the Criminal Procedure Code of Georgia, which came into force on October 1, 2010. With the adoption and enforcement of the new Criminal Procedure Code, a foundation was laid for criminal proceedings based on the adversarial principle and the notion of equality. The principal emphasis in such proceedings is placed on the creation of equal conditions for the plaintiff and defending sides in order to enable them to obtain necessary evidence during the investigation process, and to present and examine the evidence during the consideration of a criminal case in court.

According to the new Criminal Procedure Code, from October 1, 2010, trial by jury became operative in Georgia. The latter will be an effective form of justice delivered by the direct participation of the citizens of Georgia. On the basis of trial by jury, the level of civil society involvement in the relevant judicial activities, and, in general, the full participation of citizens in the process will increase.

## 2.2 THE MANDATE OF THE LEGAL AID SERVICE

As is known, the new Criminal Procedure Code (CPC) does not take into account the procedural status of the suspect and defendant, although in reality this does not signify the reduction of the mandate of legal aid in the judicial process. In cases where criminal prosecution was commenced following October 1, 2010, liable persons, prior to the issuance of a verdict, instead of the status of suspect or defendant, would be given the status of "accused".

The new CPC no longer considers the victim as a party in criminal proceedings, whether an individual or a legal entity (including the government), who has sustained physical, material or moral damage as a result of the offense committed. This clearly excludes their subsequent right to counsel. However, it should be noted that in accordance with the transitional provision included in the new CPC, the Legal Aid Service will continue the defense of the victims (only during the interrogation stage) in cases where the victim is a minor, incapacitated, or disabled, or is unable to protect his or her own interests due to health issues, until October 1, 2012.

With regards to the enhancement of the mandate of the Legal Aid Service, the Code of Imprisonment presents another significant innovation. The Code establishes the accessibility of accused and convicted persons remaining in penitentiary institutions to free legal aid during the implementation of disciplinary measures.

## 2.3 THE ROLE OF THE LAWYER IN ACCORDANCE WITH THE NEW CRIMINAL PROCEDURE CODE

The new Criminal Procedure Code has altered the role of the attorney – both during the stage of investigation, and during the court proceedings.

*Investigation Stage*

- Under the new CPC, the lawyer has the right to implement a number of investigative actions, independent of the person conducting the process (investigator / prosecutor), with expenses incurred by the defending

## 2.3 ადვოკატის როლი სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით

სისხლის სამართლის ახალმა საპროცესო კოდექსმა შეცვალა ადვოკატის როლი – როგორც გამოძიების სტადიაზე, ისე საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე.

*გამოძიების სტადია*

- ახალი სსსკ-ის თანახმად, ადვოკატს უფლება აქვს, პროცესის მწარმოებელი პირისაგან (გამომძიებელი / პროკურორი) სრულიად დამოუკიდებლად, დაცვის მხარის მიერ გაწეული ხარჯებით, ჩაატაროს მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები: დათვალიერება (შემთხვევის ადგილის, დანაშაულის საგნის/იარაღის და ა.შ), ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის, ამოცნობა, საგამოძიებო ექსპერიმენტი და გვამის ექსჰუმაცია. ძველი სსსკ-ის მიხედვით კი ადვოკატს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების დამოუკიდებლად ჩატარების უფლებამოსილება არ გააჩნდა. მას შეეძლო მხოლოდ ეშუამდგომლა პროცესის მწარმოებელ პირთან ხსენებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე და, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მონაწილეობა მიეღო შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობაში.
- ახალი კანონმდებლობით, ადვოკატს შეუძლია ბრალდების მხარესთან სრულიად თანაბარ რეჟიმსა და ფორმატში იკონტაქტოს იმ პირებთან, რომლებიც, საქმის სასამართლო განხილვისას, მართლმსაჯულების წინაშე წარსდგებიან მოწმეების სახით და მოამზადოს ისინი სასამართლო პროცესისთვის. ძველი სსსკ-ის თანახმად, აღნიშნული საპროცესო-სამართლებრივი ბერკეტი ადვოკატს არ გააჩნდა. იგი აქაც დიდწილად დამოკიდებული იყო პროცესის მწარმოებელზე, რომელთანაც შუამდგომლობდა დაცვის მხარის მიერ დასახელებული პირის მოწმის სახით დაკითხვის თაობაზე.
- ახალი სსსკ-ის მიხედვით, ადვოკატს შეუძლია, სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, ბრალდების მხარეს მოსთხოვოს მის ხელთ არსებული ყველა იმ დოკუმენტის ასლებისა თუ ინფორმაციის გადაცემა, რომლის მტკიცებულებად წარდგენასაც იგი სასამართლო განხილვისას აპირებს. ამასთან, ადვოკატის ეს მოთხოვნა ბრალდების მხარისათვის სავალდებულოა და მისი შეუსრულებლობა იწვევს არგადაცემული დოკუმენტის/ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას. ძველი საპროცესო კოდექსით,

ადვოკატს მსგავსი სახის ბერკეტი საერთოდ არ გააჩნდა.

### *სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის ეტაპი*

- ახალი სსსკ-ის თანახმად, ბრალდების მხარის მოთხოვნის მიუხედავად, საქმის სასამართლო განხილვამდე, ადვოკატს შეუძლია საიდუმლოდ შემოინახოს გარკვეული მტკიცებულება. აღნიშნული საპროცესო ბერკეტი ექსკლუზიურად დაცვის მხარეს გააჩნია. თუმცა, ამის გამო იგი დაჯარიმდება. ძველი სსსკ მსგავს ნორმას საერთოდ არ იცნობდა.
- ახალი სსსკ-ის მიხედვით, ადვოკატს შეუძლია, მოსამართლეს არ მისცეს უფლება, მოწმის სახით გამოძახებულ პირს დაუსვას დამაზუსტებელი შეკითხვა. ძველი საპროცესო კანონმდებლობით დაცვის მხარეს ეს უფლება არ ჰქონდა.
- ახალი სსსკ საშუალებას აძლევს ადვოკატს, ბრალდების მხარესთან თანაბარ რეჟიმში მონაწილეობა მიიღოს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესში.

party: inspection (of the crime scene, the object / weapon with which the offense was committed, etc.), collection of specimens for expert examination, identification, investigative experimentation, and corpse exhumation. In accordance with the old CPC, the lawyer did not possess the authority to implement the aforementioned activities independently. He or she could only solicit the person conducting the proceedings regarding the implementation of investigative actions, and, in case of a positive decision, partake in said investigative actions.

- Under the to new legislation, a lawyer may, in a format and mode fully equal to that of the prosecution, maintain contact with those persons who during the trial will be brought before the court as witnesses, and prepare them for the trial process. In accordance with the old CPC, lawyers had no such procedural leverage. Here too, they were largely dependent on the person conducting the process whom they solicited with regards to the interrogation of the individual proposed as witness by the prosecution.
- As stated by the new CPC, a lawyer may, at any stage of the proceedings, request the prosecution to provide copies of all documentation or information which it aims to present as evidence during the trial process. In addition, the fulfillment of such a request is mandatory, and failure to comply renders the unsubmitted documentation/information as unacceptable evident. Under the old CPC, a lawyer did not possess such leverage.

### *Criminal Proceedings Stage*

- In accordance with the new CPC, regardless of the request of the prosecution, a lawyer may, prior to trial, store certain evidence in secret. Such procedural leverage is possessed exclusively by the defensive side. However, a fine must be incurred in such a case. The old CPC recognized no such norm.
- As stated by the new CPC, a lawyer may refuse the judge the right to pose a clarifying question to the person summoned as witness. The defense did not possess such a right in accordance to the previous procedural legislation.
- The new CPC enables the lawyer, in a mode equal to that of the prosecution, to participate in the jury selection process.

## 2.4 სტატისტიკა
## STATISTICS

### იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ წარმოებაში მიღებული საქმეები (სულ 10140)
### CASES ACCEPTED BY LEGAL AID BUREAUS (10,140 CASES IN ALL)




- თბილისი TBILISI
- მცხეთა-მთიანეთი MTSKHETA-MTIANETI
- კახეთი KAKHETI
- ქვემო ქართლი KVEMO KARTLI
- შიდა ქართლი SHIDA KARTLI
- სამცხე-ჯავახეთი SAMTSKHE-JAVAKHETI
- იმერეთი-ზესტაფონი IMERETI-ZESTAPONI
- იმერეთი-ქუთაისი IMERETI-KUTAISI
- სამეგრელო-ზუგდიდი SAMEGRELO-ZUGDIDI
- სამეგრელო-ფოთი SAMEGRELO-POTI
- აჭარა AJARA

**685**
არასრულწლოვანთა დაცვა
Defense of minors

**688**
ფსიქიატრიული მკურნალობის იძულებით შეფარდების საქმეები
Cases involving adjudication of compulsory psychiatric treatment

### მოთხოვნა საზოგადოებრივი ადვოკატის გამოყოფაზე
### REQUEST FOR THE ASSIGNMENT OF A PUBLIC ATTORNEY




- სასამართლო COURT
- პროკურატურა PROSECUTION
- გამოძიება INVESTIGATION
- ფიზიკური პირი PHISICAL PERSON

### ფიზიკური პირებისათვის საზოგადოებრივი ადვოკატების გამოყოფა (სულ 1390)
### ASSIGNMENT OF PUBLIC ATTORNEYS TO PHYSICAL PERSONS (1,390 IN ALL)




- ორდინალური შემთხვევები ORDINARY CASES
- საგამონაკლისო შემთხვევები EXCEPTIONAL CASES

**გაწეული კონსულტაციები**
IMPLEMENTED CONSULTATIONS




**გაწეული კონსულტაციების თემატიკა**
CONSULTATION ISSUES




**კონსულტაციების დინამიკა**
CONSULTATION DYNAMICS IN THE YEARS OF
**2008-2009-2010**



# უფასო იურიდიული დახმარება რეგიონებში
# FREE LEGAL AID IN REGIONS

## 3.1 თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო
## TBILISI LEGAL AID BUREAU

| სამოქმედო ტერიტორია | თბილისი |
|---|---|
| თანამშრომლები | ■ ბიუროს უფროსი: იმედა ბეროშვილი<br>■ საზოგადოებრივი ადვოკატი: 23<br>■ კონსულტანტი: 2<br>■ სპეციალისტი: 1 |
| 2010 წლის სტატისტიკა | ■ წარმოებაში მიღებული საქმეები: 3910<br>■ გაწეული კონსულტაციები: 2635<br>■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 200 |

| Area of Activity | Tbilisi |
|---|---|
| Staff | ■ Head of the bureau: Imeda Beroshvili<br>■ Public attorneys: 23<br>■ Consultants: 2<br>■ Specialists: 1 |
| Statistical Data for 2010 | ■ Cases considered in proceedings: 3,910<br>■ Implemented consultations: 2,635<br>■ Legal documents compiled: 200 |

### თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, პაატა მეხრიშვილის, ძალისხმევით ქურდობაში ბრალდებულ არასრულწლოვანს სასჯელი შეუმსუბუქდა



ქურდობაში ბრალდებულ არასრულწლოვან ნიკა ხ.-ს, რომელსაც შვიდიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, ადვოკატ პაატა მეხრიშვილის დახმარებით, სასჯელი მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდა.

ნიკა ხ.-ს ბრალი ედებოდა საცავში უკანონო შეღწევით არაერთგზის ჩადენილი ქურდობისათვის. ეს არ იყო ნიკას კანონთან კონფლიქტის პირველი შემთხვევა. ქურდობის ჩადენის მომენტისათვის, ის უკვე იხდიდა სამწლიან პირობით სასჯელს, რომელიც მას ჯგუფის მიერ ძალადობით ჩადენილ ძარცვაში მონაწილეობისათვის განესაზღვრა. ამასთან, ვინაიდან ნიკამ განმეორებით დანაშაული პრობაციის პერიოდში ჩაიდინა, ქურდობისათვის დანიშნულ სასჯელს პირობითი სასჯელი სრულად დაემატა და, საბოლოოდ, მას შვიდიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა.

### THROUGH THE EFFORTS OF THE TBILISI LEGAL AID BUREAU LAWYER, MR. PAATA MEKHRISHVILI, THE PENALTY ADJUDICATED TO A MINOR CHARGED WITH THEFT WAS COMMUTED

Through the assistance of attorney Paata Mekhrishvili, the impending penalty of seven to ten years imprisonment intended for Nika Kh., a minor accused of theft, was significantly commuted.

Nika Kh. was charged with numerous counts of breaking and entering and theft in a storage facility. However, this was not the first offense for Nika. At the time of the theft, he was already serving a three-year conditional sentence which was imposed on him for participating in a violent robbery by a group. Since Nika committed a repeat offense during the probation period, the term of the conditional sentence was fully added to the

ადვოკატმა, პაატა მეხრიშვილმა, ნიკა ხ.-ს დაცვა მისი წინა განაჩენის შესწავლით დაიწყო. როგორც აღმოჩნდა, 2008 წელს, ძარცვის ჩადენისას, ნიკა 13 წლის იყო. 2010 წლის თებერვალში სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად კი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგელობის ასაკი 12-დან 14-წლამდე გაიზარდა. ამასთან, როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სწორედ ამ გარემოებებზე დაყრდნობით ადვოკატმა, პაატა მეხრიშვილმა, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატას მიმართა საჩივრით ნიკა ხ.-ს საქმეში ახლადგამოვლენილი გარემოებების გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა წარდგენილი საჩივარი, ნიკა ხ.-ს მიმართ საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენი გააუქმა და შეწყვიტა საქმე. მაგრამ, გარდა იმისა, რომ ნიკა ხ. განთავისუფლდა პირობითი სასჯელისაგან, მას ასევე მოეხსნა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება ქურდობის არაერთგზის ჩადენის შესახებ. საბოლოოდ მას მსჯავრი დაედო მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული – საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილი – ქურდობისათვის და სასჯელის სახით 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

punishment for theft, and, ultimately, he was sentenced to seven to ten years imprisonment.

Attorney Paata Mekhrishvili began the defense process of Nika Kh. with a preliminary examination of his previous sentence. As it turned out, during the commission of the robbery in 2008, Nika was 13 years old. Under the amendments made to the Criminal Code in 2010, the age of criminal responsibility was raised from 12 to 14 years. In addition, as is known, a criminal law which abolishes the criminality of an action is retroactive.

On the basis of these circumstances, attorney Paata Mekhrishvili addressed the Criminal Law Chamber of the Supreme Court with an appeal regarding the reconsideration of the sentence under the newly emerged circumstances.

The Criminal Law Chamber of the Supreme Court considered the appeal, annulled the verdict made with regards to Nika Kh. and dismissed the case. However, in addition to the fact that Nika Kh. was released from probation, he was also relieved of charges under Article 177, part 3, subparagraph “b” of the Criminal Code, with respect to theft on multiple counts. He was eventually charged with breaking and entering and theft in a storage facility, stipulated by Article 177, part 2, subparagraph “g” of the Criminal Code, and sentenced to 2 years imprisonment.

## თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტის, ლევან ჯორბენაძის, დახმარებით სოციალურად დაუცველ მოქალაქეს სახელფასო დავალიანება აუნაზღაურდა



ზურაბ თ. საგადასახადო ორგანოში 1994 წლიდან მუშაობდა. 2000-2003 წლებში სამსახურს მის მიმართ 600 ლარამდე სახელფასო დავალიანება დაუგროვდა. ზურაბ თ.-მ შრომითი დავის პრობლემით იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს მიმართა.

თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტის, ლევან ჯორბენაძის, რჩევით, ზურაბ თ.-მ შემოსავლების სამსახურს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით 2010 წლის სექტემბერში მიმართა. თუმცა, შემოსავლების სამსახურის პასუხიდან გაირკვა, რომ 2010 წლის ასიგნება ფინანსთა სამინისტროს არ აძლევდა საშუალებას, აენაზღაურებინა წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებები.

2010 წლის ოქტომბერში თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტმა, ლევან ჯორბენაძემ, მოამზადა სარჩელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით. თავის სარჩელში ლევან ჯორბენაძე დაეყრდნო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლს, რომლის მიხედვით ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის

## THROUGH THE EFFORTS OF THE TBILISI LEGAL AID BUREAU CONSULTANT, MR. LEVAN JORBENADZE, A DISADVANTAGED CITIZEN RECEIVED COMPENSATION FOR SALARY ARREARS

Zurab T. has been working at the Tax Office since 1994. In the period of 2000-2003, the Office has accumulated GEL 600 of salary arrears for Zurab. Thus, Zurab T. appealed to the Tbilisi Legal Aid Bureau with the problem of a labor dispute.

On the advice of the Tbilisi Legal Aid Bureau Consultant, Mr. Levan Jorbenadze, in September 2010, Zurab T. addressed the Revenue Service with a request for the payment of the salary arrears. However, the response of the Revenue Service made it clear that the financial allocation of 2010 did not allow the Ministry of Finance to pay for arrears accumulated in previous years.

In October 2010, the Consultant of the Tbilisi Legal Aid Bureau, Levan Jorbenadze, prepared a lawsuit with the request to pay the salary arrears. In the lawsuit, Levan Jorbenadze invoked Article 137 of the Civil Code of Georgia, according to which the duration of the statute of limitations shall cease if the liable person recognizes the existence of the request before the authorized person by way of advance payment, interest payment, warranty or other means. The lawsuit also invoked the case-law of the European Court of Human Rights. In accordance with the case-law of the Strasbourg Court, the lack of state funds does not serve as a viable justification for the refusal to release existing arrears.

The lawsuit filed by Levan Jorbenadze proved to be effective. The Board of Administrative Affairs of the Tbilisi City Court ruled against the defendant, the Revenue Service, and instructed full payment to Zurab T. of salary arrears accumulated during the period of 2000-2003.

წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. სარჩელში გამოყენებული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც. სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოს მხრიდან თანხების უქონლობა არ არის გამართლება დავალიანების ანაზღაურებაზე უარის სათქმელად.

ლევან ჯორბენაძის სარჩელი აღმოჩნდა შედეგიანი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გამოიტანა გადაწყვეტილება მოპასუხე მხარის – შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ და დაავალა მას ზურაბ თ.-სათვის სრულად აენაზღაურებინა 2000-2003 წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანება.

## 3.2 მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო
## MTSKHETA-MTIANETI LEGAL AID BUREAU

| | |
|---|---|
| **სამოქმედო ტერიტორია** | მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონები |
| **თანამშრომლები** | ▪ ბიუროს უფროსი: ირინე ბოხაშვილი<br>▪ საზოგადოებრივი ადვოკატი: 5<br>▪ კონსულტანტი: 1<br>▪ სპეციალისტი: 1 |
| **2010 წლის სტატისტიკა** | ▪ წარმოებაში მიღებული საქმეები: 299<br>▪ გაწეული კონსულტაციები: 637<br>▪ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 117 |

| | |
|---|---|
| **Area of Activity** | The regions of Mtskheta, Akhalgori, Dusheti, Tianeti, and Kazbegi |
| **Staff** | ▪ Head of the bureau: Irina Bokhashvili<br>▪ Public attorneys: 5<br>▪ Consultants: 1<br>▪ Specialists: 1 |
| **Statistical Data for 2010** | ▪ Cases considered in proceedings: 299<br>▪ Implemented consultations: 637<br>▪ Legal documents compiled: 117 |

## მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, ზაქრო გვიშიანის, დახმარებით ეჭვმიტანილს სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა განესაზღვრა

ქურდობაში ბრალდებულ ალიკ თ.-ს, რომელსაც სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, ზაქრო გვიშიანის, დახმარებით, სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა განესაზღვრა.

ადვოკატ ზაქრო გვიშიანს ალიკ თ.-ს დაცვა წინასწარი გამოძიების ეტაპზე დაევალა. მისი დაცვის ქვეშ მყოფს ბრალი სოფელ წეროვანში შპს „ნიუ ენერჯის" საცავში განთავსებული საწვიმარი ღარების ფარულად დაუფლებაში ედებოდა. საქმეში ჩართვის შემდეგ ზაქრო გვიშიანმა ბრალდებულს გაუწია იურიდიული კონსულტაცია და მასთან დაცვის პოზიცია შეაჯერა.

გამოძიების ეტაპზე, ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემსუბუქების მიზნით, ადვოკატმა წარადგინა მისი დაცვის ქვეშ მყოფის სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ცნობები, მათ შორის: ქორწინების მოწმობა, მცირეწლოვანი შვილების დაბადების მოწმობები, დევნილის მოწმობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა და დახასიათება. აღკვეთის ღონისძიების განხილვამდე ალიკ თ. განთავისუფლდა დაკავებიდან. ხოლო შემდგომში, აღკვეთის ღონისძიების განხილვისას, შეეფარდა გირაო 2000 ლარის ოდენობით, რომელიც ერთი თვის ვადაში უნდა გადაეხადა.

ალიკ თ.-ს ოჯახი იყო სოციალურად დაუცველი და ვერ შეძლებდა გირაოს გადახდას. სწორედ ამიტომ, დაცვის ქვეშ მყოფთან კონსულტაციის შემდეგ, ზაქრო გვიშიანმა მცხეთის რაიონულ პროკურატურას მიმართა საპროცესო შეთანხმების გაფორმების წინადადებით, რომელშიც ბრალდების მხარეს სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განსაზღვრას სთავაზობდა.

აღნიშნული განცხადება დაკმაყოფილდა. მხარეებს შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ალიკ თ.-ს, პირობით მსჯავრთან ერთად, 200 საათით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა განესაზღვრა. აღსანიშნავია, რომ დანიშნული სასჯელის სრულად მოხდის შემდეგ, მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს მიერ გაწეული რეკომენდაციის საფუძველზე, ალიკ თ. მცხეთის რაიონის დასუფთავების სამსახურში დასაქმდა.



## THROUGH THE ASSISTANCE OF MTSKHETA-MTIANETI LEGAL AID BUREAU LAWYER, MR. ZAKRO GVISHIANI, THE DEFENDANT WAS SENTENCED TO COMMUNITY SERVICE AS PENALTY

Alik T., charged with theft and backing with three to five years imprisonment, was instead sentenced to community service through the efforts of Mtskheta-Mtianeti Legal Aid Bureau attorney, Zakro Gvishiani.

Attorney Zakro Gvishiani was charged with the defense of Alik T. during the preliminary investigation stage. His client was accused of the theft of rain gutters stored in the "New Energy, Ltd." warehouse in Tserovani. Following his involvement in the case, Zakro Gvishiani offered legal consultation to the defendant and agreed to defend him.

During the investigation stage, in order to mitigate the defendant's responsibility, the attorney presented documentation asserting his client's social status, including his wedding certificate, birth certificates of minor children, IDP certificate, certificate of registration of vulnerable families in a unified database, and letter of reference. Prior to the imposition of preventive measures, Alik T. was released from detention. Subsequently, during consideration of preventive measures, he was levied with a penalty of GEL 2,000, payable within a month.

Alik T.'s family's vulnerable status would not allow them to pay the fine. Therefore, following consultation with his client, Zakro Gvishiani addressed the Mtskheta district prosecutor's office with a request to formulate a plea bargain, which proposed to convert the punishment into the form of community service.

The aforementioned request was accepted. On the basis of the plea bargain formulated between the two parties, Alik T. was sentenced to 200 hours of community service along with a conditional sentence. It should be noted that after serving the full sentence, Alik T. was employed in the Mtskheta regional cleaning service on the basis of a recommendation issued by the Mtskheta-Mtianeti Legal Aid Bureau.

## 3.3 კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
## KAKHETI LEGAL AID BUREAU

| | |
|---|---|
| **სამოქმედო ტერიტორია** | ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონები |
| **თანამშრომლები** | ■ ბიუროს უფროსი: ლიანა ჭუნიაშვილი<br>■ საზოგადოებრივი ადვოკატი: 6<br>■ კონსულტანტი: 1<br>■ სპეციალისტი: 1 |
| **2010 წლის სტატისტიკა** | ■ წარმოებაში მიღებული საქმეები: 476<br>■ გაწეული კონსულტაციები: 623<br>■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 199 |

| | |
|---|---|
| **Area of Activity** | Regions of Akhmeta, Telavi, Kvareli, Lagodekhi, Dedoplistskaro, Sighnaghi, Gurjaani and Sagarejo |
| **Staff** | ■ Head of the bureau: Liana Tchuniashvili<br>■ Public attorneys: 6<br>■ Consultants: 1<br>■ Specialists: 1 |
| **Statistical Data for 2010** | ■ Cases considered in proceedings: 476<br>■ Implemented consultations: 623<br>■ Legal documents compiled: 199 |

### კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, გია ფარადაშვილის, დახმარებით ყაჩაღობაში ბრალდებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდა



იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს ადვოკატის, გია ფარადაშვილის, ძალისხმევით, ყაჩაღობაში ბრალდებული გიორგი ო.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა. საზოგადოებრივი ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფს ბრალად ედებოდა ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობის ჩადენა, რაც სასჯელის სახით რვიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამასთან, გიორგი ო. იყო ნასამართლევი და სხვისი ქონების მითვისებისა და გაფლანგვისათვის პირობით სასჯელს იხდიდა.

სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა გიორგი ო.-მ, თანხის დაუფლების მიზნით, გურჯაანში მცხოვრები ზეინაბ მ.-ს დაყაჩაღება გადაწყვიტა. ბრალდებულმა უკანონოდ შეაღწია დაზა-

### THROUGH THE EFFORTS OF KAKHETI LEGAL AID BUREAU LAWYER, MR. GIA PARADASHVILI, A BURGLARY SUSPECT WAS ACQUITTED OF CRIMINAL CHARGES

Through the assistance of Kakheti Legal Aid Bureau attorney, Mr. Gia Paradashvili, criminal prosecution against Giorgi O., charged with burglary, was discontinued. The client of the public attorney was charged with burglary in an apartment, which implies a punishment in the form of eight to twelve years of imprisonment. Moreover, Giorgi O. had been previously convicted and serving a sentence for the misappropriation and embezzlement of another's property.

According to the criminal case materials, Giorgi O., in a state of intoxication, decided to rob Zeinab M., residing in Gurjaani, with the aim to take possession of money. The accused unlawfully entered the victim's residence, and threatening her with harm to life and health demanded money from her. This process lasted for 15-20 minutes, after which Giorgi O. heard noises from the street and fled the scene.

Following his involvement in the case, Gia Paradashvili held a discussion with the defendant and commenced the

რალებულის საცხოვრებელ სახლში და, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ზეინაბ მ.-სგან ფულს ითხოვდა. ეს პროცესი 15-20 წუთს გაგრძელდა. ამ დროს გიორგი ო.-ს ქუჩიდან შემოესმა ხმაური და იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

საქმეში ჩართვის შემდეგ, გია ფარადაშვილი გაესაუბრა ბრალდებულს და საქმის მასალების შესწავლა დაიწყო. როგორც აღმოჩნდა, გიორგი ო.-ს გააჩნდა ალიბი, რომელიც მის უდანაშაულობას ადასტურებდა. კერძოდ, დანაშაულის ჩადენის დროს იგი იმყოფებოდა მეზობელ სოფელ შაშიაანში, სადაც ჯერ იქეიფა, შემდეგ დაიძინა და გამთენიისას ფეხით გაემართა სახლისკენ – სოფელ ჩუმლაყში.

ამის შემდეგ, საზოგადოებრივმა ადვოკატმა მოითხოვა იმ პირთა დაკითხვა, რომლებიც გიორგი ო.-ს ალიბის უტყუარობას დაადასტურებდნენ. სწორედ ამ პირთა ჩვენებებმა დაარწმუნეს ბრალდების მხარე გია ფარადაშვილის დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობაში. საბოლოოდ, გიორგი ო. დაკავებიდან გაათავისუფლეს და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

examination of the case materials. As it turned out, Giorgi O. had an alibi, which confirmed his innocence. In particular, during the time the crime was committed, Giorgi O. was in the neighboring village of Shashiaani, where he first attended a feast, then slept, and in the morning went home – to the village of Chumlaki – on foot.

Subsequently, the public attorney requested the interrogation of those persons who would be able to confirm the authenticity of Giorgi O.'s alibi. The testimonies of these individuals convinced the prosecution of the innocence of Gia Paradashvili's client. Ultimately, Giorgi O. was released from detention and criminal charges against him were dropped.

## კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტის, მერი ხაჩიძის, ძალისხმევით მოქალაქე ზედმეტად დარიცხული გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლდა

დედოფლისწყაროს მკვიდრმა, სოსო ქ.-მ, კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს, საგადასახადო დავის პრობლემით, 2010 წლის სექტემბერში მიმართა. მას, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონული ცენტრის ბრძანებით, 4500 ლარის ოდენობით მიწის გადასახადის გადახდა დაეკისრა. ეს თანხა სოსო ქ.-ს ხელფასიდან ექვითებოდა და, იურიდიული დახმარების ბიუროში მიმართვის მომენტისათვის, დაკავებული თანხის ოდენობამ 3500 ლარი შეადგინა.



კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტმა, მერი ხაჩიძემ, საკითხი დეტალურად შეისწავლა. გაირკვა, რომ სოსო ქ. შეცდომით აღმოჩნდა მითითებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა სიაში, რომელიც რაიონის

## THROUGH THE ASSISTANCE OF KAKHETI LEGAL AID BUREAU CONSULTANT, MS MARY KHACHIDZE, A CITIZEN WAS EXEMPTED FROM PAYING EXCESSIVE TAXATION

Dedoplistskaro resident Soso K. addressed the Kakheti Legal Aid Bureau with the issue of a tax dispute in September 2010. The Revenue Service of the Ministry of Finance of Georgia had charged him with a land tax of GEL 4,500. The amount had been deducted from Soso K.'s salary, and at the time of his appeal to the Legal Aid Bureau, it had amounted to GEL 3,500.

The Kakheti Legal Aid Bureau Consultant, Mary Khachidze, studied the case in detail. It turned out that Soso K. was mistakenly included into the list of landowners provided by the District Council to the Revenue Service. In actuality, Soso K. did not possess any plots of land. This factor was mentioned in the complaint filed by Consultant Mary Khachidze requesting the nullification of the order of the Telavi Regional Center by the Ministry of Finance and the assessment of the legality of the imposed tax.

The aforementioned complaint was only partially satisfied as the order of the Telavi Regional Center of the Revenue

საკრებულომ შემოსავლების სამსახურს მიაწოდა. სინამდვილეში კი მას მიწის ნაკვეთი არ გააჩნდა. სწორედ ეს გარემოება იყო მითითებული კონსულტანტ მერი ხაჩიძის საჩივარში, რომლითაც იგი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისგან თელავის რეგიონული ცენტრის ბრძანების ბათილად ცნობასა და დაკისრებული გადასახადის კანონიერების შემოწმებას ითხოვდა.

აღნიშნული საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონული ცენტრის ბრძანება გაუქმდა. ამავე ორგანოს დაევალა დარიცხული თანხის მართლზომიერების შემოწმება და კორექტირებული საგადასახადო მოთხოვნის წარმოდგენა. საბოლოოდ, შესწორებული საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე, მოქალაქეს, ნაცვლად 4500 ლარისა, 810 ლარის გადახდა დაეკისრა. თუმცა, ამით მისი სამართლებრივი პრობლემების მოგვარება არ დასრულებულა. კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტი, მერი ხაჩიძე, აგრძელებს მუშაობას სოსო ქ.-სთან მიმართებაში საკრებულოს მიერ დაშვებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

Service was annulled. The agency was requested to assess the legitimacy of the accrued amount and present an amended tax notice. Ultimately, on the basis of the amended tax notice, the citizen in question was charged with the payment of GEL 810, instead of GEL 4,500. However, this did not put an end to his legal problems. The Kakheti Legal Aid Bureau Consultant Mary Khachidze is continuing work in order to eliminate errors committed by the City Council with regards to Soso K.

## 3.4 ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
## KVEMO KARTLI LEGAL AID BUREAU

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამოქმედო ტერიტორია** | ქალაქი რუსთავი, ასევე გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, წალკისა და დმანისის რაიონები | **Area of Activity** | City of Rustavi, regions of Gardabani, Marneuli, Tetritskaro, Bolnisi, Tsalka, and Dmanisi |
| **თანამშრომლები** | ■ ბიუროს უფროსი: იოსებ ჯამასპიშვილი<br>■ საზოგადოებრივი ადვოკატი: 8<br>■ კონსულტანტი: 1<br>■ სპეციალისტი: 1 | **Staff** | ■ Head of the bureau: Joseph Jamaspishvili<br>■ Public attorneys: 8<br>■ Consultants: 1<br>■ Specialists: 1 |
| **2010 წლის სტატისტიკა** | ■ წარმოებაში მიღებული საქმეები: 897<br>■ გაწეული კონსულტაციები: 426<br>■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 197 | **Statistical Data for 2010** | ■ Cases considered in proceedings: 897<br>■ Implemented consultations: 426<br>■ Legal documents compiled: 197 |

### ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსის, იოსებ ჯამასპიშვილის, დახმარებით მისი დაცვის ქვეშ მყოფები სრულად გამართლდნენ

ცემაში ბრალდებული ცოლ-ქმარი ლაჩინ და ბინალი ჩ.-ები, რომელთა ინტერესებს კერძო ბრალდების საქმეში ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი, იოსებ ჯამასპიშვილი, იცავდა, სრულად გამართლდნენ.

ოჯახურ კონფლიქტში მონაწილე ლაჩინ და ბინალი ჩ.-ებს ბრალად ედებოდათ ცემა, რამაც დაზარელებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰ-



ყოლია მისი ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა, ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო დაკარგვა. დაზარალებული რაგიმ ჩ. რძლისა და შვილის დამნაშავედ ცნობას და მათთვის 1000-1000 ლარის ოდენობის ჯარიმის დაკისრებას ითხოვდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეში, დაზარალებულის ჩვენების გარდა, სხვა მტკიცებულებებიც მოიპოვებოდა, ვერც დაზარალებულმა და ვერც მისმა ადვოკატმა მათი წარმოდგენა და სასამართლო სხდომაზე გამოკვლევა ვერ შეძლეს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად კი გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდება განსასჯელის დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე. სასამართლოზე კი მხოლოდ დაზარალებული იქნა წარმოდგენილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ ლაჩინ და ბინალი ჩ.-ების მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

THROUGH THE EFFORTS OF THE HEAD OF THE KVEMO KARTLI LEGAL AID BUREAU, MR. JOSEPH JAMASPISHVILI, HIS CLIENTS WERE FULLY ACQUITTED

Spouses Lachin and Binal Ch., accused of battery, whose interests in a private prosecution case were protected by the Head of the Kvemo Kartli Legal Aid Bureau, Joseph Jamaspishvili, were fully acquitted on all counts.

Lachin and Binal Ch., involved in a family dispute, were accused of battery, which caused physical pain to the victim, Ragim Ch., but did not result in short-term health disorders or any significant loss of general capacity to work. The victim requested that they both be found guilty and charged with a fine of GEL 1,000 each.

Despite the fact that during the proceedings, in addition to the victim's testimony, other evidence was available, neither the victim nor his attorney were able to present or examine it during the court hearing. According to the Criminal Procedural Code of Georgia, a speculation shall not serve as a basis for a verdict of guilty. The verdict is defined only on condition that during the trial, the commission of a crime is proven based on irrefutable evidence. However, at the trial, only the victim's testimony was presented. Therefore, the Bolnisi District Court acquitted Lachin and Binal Ch.

## 3.5 შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
## SHIDA KARTLI LEGAL AID BUREAU

| | |
|---|---|
| **სამოქმედო ტერიტორია** | კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონები |
| **თანამშრომლები** | ■ ბიუროს უფროსი: გიორგი ჯეირანაშვილი<br>■ საზოგადოებრივი ადვოკატი: 6<br>■ კონსულტანტი: 1<br>■ სპეციალისტი: 1 |
| **2010 წლის სტატისტიკა** | ■ წარმოებაში მიღებული საქმეები: 354<br>■ გაწეული კონსულტაციები: 405<br>■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 143 |

| | |
|---|---|
| **Area of Activity** | Regions of Kaspi, Gori, Kareli and Khashuri |
| **Staff** | ■ Head of the bureau: Giorgi Jeiranashvili<br>■ Public attorneys: 6<br>■ Consultants: 1<br>■ Specialists: 1 |
| **Statistical Data for 2010** | ■ Cases considered in proceedings: 354<br>■ Implemented consultations: 405<br>■ Legal documents compiled: 143 |

## შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, მაია გრიგოლიშვილის, ძალისხმევით მსჯავრდებული პატიმრობას გადაურჩა



საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილი ქურდობისათვის მსჯავრდებული ზვიად გ., რომელსაც ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, პირობითი მსჯავრისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დაკისრებით, სასამართლო სხდომის დარბაზიდან განთავისუფლდა.

საქმის მასალების თანახმად, ზვიად გ., გორის რაიონის სოფელ შინდისში მცხოვრებ ასმათ გ.-ს ავტოფარეხში შეღწევით, ფარულად დაეუფლა ხუთ ტომარა გვარჯილას. აღნიშნული ქმედებისთვის ბრალდებულს, აღმკვეთი ღონისძიების სახით, პატიმრობის უზრუნველყოფით, 3 000 ლარის ოდენობით გირაო შეეფარდა. უსახსრობის გამო ოჯახმა თანხის გადახდა ვერ შეძლო.

ამის შემდეგ, ზვიად გ.-ს დამცველმა, მაია გრიგოლიშვილმა, გორის რაიონულ პროკურატურას საპროცესო შეთანხმების შესახებ განცხადებით მიმართა. განცხადებას თან ერთვოდა ზვიად გ.-ს მძიმე სოციალური მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის ასლი, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ოჯახური მდგომარეობის შესახებ და დახასიათება. პროკურატურამ აღნიშნული განცხადება დააკმაყოფილა. საპროცესო შეთანხმების თანახმად, ზვიად გ.-ს სასჯელის სახედ პირობითი მსჯავრი განესაზღვრა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა დაეკისრა.

## THROUGH THE EFFORTS OF SHIDA KARTLI LEGAL AID BUREAU LAWYER, MS MAYA GRIGOLISHVILI, A DEFENDANT AVOIDED IMPRISONMENT

Zviad G., charged with breaking and entering and theft in a storage facility and threatened with a penalty of four to seven years imprisonment, was released from the courtroom with a conditional sentence and the imposition of community service.

According to case materials, Zviad G., a resident of the village of Shindisi, entered the garage of Asmat G. and took possession of five bags of saltpeter. For this act, the defendant was sentenced to imprisonment with the condition of bail set at GEL 3,000. Due to a lack of financial resources, the defendant's family was unable to post bail.

Subsequently, Zviad G.'s attorney Maya Grigolishvili appealed to the Gori Prosecutor's Office with a request for a plea bargain. Her statement was supplemented by documentation asserting the defendant's difficult social situation: copy of the certificate of registration of vulnerable families in a unified database, certificate from the family's place of residence, certificate of marital status and letter of reference. The Prosecutor's Office accepted the aforementioned appeal. According to the plea bargain, Zviad G. received a suspended sentence and community service.

## 3.6 სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
## SAMTSKHE-JAVAKHETI LEGAL AID BUREAU

| | |
|---|---|
| **სამოქმედო ტერიტორია** | ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ბორჯომის რაიონები |
| **თანამშრომლები** | ■ ბიუროს უფროსი: დავით ზარიძე<br>■ საზოგადოებრივი ადვოკატი: 5<br>■ კონსულტანტი: 1<br>■ სპეციალისტი: 1 |
| **2010 წლის სტატისტიკა** | ■ წარმოებაში მიღებული საქმეები: 783<br>■ გაწეული კონსულტაციები: 416<br>■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 120 |

| | |
|---|---|
| **Area of Activity** | Regions of Adigeni, Akhaltsikhe, Aspindza, Akhalkalaki, Ninotsminda and Borjomi |
| **Staff** | ■ Head of the bureau: David Zaridze<br>■ Public attorneys: 5<br>■ Consultants: 1<br>■ Specialists: 1 |
| **Statistical Data for 2010** | ■ Cases considered in proceedings: 783<br>■ Implemented consultations: 416<br>■ Legal documents compiled: 120 |

### სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, დავით კურტანიძის, ძალისხმევით, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისათვის მსჯავრდებული უცხოელები სასამართლო დარბაზიდან განთავისუფლდნენ



კამერუნის მოქალაქეები ედვინ ნ. და ეკონა ფ., რომლებიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და განმეორებით გადაკვეთის მცდელობისათვის რვაწლიან სასჯელს იხდიდნენ, ადვოკატ დავით კურტანიძის დახმარებით პატიმრობიდან განთავისუფლდნენ.

აღმოჩნდა, რომ მსჯავრდებულები თავდაპირველად დააკავეს როგორც სომალის მოქალაქეები – როლინგ ზ. და ანდოჰ გ., თურქეთში უკანონოდ გადასვლის მცდელობისას. ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ისინი დამნაშავეებად ცნო და ორივე დანაშაულისათვის სასჯელის სახით რვა წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. ამის შემდეგ მსჯავრდებულებმა სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს მიმართეს. მათი ინტერესების დაცვას ადვოკატი დავით კურტანიძე შეუდგა.

დავით კურტანიძემ ახალციხის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა და ორივე მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა მოითხოვა. ადვოკატმა მოიპოვა მტკიცებულებები სასამართლოს მიერ არასწორად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. კერძოდ, როლინგ ზ. სინამდვილეში იყო ედვინ ნ., ხოლო ანდოჰ გ. იყო ეკონა ფ. ორივე მსჯავრდებული, ნაცვლად სომალისა, კამერუნის მოქალაქე იყო. ამასთან, ისინი საქართველოში კანონიერი გზით იყვნენ შემოსულები.

სააპელაციო სასამართლომ საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და საზოგადოებრივი ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფები საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებაში გაამართლა. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისათვის კი გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. მსჯავრდებულებს ხუთ-ხუთი წლით გამოსაცდელი ვადა დაუწესდათ და ისინი სასამართლო დარბაზიდან განთავისუფლდნენ.

## THROUGH THE ASSISTANCE OF SAMTSKHE-JAVAKHETI LEGAL AID BUREAU LAWYER, MR. DAVID KURTANIDZE, FOREIGN DEFENDANTS CHARGED WITH ILLEGALLY CROSSING THE BORDER WERE RELEASED FROM THE COURTROOM

The citizens of Cameroon, Edwin N. and Ekona P., who were serving a sentence of 8 years for illegal border crossing and repeated attempts, were released from imprisonment through the efforts of attorney David Kurtanidze.

It was discovered that the defendants were initially detained as citizens of Somalia, Rolling Z. and Andoh G., for illegally crossing the border into Turkey. The Akhaltsikhe District Court found them guilty and sentenced them to eight years imprisonment for both violations. Subsequently, the defendants addressed the Samtskhe-Javakheti Legal Aid Bureau. Attorney David Kurtanidze commenced the protection of their interests.

David Kurtanidze lodged an appeal against the verdict of the Akhaltsikhe District Court and requested that both defendants be acquitted. The attorney obtained evidence with regards to factual circumstances incorrectly determined by the Court. In particular, the true identity of Rolling Z. was Edwin N., and Andoh G. was in reality Ekona P. Both defendants were citizens of Cameroon, instead of Somalia. Moreover, they had crossed the Georgian border legally.

The appellate Court partially granted the appeal and acquitted the clients of the public attorney of illegally crossing the Georgian border. For the attempted illegal border crossing a plea agreement was formulated. The defendants were sentenced to five years probation each, upon which they were released from the courtroom.

## 3.7 იმერეთი-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო
## IMERETI-ZESTAPONI LEGAL AID BUREAU

| | |
|---|---|
| **სამოქმედო ტერიტორია** | ზესტაფონის, თერჯოლის, ხარაგაულის, საჩხერისა და ჭიათურის რაიონები |
| **თანამშრომლები** | ■ ბიუროს უფროსი: გელა ბერაძე<br>■ საზოგადოებრივი ადვოკატი: 6<br>■ კონსულტანტი: 1<br>■ სპეციალისტი: 1 |
| **2010 წლის სტატისტიკა** | ■ წარმოებაში მიღებული საქმეები: 319<br>■ გაწეული კონსულტაციები: 1515<br>■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 443 |

| | |
|---|---|
| **Area of Activity** | Regions of Zestaponi, Terjola, Kharagauli, Sachkhere, and Tchiatura |
| **Staff** | ■ Head of the bureau: Gela Beradze<br>■ Public attorneys: 5<br>■ Consultants: 1<br>■ Specialists: 1 |
| **Statistical Data for 2010** | ■ Cases considered in proceedings: 319<br>■ Implemented consultations: 1515<br>■ Legal documents compiled: 443 |



## იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტის, თამარ ოზოლაძის, დახმარებით, მოქალაქე 27 ათასი ლარის გადახდის დაკისრებას გადაურჩა

მოქალაქე ნარგიზ გ.-მ იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს ქონებრივი დავის პრობლემით მიმართა. მისი განმარტებით, მან ზესტაფონის ტერიტორიაზე უძრავი ქონება შეიძინა. თუმცა, ეს ფაქტი სადავო გახადა მესამე პირმა, ომარ მ.-მ, რომელსაც თავდაპირველ მესაკუთრესთან საქირავნო ურთიერთობა აკავშირებდა. ომარ მ. სასამართლოში წარადგენილი სარჩელით ამტკიცებდა, რომ მან სადავო ქონების გაუმჯობესება განახორციელა და, უსაფუძვლო გამდიდრების გამო, ნარგიზი გ.-საგან 27112 ლარისა და 90 თეთრის გადახდას ითხოვდა.

იმერეთის-ზესტაფონის ბიუროს კონსულტანტმა, თამარ ობოლაძემ, ნარგიზი გ.-სთვის მომზადებულ შესაგებელში საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და შესაბამის საკანონმდებლო ნორმებზე გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, შესაგებელში აღინიშნა, რომ მოსარჩელე ვერ ასაბუთებდა, როდის მოახდინა ქონების გაუმჯობესება: ნარგიზი გ.-ს მიერ ქონების შეძენამდე, თუ მას შემდეგ. გარდა ამისა, ომარ მ. ვერ უთითებდა, ჰქონდა თუ არა მიღებული მესაკუთრის სავალდებულო თანხმობა ქონებაზე განხორციელებულ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ასევე, გასაჩივრების შემდეგ, სააპელაციო სასამართლომაც სრულად გაიზიარეს კონსულტანტ თამარ ობოლაძის შესაგებელში ჩამოყალიბებული პოზიცია. მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნა უარყოფილ იქნა და ნარგიზ გ. 27 ათასი ლარის გადახდის დაკისრებას გადაურჩა.

## THROUGH THE EFFORTS OF IMERETI-ZESTAPONI LEGAL AID BUREAU CONSULTANT, MS TAMAR OBOLADZE, A CITIZEN AVOIDED THE OBLIGATION TO PAY GEL 27,000

Citizen Nargiz G. approached the Imereti-Zestaponi Legal Aid Bureau with an issue of property dispute. According to her, she had purchased real estate on the territory of Zestaponi. However, this fact was disputed by a third person, Omar M., who was associated with the original owner through rent. Omar M., through a suit filed in court, claimed that he had carried out improvements to the disputed property, and thus, on the account of the so called “unfounded wealth” requested her to pay 27,112 lari and 90 tetri.

The consultant of the Imereti-Zestaponi Legal Aid Bureau, Tamar Oboladze, in a rebuttal action prepared for Nargiz G., drew attention to the factual circumstances existing in the case and relevant legal norms.

In particular, the rebuttal noted that the claimant failed to submit evidence confirming the exact time the improvements were conducted – before or after Nargiz G. acquired the property. In addition, Omar M. was unable to indicate whether he had obtained mandatory consent from the owner for the improvements carried out on the property.

Both the trial court and the appellate court, following the appeal, fully considered the position established by consultant Tamar Oboladze in the counter lawsuit. The request of the opposing party was rejected and Nargiz G. avoided the payment of more than GEL 27,000.

## იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს სპეციალისტის, ელისო ბოგვერაძის, დახმარებით მოქალაქეს საცხოვრებელი ბინა საკუთრებაში გადაეცა



მოქალაქე პაშა კ.-მ იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს საცხოვრებელი ბინის დაკანონების პრობლემით მიმართა. პაშა კ.-ს განმარტებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა უარს აცხადებდა იმ ერთადერთი საცხოვრებლის პრივატიზებაზე, რომელშიც იგი წლების განმავლობაში ცხოვრობდა.

იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს სპეციალისტის, ელისო ბოგვერაძის, დახმარებით, გამგეობის უარი ჯერ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გასაჩივრდა. თუმცა, საკრებულომ გამგეობის პოზიცია გაიზიარა. ამის შემდგომ ელისო ბოგვერაძემ სარჩელი ზესტაფონის რაიონულ სასამართლოსთვის მოამზადა.

სარჩელში აღინიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებები პაშა კ.-ს საკუთრების მოპოვებაზე კანონიერ უფლებას ულახავდა. სასარჩელო განცხადებასთან ერთად წარდგენილი იქნა ბინაში ჩაწერის დოკუმენტი, ფორმა

THROUGH THE ASSISTANCE OF IMERETI-ZESTAPONI LEGAL AID BUREAU SPECIALIST, MS ELISO BOGVERADZE, A CITIZEN RECEIVED OWNERSHIP OF AN APARTMENT

Citizen Pasha K. approached the Imereti-Zestaponi Legal Aid Bureau with an issue of residential apartment legalization. As stated by Pasha K., the local municipal administration refused to privatize the apartment where he had been living for many years.

With the assistance of the Imereti-Zestaponi Legal Aid Bureau specialist, Eliso Bogveradze, an appeal against the refusal of the administration was lodged with the Zestaponi Municipality Council. However, the Council concurred with the position of the administration. Subsequently, Eliso Bogveradze filed a suit in the Zestaponi District Court.

The lawsuit stipulated that the decisions of the administrative bodies hindered the legitimate right of Pasha K. to obtain property. Along with the statement of appeal, a document asserting the registration of the owner of the apartment, Form #17, was presented. Though the Form confirmed legal ownership of the apartment, it had not been previously considered by the municipal administration and Council. The lawsuit was based on the Presidential Decree #73 and the requirements of the 1964 Civil Code. Moreover, the fact that the submitted documentation was quite sufficient for the administrative bodies to issue a statement on the legalization of the apartment was also substantiated. Ultimately, the Zestaponi District Court granted Pasha K.'s appeal and acknowledged his legal ownership of the apartment.

№17, რაც ადასტურებდა ბინის კანონიერ მოსარგებლეობას, თუმცა, თავის დროზე გამგეობისა და საკრებულოს მიერ გათვალისწინებული არ იქნა. სარჩელი პრეზიდენტის №73 ბრძანებულებასა და 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს დაეფუძნა. ასევე დასაბუთებული იყო, რომ წარდგენილი დოკუმენტაცია ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ბინის დასაკანონდებლად სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო. საბოლოოდ, ზესტაფონის რაიონული სასამართლომ პაშა კ.-ს მოთხოვნა დააკმაყოფილა და იგი ბინის კანონიერ მესაკუთრედ აღიარა.

## 3.8 იმერეთი-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო
## IMERETI-KUTAISI LEGAL AID BUREAU

| | |
|---|---|
| **სამოქმედო ტერიტორია** | ქალაქი ქუთაისი, ასევე, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ხონის, წყალტუბოსა და ტყიბულის რაიონები |
| **თანამშრომლები** | ▪ ბიუროს უფროსი: გელა სიორდია<br>▪ საზოგადოებრივი ადვოკატი: 9<br>▪ კონსულტანტი: 1<br>▪ სპეციალისტი: 1 |
| **2010 წლის სტატისტიკა** | ▪ წარმოებაში მიღებული საქმეები: 1401<br>▪ გაწეული კონსულტაციები: 857<br>▪ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 157 |

| | |
|---|---|
| **Area of Activity** | City of Kutaisi, regions of Baghdati, Vani, Samtredia, Khoni, Tskaltubo and Tkibuli |
| **Staff** | ▪ Head of the bureau: Gela Siordia<br>▪ Public attorneys: 9<br>▪ Consultants: 1<br>▪ Specialists: 1 |
| **Statistical Data for 2010** | ▪ Cases considered in proceedings: 1401<br>▪ Implemented consultations: 857<br>▪ Legal documents compiled: 157 |

## იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს სპეციალისტის, სოფიო ყუბანეიშვილის, ძალისხმევით ორი მცირეწლოვანი ბავშვი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა



მოქალაქე მაკა ნ.-მ იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უსახლკაროდ დარჩენილი მცირეწლოვანი შვილების პრობლემით მიმართა. იგი ითხოვდა სარჩელის მომზადებას მამის ქონებიდან ბავშვების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესახებ. მაკა ნ.-ს მდგომარეობას ართულებდა ის გარემოება, რომ ქორწინების პერიოდში მას და მის მეუღლეს ქონება ერთად არ ჰქონდათ შეძენილი. ბავშვების მამას კი, რომელიც გარკვეული საცხოვრებელი ფართით სარგებლობდა, ეს ფართი საკუთრებაში არ გააჩნდა.

მოქალაქეს იურიდიული დახმარება იმერეთის-ქუთაისის ბიუროს სპეციალისტმა, სოფიო ყუბანეიშვილმა, გაუწია. კერძოდ, სოფიო ყუბანეიშვილმა მოამზადა სარჩელი, რომლითაც ბავშვების მამისგან მოითხოვდა შვილებისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფას საცხოვრებელი ან სხვა ალტერნატიული ფართიდან. სასარჩელო მოთხოვნა დასაბუთდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე და 1198-ე მუხლებით, ასვე ბავშვთა უფლებათა კონვენციის 16-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 18-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 27-ე მუხლით.

2010 წლის ივნისში ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სოფიო ყუბანეიშვილის მიერ მომზადებული სარჩელი სრულად დააკმაყოფილა და გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მშობლები უფლებამოსილნი და მოვალენი არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, ასეთი კი შეუძლებელია ბავშვისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფის გარეშე.

2010 წლის დეკემბრის დასაწყისში კი სასამართლოს გადაწვეტილება აღსრულდა და ორმა მცირეწლოვანმა ბავშვმა საცხოვრებელი ბინა მიიღო.

## THROUGH THE EFFORTS OF THE IMERETI-KUTAISI LEGAL AID BUREAU CONSULTANT, MS SOPHIO KUBANEISHVILI, TWO MINOR CHILDREN WERE PROVIDED WITH HOUSING

Citizen Maka N. approached the Imereti-Kutaisi Legal Aid Bureau with an issue concerning her two minor children who had been left homeless. She requested the preparation of a suit to provide the children with housing from the property of their father.

The circumstances were complicated by the fact that during the marriage, she had not acquired any properties jointly with her spouse. The children's father, who used an accommodation space, had no title to it.

Legal aid for a citizen was provided by the Imereti-Kutaisi Legal Aid Bureau specialist, Sophio Kubaneishvili. Specifically, the specialist prepared a lawsuit wherein she requested the children's father to allocate housing from available living space or at another alternative space. The lawsuit was substantiated by Articles 1,197 and 1,198 of the Civil Code of Georgia, as well as part 1 of Article 16, part 1 of Article 18, and Article 27 of the UN Convention on the Rights of the Child. In June 2010, primarily taking into account the interests of the children, the Kutaisi District Court fully upheld Sophio Kubaneishvili's appeal, and stipulated that parents are entitled and obligated to raise their children, care for their physical, mental, spiritual, and social development, and raise them as worthy members of society. This, however, is unfeasible without the provision of appropriate housing for the child.

In December 2010, the decision of the Court was enforced and the two minor children received a residential apartment.

## 3.9 სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო
## SAMEGRELO-ZUGDIDI LEGAL AID BUREAU

| | |
|---|---|
| სამოქმედო ტერიტორია | ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და მესტიის რაიონები |
| თანამშრომლები | ■ ბიუროს უფროსი: რომან კეიდია<br>■ საზოგადოებრივი ადვოკატი: 7<br>■ კონსულტანტი: 1<br>■ სპეციალისტი: 1 |
| 2010 წლის სტატისტიკა | ■ წარმოებაში მიღებული საქმეები: 589<br>■ გაწეული კონსულტაციები: 1780<br>■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 625 |

| | |
|---|---|
| **Area of Activity** | Regions of Zugdidi, Khobi, Tsalenjikha, Chkhorotsku and Mestia |
| **Staff** | ■ Head of the bureau: Roman Keidia<br>■ Public attorneys: 9<br>■ Consultants: 1<br>■ Specialists: 1 |
| **Statistical Data for 2010** | ■ Cases considered in proceedings: 589<br>■ Implemented consultations: 1780<br>■ Legal documents compiled: 625 |

### სამეგრელოს-ზუგდიდის ბიუროს კონსულტანტის, ნინო მინჯიას, დახმარებით აფხაზეთიდან დევნილს სახელფასო დავალიანება აუნაზღაურდა



აფხაზეთიდან დევნილმა გურამ ა.-მ სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს სახელფასო დავალიანების პრობლემით მიმართა. იგი 1998-2004 წლებში, ზემდეგის წოდებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოხუმის რაიონულ სამმართველოში მუშაობდა. ამ პერიოდში სამსახურს მის მიმართ დაუგროვდა სახელფასო დავალიანება 1185 ლარის და 93 თეთრის ოდენობით.

ბიუროში მომართვის შემდეგ, კონსულტანტმა, ნინო მინჯიამ, შეადგინა სარჩელი, რომლითაც ითხოვდა მოპასუხე მხარეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს – სახელფასო დავალიანების ანაზღაურება დაკისრებოდა. სარჩელი ეფუძნებოდა საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-9 და 134-ე მუხლებს, ასევე, შრომის კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლ პუნქტს, რითაც დასტურდებოდა გურამ ა.-ს უფლება, კუთვნილი თანხა მიეღო. საბოლოოდ, სარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მოქალაქეს სახელფასო დავალიანება აუნაზღაურდა.

### THROUGH THE ASSISTANCE OF SAMEGRELO-ZUGDIDI LEGAL AID BUREAU CONSULTANT, MS NINO MINJIA, AN IDP FROM ABKHAZIA WAS REFUNDED SALARY ARREARS

Guram A., an internally displaced person from Abkhazia, approached the Samegrelo-Zugdidi Legal Aid Bureau with the issue of accumulated salary arrears. During the period of 1998-2004, he worked at the Sokhumi District Municipality of the Ministry of Internal Affairs of the Autonomous Republic of Abkhazia with the rank of sergeant-major. Throughout this period, his workplace accumulated salary arrears to the amount of 1,185 lari and 93 tetri.

Following his appeal to the Bureau, consultant Nino Minjia compiled a lawsuit requesting the respondent party, the Financial and Economic Department of the Ministry of Internal Affairs of Georgia, to pay the salary arrears.

The lawsuit was based on Articles 9 and 134 of the Public Service Law, and paragraph 1 of Article 2 of the Labor Code, which asserted Guram A.'s right to receive the aforesaid amount of money. Ultimately, the claim was upheld and the citizen in question was paid the salary arrears.

## 3.10 სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო
## SAMEGRELO-POTI LEGAL AID BUREAU

| | |
|---|---|
| **სამოქმედო ტერიტორია** | ქალაქი ფოთი, ასევე სენაკის, აბაშისა და მარტვილის რაიონები |
| **თანამშრომლები** | ■ ბიუროს უფროსი: ნათია ბოჯგუა<br>■ საზოგადოებრივი ადვოკატი: 4<br>■ კონსულტანტი: 1<br>■ სპეციალისტი: 1 |
| **2010 წლის სტატისტიკა** | ■ წარმოებაში მიღებული საქმეები: 275<br>■ გაწეული კონსულტაციები: 528<br>■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 285 |

| | |
|---|---|
| **Area of Activity** | City of Poti, regions of Senaki, Abasha and Martvili |
| **Staff** | ■ Head of the bureau: Natia Bojgua<br>■ Public attorneys: 9<br>■ Consultants: 1<br>■ Specialists: 1 |
| **Statistical Data for 2010** | ■ Cases considered in proceedings: 275<br>■ Implemented consultations: 528<br>■ Legal documents compiled: 285 |

### სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, როზეტა ზარქუას, ძალისხმევით ქურდობის მცდელობაში მსჯავრდებულს სასჯელი შეუმსუბუქდა



ქურდობის მცდელობაში მსჯავრდებულ ჯაბა მ.-ს, რომელსაც ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, ადვოკატ როზეტა ზარქუას აქტიური ძალისხმევის შედეგად პირობითი სასჯელი განესაზღვრა და დამატებითი სასჯელის – ჯარიმის გარეშე – სასამართლოს სხდომის დარბაზიდან განთავისუფლდა.

ადვოკატი როზეტა ზარქუა საქმეში მისი დაცვის ქვეშ მყოფისათვის ბრალის წარდგენის მომენტიდან ჩაერთო. ჯაბა მ. თავს დამნაშავედ ცნობდა. აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, ბრალდების მხარემ ჯაბა მ.-სთვის დაპატიმრების შერჩევა იშუამდგომლა. დაცვის მხარე კი 2000 ლარის ოდენობით გირაოს შეფარდებას ითხოვდა, რაც არც პირველი ინსტანციის სასამართლომ და არც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარეს.

ამის შემდგომ, სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატმა – როზეტა ზარქუამ, პროკურატურას საპროცესო შეთანხმების გაფორ-

### THROUGH THE EFFORTS OF SAMEGRELO-POTI LEGAL AID BUREAU LAWYER, MS ROSETTA ZARKUA, THE VERDICT FOR A DEFENDANT ACCUSED OF ATTEMPTED THEFT WAS REDUCED

Through the active assistance of attorney Rosetta Zarkua, Jaba M., accused of attempted theft, and threatened with four to seven years imprisonment, received a conditional sentence and was released from the courtroom without the penalty of a fine.

Attorney Rosetta Zarkua became involved in the case from the moment of her client's indictment. Jaba M. pleaded guilty to the charges presented. Opting for punitive measures against the accused, the prosecution requested for a sentence of imprisonment. The defense, in turn, solicited for bail set to the amount of GEL 2,000, which was not upheld neither by the trial court, nor the appellate court.

Subsequently, the Samegrelo-Poti Legal Aid Bureau attorney Rosetta Zarkua appealed to the Prosecutor's Office with a request to formulate a plea bargain. Her appeal was supplemented by documentary support of Jaba M.'s family and social status. The conditions proposed by the defense were fully accepted by the Prosecutor's Office, and the case was closed with favorable results for Jaba M. He received a suspended sentence without additional penalty and was released from imprisonment.

მების განცხადებით მიმართა. განცხადებას თან ჯაბა მ.-ს ოჯახური და სოციალური მდგომარეობის შესახებ ცნობები ერთვოდა. დაცვის მხარის შეთავაზებული პირობები პროკურატურამ სრულად დააკმაყოფილა და საქმე ჯაბა მ.-სათვის ხელსაყრელი შედეგით დასრულდა. მას განესაზღვრა პირობითი სასჯელი დამატებითი ჯარიმის გარეშე და იგი პატიმრობიდან განთავისუფლდა.

## სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტის, მაია დარასელიას, დახმარებით მოქალაქეს სახელფასო დავალიანება აუნაზღაურდა



მოქალაქე ზაზა რ.-მ სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს იმ სახელფასო დავალიანების პრობლემით მიმართა, რომელიც მის მიმართ 1998-2003 წლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუგროვდა. ზაზა რ.-ს კუთვნილი თანხა 1055 ლარსა და 39 თეთრს შეადგენდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ზაზა რ.-ს სახელზე გაგზავნილ წერილში მის მიმართ არსებულ დავალიანებას აღიარებდა, თუმცა, ბიუჯეტში შესაბამისი თანხების არარსებობის გამო, მისი ანაზღაურებისგან თავს იკავებდა. ამ გარემოებასა და სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმებზე, მათ შორის, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-4 და 37-ე მუხლებზე, სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლზე, საქართველოს კონსტიტუტციის 30-ე მუხლსა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე დაყრდნობით, სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტმა, მაია დარასელიამ, შესაბამისი სარჩელი მოამზადა. მოსარჩელე შინაგან საქმეთა სამინისტროსგან სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას მოითხოვდა. სასამართლომ მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა და ზაზა რ.-მ კუთვნილი თანხა მიიღო.

## THROUGH THE ASSISTANCE OF SAMEGRELO-POTI LEGAL AID BUREAU CONSULTANT, MS MAYA DARASELIA, A CITIZEN RECEIVED REIMBURSEMENT FOR SALARY ARREARS

Citizen Zaza R. approached the Samegrelo-Poti Legal Aid Bureau with an issue of salary arrears which were accumulated during the period of 1998-2003 by the Ministry of Internal Affairs of Georgia. The total sum amounted to 1,055 lari and 39 tetri.

The Ministry of Internal Affairs, in its letter addressed to Zaza R., had recognized the existence of the salary arrears. However, due to the unavailability of funds in the budget, they had withheld payment of the arrears. Based on these circumstances, as well as various legislative norms, including Articles 4 and 37 of the Public Service Law, Article 137 of the Civil Code, Article 30 of the Constitution of Georgia and the UN Universal Declaration of Human Rights, the Samegrelo-Poti Legal Aid Bureau consultant Maya Daraselia prepared a lawsuit. The plaintiff requested the Ministry of Internal Affairs to pay the salary arrears. The Court fully upheld the lawsuit, and Zaza R. received appropriate compensation.

## 3.11 აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო
## SAMEGRELO-POTI LEGAL AID BUREAU

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამოქმედო ტერიტორია** | ქალაქი ბათუმი, ასევე ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევისა და ქედის რაიონები | **Area of Activity** | City of Batumi, regions of Kobuleti, Khelvachauri, Shuakhevi and Keda. |
| **თანამშრომლები** | ■ ბიუროს უფროსი: იამზე ზანდარაძე<br>■ საზოგადოებრივი ადვოკატი: 7<br>■ კონსულტანტი: 1<br>■ სპეციალისტი: 1 | **Staff** | ■ Head of the bureau: Iamze Zandaradze<br>■ Public attorneys: 7<br>■ Consultants: 1<br>■ Specialists: 1 |
| **2010 წლის სტატისტიკა** | ■ წარმოებაში მიღებული საქმეები: 837<br>■ გაწეული კონსულტაციები: 350<br>■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 101 | **Statistical Data for 2010** | ■ Cases considered in proceedings: 837<br>■ Implemented consultations: 350<br>■ Legal documents compiled: 101 |

### აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტის, მაია ბოლქვაძის, დახმარებით სოციალურად დაუცველი მოქალაქე 2000 ლარით დაჯარიმებას გადაურჩა



მოქალაქე ზვიად ა.-მ აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს მიმართა მას შემდეგ, რაც ის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისათვის 2000 ლარით დაჯარიმდა. იმ დროისათვის იგი უკვე იხდიდა პირობით სასჯელს, რომელიც მას ქურდობის ჩადენისათვის დაენიშნა.

აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტმა, მაია ბოლქვაძემ, ჯარიმის დაკისრება ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა და შესაბამისი ოქმების ბათილად ცნობა მოითხოვა. თავის მოთხოვნას მაია ბოლქვაძე ასაბუთებდა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ კანონით, რომლის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „არასრულწლოვნები, აგრეთვე ის მსჯავრდებულები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომელთა სოცი-

### THROUGH THE EFFORTS OF AJARA LEGAL AID BUREAU CONSULTANT, MS MAYA BLOCKADE, A DISADVANTAGED CITIZEN AVOIDED PAYMENT OF A FINE IN THE AMOUNT OF GEL 2,000

Citizen Vida A. approached the Ajara Legal Aid Bureau after he was fined GEL 2,000 for illegally crossing the border. At the time he was already serving a conditional sentence which was imposed on him for theft.

The Ajara Legal Aid Bureau consultant, Maya Bolkvadze, lodged an administrative appeal against the imposition of the fine and requested the annulment of the fine.

Maya Bolkvadze's request was substantiated by the Law on Non-Custodial Punishments and Probation, part 2 of Article 15 of which states that "minors, and those defendants who are registered in the unified database for vulnerable families, and the indicator of their socio-economic condition is lower than the marginal score established by the Government of Georgia in order to receive subsistence allowance, shall be exempt from the obligations to pay fees and fines defined by Articles 12, 13, and 14 of the present Law."

Following the submission of the lawsuit and attached documents prepared by the consultant, the Court recognized the penalty protocols as not applicable in the present case, and Zviad A., as a socially vulnerable individual, was freed from the obligation to pay the aforementioned fine of GEL 2,000.

ალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი ნაკლებია საარსებო შემწეობის მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე, გათავისუფლებული არიან ამ კანონის მე-12, მე-13 და მე-14 მუხლებით დადგენილი საფასურისა და ჯარიმის გადახდის ვალდებულებისაგან“.

კონსულტანტის მიერ მომზადებული სარჩელის და თანდართული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, სასამართლომ ბათილად ცნო დაჯარიმების ოქმები და ზვიად ა., როგორც სოციალურად დაუცველი მოქალაქე, 2000 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდისაგან განთავისუფლდა.

## 3.12 ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი
## AMBROLAURI CONSULTATION CENTER

| | |
|---|---|
| **სამოქმედო ტერიტორია** | ონის, ამბროლაურის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონები |
| **თანამშრომლები** | ■ კონსულტანტი: თეა ჩიკვაიძე |
| **2010 წლის სტატისტიკა** | ■ გაწეული კონსულტაციები: 483<br>■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 133 |

| | |
|---|---|
| **Area of Activity** | Regions of Oni, Ambrolauri, Tsageri and Lentekhi |
| **Staff** | ■ Consultant: Thea Chikvaidze |
| **Statistical Data for 2010** | ■ Implemented consultations: 483<br>■ Legal documents compiled: 133 |

### ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრის იურისტის, თეა ჩიკვაიძის, დახმარებით მოქალაქე დამატებითი ჯარიმის გადახდას გადაურჩა



მოქალაქე კობა ხ.-ს, რომელიც ონიდან 3მ³ მოცულობის წიწვოვანი ჯიშის დახერხილ მასალას ეზიდებოდა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, საშეშე მერქნის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე ხე-ტყის ტრანსპორტირებისათვის – 50 ლარის, ხოლო გარემოზე მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად – 660 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრა. გარდა ამისა, კობა ხ.-ს ჩამოერთვა დამუშავებული მასალაც.

კობა ხ.-მ ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრს მიმართა. საკონსულტაციო ცენტრის იურისტმა, თეა ჩიკვაიძემ, გულდასმით შეისწავლა საკითხი. როგორც გაირკვა, კობა ხ. ისე დაჯარიმდა, რომ ამბროლაურის რაიონული სასამართლო საქმის დეტალებით არ დაინტერესებულა. აღმოჩნდა, რომ კობა ხ.-მ ხე-ტყე, სრულიად კანონიერად, მოქალაქე რომანოზ მ.-სგან შეიძინა, თუმცა სასამართლომ იგი მოწმედაც არ დაკითხა.

### THROUGH THE ASSISTANCE OF AMBROLAURI CONSULTATION CENTER LAWYER, MS. THEA CHIKVAIDZE, A CITIZEN AVOIDED THE PAYMENT OF AN ADDITIONAL FINE

According to the Code of Administrative Offenses, Citizen Koba Kh., who was transporting 3m³ of coniferous timber, was fined GEL 50 for the transportation of firewood without appropriate documentation attesting its legality, and GEL 660 for damage caused to the environment. In addition, the material in possession of Koba Kh. was confiscated.

თეა ჩიკვაიძემ მოამზადა საჩივარი, რომლითაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გაუქმებასა და ადმინისტრაციული საქმის შეწყვეტას ითხოვდა. სარჩელს დაერთო რომანოზ მ.-ს ახსნა-განმარტება, რომლითაც იგი ადასტურებდა, რომ კობა ხ.-ს მართლაც მიჰყიდა წიწვოვანი ჯიშის ხე-ტყე. გარდა ამისა, სარჩელს ასევე მთავარი მტკიცებულება – ხე-ტყის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტიც დაერთო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ უმეტესწილად გაიზიარა ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები და არგუმენტები და გააუქმა ამბროლაურის რაიონული სასამართლოს დადგენილება გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და წიწვოვანი ჯიშის დახერხილი მასალის კონფისკაციის ნაწილში. საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოში და, საბოლოოდ, კ.ხ-ს სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა მხოლოდ 50 ლარის ოდენობით.

When Koba Kh. Approached the Ambrolauri Consultation Center, the Consultation Center attorney, Thea Chikvaidze, meticulously studied the issue. As it turned out, the Ambrolauri District Court imposed the fine on Koba Kh. without taking interest in the details of the case. Evidently, Koba Kh. had legally acquired the timber from another citizen Romanoz M., who was not even summoned by the Court as a witness.

Thea Chikvadze prepared a lawsuit requesting the annulment of the imposition of the fine, and the cessation of administrative proceedings. The lawsuit was supplemented by an explanatory note submitted by Romanoz M. asserting that he had indeed sold the coniferous wood to Koba Kh. Moreover, the lawsuit included the principal evidence – documentation establishing the legality of the timber.

The appellate court of Kutaisi largely accepted the evidence and arguments submitted by the Ambrolauri Consultation Center, and annulled the decision of the Ambrolauri District Court with regards to the compensation for environmental damage and the confiscation of the coniferous timber.

The matter was referred to the trial court for reconsideration, and, ultimately, Koba Kh. received a fine of GEL 50.

## 3.13 ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი
## OZURGETI CONSULTATION CENTER

| | |
|---|---|
| **სამოქმედო ტერიტორია** | ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონები |
| **თანამშრომლები** | ■ კონსულტანტი: იამზე მემარნიშვილი |
| **2010 წლის სტატისტიკა** | ■ გაწეული კონსულტაციები: 1028<br>■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 109 |

| | |
|---|---|
| **Area of Activity** | Regions of Ozurgeti, Chokhatauri and Lanchkhuti |
| **Staff** | ■ Consultant: Iamze Memarnishvili |
| **Statistical Data for 2010** | ■ Implemented consultations: 1028<br>■ Legal documents compiled: 109 |

### ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრის იურისტის, იამზე მემარნიშვილის, დახმარებით კონტროლის პალატის ყოფილ თანამშრომელს სახელფასო დავალიანება აუნაზღაურდა



იურიდიული დახმარების სამსახურის ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრს სოფელ მაკვანეთის მკვიდრმა, ქეთევან კ.-მ, 2010 წლის თებერვალში მიმართა. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატაში და, სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, არ მიუღია წინა წლებში წარმოშობილი სახელფასო დავალიანება, რაც საერთო ჯამში 4 833 ლარს შეადგენდა.

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრის იურისტის, იამზე მემარნიშვილის, მიერ შედგენილი სარჩელით ქეთევან კ-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა. სასამართლომ გადაწყვეტილება მოსარჩელის სასარგებლოდ გამოიტანა და კონტროლის პალატას თანხის გადახდა დააკისრა. თუმცა, ეს გადაწყვეტილება მოპასუხე მხარემ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

შესაბამისად, იამზე მემარნიშვილმა მოამზადა შესაგებელი. სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა ძალაში, მოწინააღმდეგე მხარემ კი გადაწყვეტილება კვლავ გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ქეთევან კ.-ს გამოეგზავნა უზენაესი სასამართლოს განჩინება, რომლითაც მიეცა უფლება წარმოედგინა თავისი მოსაზრება საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით. საკონსულტაციო ცენტრის დახმარებით, ქეთევან კ-მ წარადგინა მოსაზრება და საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო კონტროლის პალატის საჩივარი. საბოლოოდ, ქეთევან კ.-ს სახელფასო დავალიანების სრულად აუნაზღაურდა.

### THROUGH THE EFFORTS OF OZURGETI CONSULTATION CENTER LAWYER, MS IAMZE MEMARNISHVILI, A FORMER EMPLOYEE OF THE CHAMBER OF CONTROL WAS COMPENSATED FOR SALARY ARREARS

A resident of the village of Makvaneti, Ketevan K. approached Ozurgeti Consultation Center of the Legal Aid Service in February 2010. She had been working at the Chamber of Control of Georgia for many years, and, following her dismissal, had not received salary arrears accumulated in previous years, which amounted to GEL 4,833.

Ketevan K. appealed to the Tbilisi District Court with a lawsuit compiled by the Ozurgeti Consultation Center attorney, Iamze Memarnishvili. The Court ruled in favor of the plaintiff and imposed an obligation on the Chamber of Control to pay the arrears. However, the respondent party lodged an appeal against this ruling with the appellate court.

Consequently, Iamze Memarnishvili prepared a counter lawsuit. The appellate court upheld the decision of the municipal court in force, and the respondent party, in turn, lodged an appeal against the ruling with the Supreme Court of Georgia. Ketevan K. received the verdict of the Supreme Court, which granted her the right to provide her opinion regarding the admissibility of the complaint. With the assistance of the Consultation Center, Ketevan K. submitted her opinion and the Court of Cassation recognized the appeal of the Chamber of Control inadmissible. Ultimately, Ketevan K. received full payment of salary arrears.

## 3.14 ახალქალაქის საკონსულტანციო ცენტრი
## AKHALKALAKI CONSULTATION CENTER

| | |
|---|---|
| **სამოქმედო ტერიტორია** | ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები |
| **თანამშრომლები** | ■ კონსულტანტი: ვასილ ბალახაძე |
| **2010 წლის სტატისტიკა (სექტემბერი-დეკემბერი)** | ■ გაწეული კონსულტაციები: 322<br>■ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 121 |

| | |
|---|---|
| **Area of Activity** | Regions of Akhalkalaki and Ninotsminda |
| **Staff** | ■ Consultant: Vasil Balakhadze |
| **Statistical Data for 2010 (September-December)** | ■ Implemented consultations: 322<br>■ Legal documents compiled: 121 |

### ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრის იურისტის, ვასილ ბალახაძის, დახმარებით მოქალაქეს სახელფასო დავალიანება აუნაზღაურდა

ახალქალაქის რაიონის სოფელ გომანში მცხოვრებმა მარტოხელა დედამ, მარიამ კ.-მ, იურიდიული დახმარების სამსახურის ახლად გახსნილ საკონსულტაციო ცენტრს 2010 წლის ნოემბერში მიმართა. იგი შვიდი თვის განმავლობაში, ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე, ახალქალაქის რაიონის სოფელ ჩამდურაში მცხოვრებ ჟორჟიკ მ.-ის ფერმაში მუშაობდა, რის სანაცვლოდაც უნდა მიეღო შრომის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით. წერილობითი ხელშე-

რულების არარსებობის პირობებში დამსაქმებელი მარიამ კ.-სთვის შრომის ანაზღაურებაზე უარს აცხადებდა.

მარიამ კ.-სთვის გაწეული იურიდიული დახმარების ფარგლებში კონსულტანტმა, ვასილ ბალახაძემ, მოამზადა სარჩელი. სასარჩელო მოთხოვნას სამართლებრივ საფუძვლად დაედო საქართველოს შრომის კოდექსის 6-ე, 31-ე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე, 394-ე და 402-ე მუხლები. სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები კი მოწმის ჩვენებით იყო დადასტურებული. საბოლოოდ, სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სარჩელი და მარიამ კ.-მ კუთვნილი ხელფასის აღება შეძლო.

## THROUGH THE ASSISTANCE OF THE AKHALKALAKI CONSULTATION CENTER LAWYER, MR. VASIL BALAKHADZE, A CITIZEN RECEIVED COMPENSATION FOR SALARY ARREARS

Mariam K., a single mother residing in the village of Gomani in the Akhalkalaki Municipality, approached the newly opened Consultation Center of the Legal Aid Service in November 2010. Over the past seven months, she had been working at the farm owned by Zhorzhik M. on the basis of a verbal agreement, for which she should have received a remuneration of GEL 2,000. In the absence of a written contract, the employer refused to provide compensation for Mariam K.'s labor.

Within the framework of assistance provided to Mariam K., consultant Vasil Balakhadze prepared a lawsuit. His lawsuit was based on Articles 6 and 31 of the Labor Code of Georgia, and Articles 69, 394, and 402 of the Civil Code of Georgia. The factual circumstances of the lawsuit were confirmed by a witness' testimony. Ultimately, the Court fully accepted the plaintiff's arguments and Mariam K. received appropriate compensation.

## ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრის იურისტის, ვასილ ბალახაძის, დახმარებით მოქალაქეს 7275 ლარის ოდენობით ზიანი აუნაზღაურდა

ახალქალაქის რაიონის სოფელ ოკამში მცხოვრებმა ოთარ კ.-მ იურიდიული დახმარების სამსახურის ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრს, ზარალის ანაზღაურების პრობლემით, 2010 წლის ნოემბერში მიმართა.



როგორც სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვეოდა, 2003 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანში მცხოვრები ზაქარია ხ. თაღლითურად დაეუფლა ოთარ კ.-ს კუთვნილ 17,5 ტონა კარტოფილს. მიყენებულმა ზიანმა 7275 ლარი შეადგინა. თუმცა, ზაქარია ხ. უარს ეუბნებოდა ზიანის სრულად ანაზღაურებაზე, რადგან მიიჩნევდა, რომ ზიანი არასწორად იყო გამოთვლილი, ნაწილი კი უკვე ანაზღაურებული ჰქონდა.

ოთარ კ.-სთვის გაწეული იურიდიული დახმარების ფარგლებში, კონსულტანტმა, ვასილ ბალახაძემ, მოამზადა სარჩელი. სარჩელში აღნიშნული იყო, რომ, ახალქალაქის რაიონული სასამართლოს განაჩენით, ზაქარია ხ. თაღლითობისათვის ცნობილ იქნა დამნაშავედ, ოთარ კ. ცნობილი იყო დაზარალებულად, ხოლო ნისიად წაღებული 17,5 ტონა კარტოფილის საფასური 7275 ლარს შეადგენდა. აღნიშნული გარემოებები სისხლის სამართლის საქმიდან მოპოვებული მასალებით დასტურდებოდა. საბოლოოდ, სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სარჩელი და ოთარ კ.-ს ზიანი აუნაზღაურდა.

## THROUGH THE ASSISTANCE OF AKHALKALAKI CONSULTATION CENTER LAWYER, MR. VASIL BALAKHADZE, A CITIZEN RECEIVED COMPENSATION FOR DAMAGES IN THE AMOUNT OF GEL 7,275

Otar K., a resident of the region of Akhalkalaki, approached the Akhalkalaki Consultation Center of the Legal Aid Service with an issue of compensation for losses.

The present case has its origins in an earlier case that took place in 2003. As gathered from the materials of the criminal case proceedings, in 2003, a resident of the village of Tiban in the Sighnaghi Municipality, Zakaria Kh., fraudulently took possession of 17.5 tons of potatoes belonging to Otar K. and was convicted for the same offence. The Damages to the plaintiff amounted to GEL 7,275. However, Zakaria Kh. refused to fully compensate the damage claiming that the amount was not calculated correctly, and that he had already reimbursed a part of it.

Within the framework of assistance extended to Otar K., consultant Vasil Balakhadze prepared a lawsuit indicating that the verdict of the Akhalkalaki District Court found Zakaria Kh. guilty, Otar K. the victim, and the price of the 17.5 tons of potatoes appropriated by the accused amounted to GEL 7,275. The above circumstances were substantiated by material obtained from the said criminal case. Ultimately, the Court fully upheld the lawsuit and Otar K. received compensation for damages.

# იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა
# ACCESS TO LEGAL AID

**2010 წელს არაერთი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით: გაიხსნა ახალი ოფისები, გაუმჯობესდა სამსახურის ინფრასტრუქტურა, დაიხვეწა მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ადმინისტრირება.**

**In 2010, numerous steps were taken to increase access to free legal aid; new offices were opened, the infrastructure of the Service was improved, and the administration of the Contracted Public Lawyers' Register was further elaborated.**

### 4.1 ახალი ოფისები და განახლებული ინფრასტრუქტურა

2010 წლამდე სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ 210 ათას მოქალაქეს, რეგიონის მრავალეთნიკურ მოსახლეობას, უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობა არ შეეძლო. ეს პრობლემა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით გადაწყდა. 2010 წლის იანვარში – ახალციხეში იურიდიული დახმარების ბიურო ამოქმედდა, სექტემბერში კი ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა. ორივე ოფისი თანამედროვე სტანდარტებით გარემონტდა და აღიჭურვა.



სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებული 6 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ბორჯომის რაიონების მოსახლეობას უფასოდ ემსახურებიან. მოქალაქეებს ყველა სახის სამართლებრივი კონსულტაციით, იურიდიული დოკუმენტების შედგენისა და სისხლის სამართლის საქმეებზე საადვოკატო მომსახურებით სარგებლობის საშუალება მიეცათ.

ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრში, რომელიც, ახალქალაქის გარდა, ნინოწმინდის რაიონის მოსახლეობასაც ემსახურება, კონკურსის წესით შერჩეული კვალიფიციური იურისტი დასაქმდა. იგი მოსახლეობას ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე უფასოდ უწევს კონსულტაციას და, საჭიროების შემთხვევაში, იურიდიულ დოკუმენტებსაც ამზადებს. გარდა ამისა, სოციალურად და-

## 4.1 NEW OFFICES AND IMPROVED INFRASTRUCTURE

Prior to 2010, the multiethnic population of Samtskhe-Javakheti consisting of 210 000 citizens, did not have access to free legal aid. This problem was resolved with the support of UNDP. In January 2010, a Legal Aid Bureau began operation in Akhaltsikhe, and in September, the Akhaltsikhe Consultation Center was opened. Both offices were refurbished and equipped to modern standards.

Six public lawyers, consultants and specialists employed in the Samtskhe-Javakheti Legal Aid Bureau provide complimentary service to the residents of Adigeni, Akhaltsikhe, Aspindza, Akhalkalaki, Ninotsminda, and Borjomi. Citizens were provided with the opportunity to receive all types of legal consultation, as well as document drafting and attorney services during criminal proceedings.

Selected on a competitive basis, a qualified lawyer is employed at the Akhalkalaki Consultation Center who, in addition to Akhalkalaki, provides services to the residents of the Ninotsminda district. According to requirement, He provides free consultation on any legal matter, and prepares legal documents. Moreover, socially disadvantaged citizens enjoy free legal services in criminal proceedings. For this purpose, the Contracted Public Lawyers' Register has been created. The Register keeps records of attorneys employed in the private sector. Based on budgetary remuneration, the attorneys provide free legal services to citizens in cases determined by law.

It should be noted that demand for complimentary legal service in the regions is quite high. According to statistical data, the Samtskhe-Javakheti Legal Aid Bureau is one of the busiest offices in terms of criminal cases considered in proceedings. In addition, the number of individuals addressing the Akhalkalaki Consultation Center for legal advice is also increasing.

Together with the opening of new offices, the two functioning Bureaus were reconstructed. The Shida Kartli Legal Aid Bureau was refurbished with the financial support of UNDP. Reconstruction work at the Kvemo Kartli Bureau was carried out at the expense of the state budget.



უცველი მოქალაქეები სისხლის სამართლის საქმეებზე უფასო საადვოკატო მომსახურებითაც სარგებლობენ. ამ მიზნით შეიქმნა მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეგიონული რეესტრი, რომელშიც კერძო სექტორში მოღვაწე ადვოკატები ჩაირიცხნენ. ისინი, საბიუჯეტო ანაზღაურების საფუძველზე, კანონით დადგენილ შემთხვევებში, მოქალაქეებს უფასოდ ემსახურებიან.

აღსანიშნავია, რომ უფასო იურიდიულ დახმარებაზე რეგიონში მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად, სამცხე-ჯავახეთის ბიურო, წარმოებაში მიღებული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობის მიხედვით, ერთ-ერთი დატვირთული ოფისია. ასევე, მზარდია იმ ადამიანების რაოდენობაც, რომლებიც იურიდიული კონსულტაციისათვის ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრს მიმართავენ.

ახალი ოფისების გახსნასთან ერთად, განხორციელდა ორი მოქმედი ბიუროს რეკონსტრუქციაც. შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით გარემონტდა. ქვემო ქართლის ბიუროში სარეკონსტრუქციო სამუშაოები კი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე განხორციელდა.



**გაეროს განვითარების პროგრამის ევროპისა და დსთ-ს ქვეყანების რეგიონული ბიუროს ხელმძღვანელი, ქალბატონი კორი უდოვიჩკი, მაისის დასაწყისში საქართველოში იმყოფებოდა. მან გორში 2010 წლის 8 მაისს იურიდიული დახმარების განახლებული ბიუროს გახსნაში მიიღო მონაწილეობა და სიტყვითაც გამოვიდა.**

**Director of the Regional Bureau of UNDP for Europe and Commonwealth of Independent States (RBEC), Dr. Kori Udovički, visited Georgia in May. On May 8, 2010, she participated in the opening ceremony of the renovated Legal Aid Bureau in Gori, and presented a speech.**

„საქართველო აშენებს ახალ სისტემას და ამდენად, ადამიანის უფლებების დაცულობის გარანტიების არსებობა, უბრალოდ, აუცილებელია. იურიდიული დახმარება ძალიან მნიშვნელოვანია გაჭირვებული მოსახლეობისთვის, დევნილებისთვის, რომელთა რაოდენობამ ომის შემდეგ ამ რეგიონში ძალიან იმატა. მათთან მუშაობისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მდგომარეობამ, რაშიც მათ უხდებათ ცხოვრება, ვგულისხმობ სიდუხჭირეს, არ მოახდინოს მათი ფუნდამენტური უფლებების გადათელვა. ბუნებრივია, რაც უფრო მეტად მძიმეა საზოგადოების სოციალური მდგომარეობა, მით მეტი დაცვა სჭირდებათ სოციალურად დაუცველ ჯგუფებს. ასეთი კატეგორია გაცილებით მოწყვლადია და დიდი საფრთხე არსებობს, რომ შელახული იყოს მათი უფლებები. ასევე იურიდიული დახმარების სისტემის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებისთვის, ზოგადად ყველასთვის, ვინც გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება. სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფუნდამენტური უფლებების დაცვა, რომლის გარანტს წარმოადგენს ქვეყანაში იურიდიული დახმარების ბიუროს არსებობა“. – *კორი უდოვიჩკი*

“Georgia is currently building a new system, and thus the existence of guarantees of human rights is simply compulsory. Legal aid is essential for underprivileged persons and IDPs, whose numbers in this region have significantly increased following the armed conflict. While working with them, it is crucial to ensure that the conditions in which they are obliged to live, I mean hardship, do not trample out their fundamental rights. Naturally, the more difficult the social situation of a group, the more protection is required for vulnerable groups. These categories are much more vulnerable and a greater danger exists that their rights will be violated. The existence of a legal aid system is equally important to ethnic minorities, and, in general, to all those who are forced to subsist in adverse conditions. The Government should ensure the protection of the fundamental rights, which are guaranteed by the existence of Legal Aid Bureaus in the country”. – *Dr. Kori Udovički*

## 4.2 მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი უფასო იურიდიული დახმარების განხორციელების ერთ-ერთი საშუალებაა. იგი 2009 წლის მაისში შეიქმნა უფასო სამართლებრივი დახმარების შეუფერხებელი მიწოდების მიზნით და მოქმედებს შემდეგი სისტემით: იურიდიული დახმარების ფარგლებში მოქმედებს იმ კერძო ადვოკატთა მონაცემთა ბაზა, რომლებიც, საბიუჯეტო ანაზღაურების საფუძველზე, მოქალაქეებს უფასოდ ემსახურებიან. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატები სისხლის სამართლის საქმეებში ერთვებიან იმ შემთხვევაში, როდესაც ბიუროს დახმარებისთვის დაპირისპირებული მხარეები მიმართავენ.  ასეთ დროს იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი ერთ მხარეს დაიცავს, ხოლო მეორე მხარეს დამცველად რეესტრის ადვოკატი დაენიშნება. იმ რეგიონებში, სადაც იურიდიული დახმარების ბიურო არ ფუნქციონირებს, სისხლის სამართლის საქმეებზე რეესტრიდან ადვოკატის დანიშვნას უზრუნველყოფენ იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრები. 2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით, რეესტრში 85 კერძო ადვოკატი ირიცხება. 2009 წლის მაისიდან 2010 წლის ბოლომდე მათ მონაწილეობა მიიღეს 1000-ზე მეტ სისხლის სამართლის საქმეში.

2009 წელს, რეესტრის ამოქმედების შემდეგ, იურიდიული დახმარების სამსახურმა ძალისხმევა უმთავრესად ამ სისტემის ადმინისტრირების გაუმჯობესებისაკენ მიმართა. 2010 წელს კი პრიორიტეტად რეესტრის ადვოკატთა ანაზღაურების საკითხი იქცა.

რეესტრის ადვოკატის ანაზღაურების სისტემა ასეთია: იურიდიული დახმარების სამსახური მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატს, სისხლის სამართლის საქმეში ჩართვისათვის, ერთჯერადად ფიქსირებულ თანხას უხდის. გარდა ამისა, ანაზღაურდება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ განხორციელებული თითოეული მოქმედება. ეს წესი, თავის დროზე, კერძო ადვოკა-



## 4.2 CONTRACTED PUBLIC LAWYERS' REGISTER

The Contracted Public Lawyers' Register is one of the means for extending free legal aid. The Register became operative in May, 2009, and began to provide regular legal aid. It functions according to the following system: within the framework of legal aid, a database of private lawyers who have expressed willingness to provide free legal aid for citizens, based on budget remuneration, is in operation. The lawyers listed in the Contracted Public Lawyers' Register become involved in a criminal case where contending parties apply for legal aid. In such cases, the Legal Aid Bureau attorney protects the interests of one party, while a contracted public lawyer is appointed for the protection of the interests of the other party. In those regions where no Legal Aid Bureaus function, the appointment of lawyers from the Register is conducted by the Consultation Centers of the Legal Aid Service. As of December 2010, the Register enlists 85 private lawyers. From May 2009 to the end of 2010, these lawyers have participated in over 1,000 criminal cases.

In 2009, after the Register began operation, the Legal Aid Service directed its efforts towards the improvement of the process of administration of this system. In 2010, the issue of compensation for the lawyers became a priority.

The compensation system of the contracted lawyers is as follows: the Legal Aid Service proposes fixed one-time payments to the contracted public lawyers for involvement in a criminal case. Moreover, all procedural actions carried out during criminal proceedings will also be compensated in accordance with the rates defined by the Legal Aid Service. This rule was adopted after extensive consultation

ტებთან, მოსამართლეებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან აქტიური კონსულტაციების შედეგად იქნა დადგენილი. თუმცა, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ანაზღაურების აქამდე არსებული ოდენობები არ იყო საკმარისი რეესტრის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

სწორედ ამიტომ, იურიდიული დახმარების სამსახურმა 50%-ით გაზარდა თითოეულ საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობისათვის გათვალისწინებული ანაზღაურების ნიხრები. ანაზღაურებადი გახდა ისეთ საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობა, რომლებიც, ადრე არსებული რეგულაციებით, ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა. გარდა ამისა, გამარტივდა ანაზღაურების გაცემის პროცედურები.

ანაზღაურების ზრდასთან ერთად, იურიდიული დახმარების სამსახურმა ყურადღება დაუთმო რეესტრის ადვოკატთა პროფესიული განვითარების საკითხსაც. ამ მიზნით, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატებს სხვადასხვა სემინარებზე დასწრების და აქტუალურ სამართლებრივ თემებთან დაკავშირებით ქართველი და უცხოელი ექსპერტების გამოცდილების გაზიარების საშუალება მიეცათ.

with private attorneys, judges, and representatives of non-governmental organizations. However, as practice has demonstrated, the amount of remuneration did not prove to be sufficient for the effective functioning of the Register.

Hence, the Legal Aid Service increased the tariffs of remuneration payable for participation in each procedural action by 50%.

Participation in those procedural actions, which, according to the earlier regulations, were not subject to compensation, was also paid according to the new tariff. In addition, procedures for salary issuance were also simplified.

Along with the increase in the amount of remuneration, the Legal Aid Service focused on the issue of professional development of the contracted public lawyers. To this end, the lawyers were invited to attend various seminars and share experiences with Georgian and international experts on relevant legal issues.

# იურიდიული დახმარების ხარისხი
# THE QUALITY OF LEGAL AID

## 5.1 ადამიანური რესურსების მენეჯმენტი

მაღალი ხარისხის სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნებოდა იურიუდიული დახმარების სამსახურში თანამშრომელთა შერჩევის, მათი შეფასებისა და მოტივირების გამართული სისტემის ფუნქციონირების გარეშე. ადამიანური რესურსების მენჯმენტის სრულყოფა ევროკავშირის პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში გახორციელდა. საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით სამუშაოების შესასრულებლად მოწვეულ იქნა HR-ექსპერტი – ირმა ოქროპირიძე. გარდა ამისა, მოეწყო რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, სადაც იურიდიული დახმარების სამსახურის ცენტრალური აპარატის თანამშრომლებმა და რეგიონული ბიუროების უფროსებმა HR-მენჯმენტის აქტუალურ საკითხებზე იმსჯელეს.



## 5.1 HUMAN RESOURCES MANAGEMENT

The provision of high quality legal aid would be unfeasible without proper functioning of the system of selection, evaluation, and motivation of Legal Aid Service employees. The improvement of human resources management was implemented within the frameworks of the EU project "**Capacity Building in Support of Rule of Law in Georgia**". In order to establish best practices, HR expert – Ms Irma Okropiridze was invited. Furthermore, several workshops were conducted where the employees of the Legal Aid Bureau's Central Office and the heads of the regional Bureaus discussed relevant HR issues.

In February 2010, a recommendation document was developed:

- **The Legal Aid Service Personnel (Staff) Request Form** reflects measures to be undertaken in case of vacancy at the Service. They are, in particular, the procedures necessary for the description of job responsibilities, qualification requirements, work experience, and required skills of personnel (staff), as well as the justification of these procedures for the management.
- **Special Application Forms**, together with the tender announcements, will be uploaded to the employment portal, and will be filled out by qualifying candidates during internal and open competitions for the announced vacancies.

2010 წლის თებერვალში შემუშავდა სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტები:

- იურიდიული დახმარების სამსახურში **პერსონალის (შტატის) მოთხოვნის ფორმა**, რომელიც ასახავს სამსახურში არსებული ვაკანსიის შემთხვევაში გასატარებელ ღონისძიებებს. კერძოდ, რა ფორმით უნდა მოხდეს პერსონალის (შტატის) სამუშაო მოვალეობების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების და სამუშაო გამოცდილების, ასევე საჭირო უნარების აღწერა და ხელმძღვანელობისთვის ამ მოთხოვნის დასაბუთება;
- **განცხადების სპეციალური ფორმები**, რომელიც, საკონკურსო განცხადებებთან ერთად, დასაქმების პორტალებზე აიტვირთება და, ვაკანსიაზე გამოცხადებული შიდა და ღია კონკურსების დროს, შეივსება შესარჩევი კანდიდატების მიერ;
- **გასაუბრების კითხვარი**, სადაც გაწერილია საკონკურსო კომისიის წევრებისათვის რეკომენდებული კითხვები, რომლებიც კანდიდატის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიღების მაქსიმალურ შესაძლებლობას იძლევა;
- **კანდიდატის შეფასების ფორმა**, რომელიც ასახავს საკონკურსო კომისიის წევრის მიერ კანდიდატის შეფასებას და კომისიის გადაწყვეტილებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, 2010 წლის თებერვალში, სამსახურის ცენტრალური აპარატის წარმომადგენლებმა და იურიდიული დახმარების ბიუროების უფროსებმა განიხილეს სასურველი კანდიდატის პროფილის განსაზღვრის, ვაკანსიის გამოცხადების ფორმების, თანამშრომლის შერჩევის მექანიზმების, გასაუბრებისა და კანდიდატის შეფასების საკითხები. შეხვედრის დასასრულს, მონაწილეებს შემუშავებული ფორმები დაურიგდათ.

მუშაობა წარიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა შეფასებისა, დახვეწისა და წახალისების მიმართულებით. 2010 წლის აპრილში შემუშავდა სამსახურის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებისა და თანამშრომელთა წახალისების ფორმები.

იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ფორმა რამდენიმე ნაწილისგან შედგება.

- **პირველი ნაწილი,** რომელიც ივსება თანამშრომლის მიერ, მოიცავს ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში შესრულებული ფუნქცია-მოვალეობების შესახებ; მიღწეულ შედეგებს; საჭირო ტრენინგების ჩამონათვალს; საანგარიშო პერიოდში დასახული ამოცანების შესრულებისას არსებულ პრობლემებს.

- **Interview Questionnaire** includes questions recommended for the members of the selection/interview committee/panel, providing maximum opportunity to elicit necessary information from a candidate.
- **Candidate Evaluation Form** describes the assessment of the candidate by a member of the selection committee and the decision of the committee.

In this regard, in February 2010, the representatives of the LAS' Central Office and the heads of the Legal Aid Bureaus discussed the issue of determining the profile of desired candidates, forms of vacancy announcements, mechanisms of employee selection, interviewing and candidate evaluation. At the conclusion of the meeting, the participants received the developed forms.

Efforts were made to refine the evaluation and motivation procedures of Legal Aid Service staff. In April 2010, staff performance evaluation forms and staff motivation forms were developed.

The Legal Aid Service staff performance evaluation form consists of several parts.

- **Part One,** to be filled out by the employee, includes information about functions performed, obligations fulfilled, and progress achieved during the reporting period; a list of required trainings; and problems encountered in implementing the obligations set forth during the reporting period.
- **Part Two,** to be filled out by the direct supervisor of the employee, includes the following information: a list of professional and personal skills and their assessment, the strengths and weaknesses of the employee being evaluated, a list of trainings required by the employee, recommendations on further improvement of performance.
- **Part Three,** to be filled out jointly by the employee and his or her direct supervisor, reflects plans to be carried out, implementation deadlines, and achievement indicators during the subsequent reporting period.
- **Part Four** is intended for acquaintance and notes.

The staff motivation form includes information about the employee, evaluation of his or her performance, reward justification, and type of motivation.

In addition to the development of the forms, in April 2010, a seminar was held with the participation of the LAS' Central Office and the heads of regional Bureaus. The attendees became acquainted with staff motivation theories, forms of motivation, and the establishment of motivational factors, the goals and methods of staff performance evaluation, as well as techniques for filling out the evaluation forms.

- **მეორე ნაწილი,** რომელიც ივსება თანამშრომლის უშუალო უფროსის მიერ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროფესიული და პიროვნული უნარების ჩამონათვალს და მათ შეფასებას, შესაფასებელი თანამშრომლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, თანამშრომლისთვის საჭირო ტრენინგების ჩამონათვალს, რეკომენდაციას საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე;
- **მესამე ნაწილი,** რომელიც ერთობლივად ივსება თანამშრომლის და უშუალო უფროსის მიერ, ასახავს მომავალი საანგარიშო პერიოდისთვის განსახორციელებელ გეგმებს, შესრულების ვადებსა და მიღწევის ინდიკატორებს;
- **მეოთხე ნაწილი** განკუთვნილია გაცნობისა და შენიშვნებისთვის;

თანამშრომელთა წახალისების ფორმა კი შეიცავს ინფორმაციას თანამშრომლის შესახებ, მისი საქმიანობის შეფასებას, დაჯილდოების არგუმენტაციას და წახალისების სახეობას.

ფორმების შემუშავების გარდა, 2010 წლის აპრილში, სამსახურის ცენტრალური აპარატის თანამშრომლებისა და რეგიონული ბიუროებისათვის მოეწყო სემინარი, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები გაეცნენ თანამშრომელთა მოტივირების თეორიებს, წახალისების ფორმებს, მამოტივირებელი ფაქტორების დადგენის მეთოდებს, თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების მიზნებსა და მეთოდებს, ასევე საქმიანობის შეფასების ფორმის შევსების ტექნიკას.

## 5.2 თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული განვითარება მაღალი ხარისხის იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის ერთ-ერთი წინაპირობაა. ამიტომ, იურდიული დახმარების სამსახური, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთათვის სხვადასხვა ტიპის სასწავლო ღონისძიებების ორგანიზებაზე. 2010 წელს ოცდაათამდე ტრენინგ-სემინარი და სამუშაო შეხვედრა ჩატარდა. მათ ნაწილს, საშტატო ადვოკატებთან ერთად, მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატებიც დაესწრნენ.

2010 წელს ორგანიზებული ტრენინგების თემატიკა იყო საკმაოდ ფართო და მოიცვა არასრულწლოვანთა დაცვის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, სასამართლო ფსიქიატრიის, უძრავ ქონებაზე უფლებების დაცვისა და სხვა საკითხები.

გაეროს განვითარების პროგრამამ, იურიდიული დახმარების სამსახურის გაძლიერების პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდთან (IRZ) პარტნიორობით, მატერიალური სისხლის სამართლის თემაზე სწავლება ჩაატარა. ოთხი ტრენინგი 2010 წლის მაისში, სექტემბერსა და ოქტომბერში გაიმართა. ქართველმა და გერმანელმა სპეციალისტებმა საზოგადოებრივ ადვოკატებს გააცნეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, ბრალეული ქმედება, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, დანაშაულის

## 5.2 THE PROFESSIONAL DEVELOPMENT OF STAFF

The professional development of public lawyers is one of the preconditions for the provision of high quality legal aid. Therefore, the Legal Aid Service, together with partner organizations, constantly ensures the organization of various types of training events for its employees. In 2010, up to thirty trainings, seminars, and workshops were conducted. Some of these events were attended by both staff attorneys and invited public lawyers.



The range of the themes of the trainings implemented in 2010 was quite broad and included issues such as the protection of minors, the European Convention on Human Rights, forensic psychiatry, protection of real property rights, *etc.*

The United Nations Development Programme (UNDP), within the framework of the project of Enhancing Legal Aid Service Capacities, in cooperation with the German Foun-

კატეგორიები, ერთიანი დანაშაული, დანაშაულის სიმრავლე, თანამონაწილეობა, დაუმთავრებელი დანაშაული, ბრალისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები.

2010 წლის ნოემბერში, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ორგანიზებით სემინარი უძრავ ქონებზე უფლებების დაცვის საკითხზე ჩატარდა. ადგილობრივმა და უცხოელმა ექსპერტებმა, იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებთან ერთად, განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა გირავნობა და იპოთეკა, სამეზობლო სამართალი და საცხოვრებელი სადგომის დათმობის ხელშეკრულება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოციალურად დაუცველი მოსახლეობის – დევნილებისა და ეკონომიკურად გაჭირვებულების უფლებათა დაცვის საკითხებს.

2010 წელს არაერთი ტრენინგ-სემინარი ჩატარდა ევროკავშირის კანონის უზენაესობის პროექტის მხარდაჭერით:

- **2010 წლის მაისსა და ივნისში** – ჩატარდა სემინარები ფსიქიატრიული ექსპერტიზის საკითხებზე. მოწვეულ ექსპერტთან ერთად საზოგადოებრივმა ადვოკატებმა განიხილეს ფსიქიატრიული ექსპერტიზის ისეთი საკითხები, როგორებიცაა: შეზღუდული შერაცხადობა, ფსიქიკური დაავადების ხასიათის განსაზღვრა, სასამართლო პროცესზე დასწრებისა და აღქმის უნარი, პირის მიერ საქმის მწარმოებელი ორგანოსათვის სწორი ჩვენების მიცემის შესაძლებლობა, გონებრივი განვითარების განსაზღვრა, ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობა, დანაშაულის ჩადენისას ქმედების რეალურად და სრულად გაცნობიერების შესაძლებლობა.
- **2010 წლის ივლისში** – ზეპირი მტკიცების უნარ-ჩვევებზე ტრენერთა მოსამზადებელი სემინარი გაიმართა. სემინარი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა უნარ-ჩვევების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება, კონცეპტუალური ანალიზი და დემონსტრირება, მტკიცების უნარ-ჩვევების სტრუქტურული და შინაარსობრივი ელემენტები, სისხლის სამართლის საქმის ანალიზი და სხვა.
- **2010 წლის ივლისში** – საზოგადოებრივი ადვოკატები ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევებზე ორგანიზებულ ტრენინგს დაესწრნენ. სწავლების ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: კომუნიკაციის ეფექტურობის ფაქტორები, შეტყობინების ოთხი მხარე, პარტნიორზე ორიენტირებული კო-



dation for *International* Legal Cooperation (IRZ), conducted a training program on substantive criminal law. Four training sessions were carried out in May, September, and October 2010. Georgian and German specialists expounded topics such as the fundamentals of criminal liability, culpable action, illegal action, categories of crime, single crime, multiplicity of offense, complicity, unfinished offense, circumstances excluding guilt and criminal responsibility.

In November 2010, the UNDP and the United Nations Economic Commission for Europe (UNECE) facilitated a seminar on the issue of real property protection. Local and foreign experts, together with the consultants of the Legal Aid Bureau, discussed topics such as mortgage, neighborhood law, and contract on selling a residential apartment. Special emphasis was placed on the issues of socially disadvantaged population – internally displaced and economically vulnerable persons.

A number of trainings were conducted with the support of the **Capacity Building in Support of Rule of Law in Georgia, funded by the EU:**

- **In May and June 2010**, seminars on psychiatric examination were conducted. Along with invited experts, public attorneys discussed the topics of psychiatric examination as limited liability, determination of the nature of mental illness, ability to attend and perceive the trial process, a person's ability to provide valid testimony to the trial body, determination of the level of mental development, the condition of physiological affect, the ability to effectively and fully realize the act of crime.
- **In July 2010**, a seminar on the training of trainers in verbal argumentation skills was conducted. The seminar cov-

მუნიკაცია, ეფექტური კომუნიკაციის ეტაპები და დონეები, პრეზენტაციის ტექნიკა, სხეულის ენის ადეკვატური აღქმა, კომუნიკაციის არავერბალური არხებით სასურველი გავლენის მოხდენა, დამარწმუნებელი კომუნიკაცია და არგუმენტირების ტექნიკა, სხეულის პოზიტიური ენა პრეზენტაციისას  და სხვა.

- **2010 წლის ოქტომბერში** – იურიდიული დახმარების სამსახურის დელეგაცია გაერთიანებულ სამეფოს სტუმრობდა. სასწავლო ტურის ფარგლებში სამსახურის წარმომადგენლები შოტლანდიის უფასო იურიდიული დახმარების სისტემის თავისებურებებს, მათ შორის, ადვოკატთა საქმიანობის შეფასებისა და უფასო იურიდიული დახმარების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს გაეცნენ.
- **2010 წლის დეკემბერში** – ტრენერთა ტრენინგის ფარგლებში, რეგიონული ბიუროების უფროსები და საზოგადოებრივი ადვოკატები სწავლების ახალ მეთოდებსა და მათი ეფექტურად გამოყენების მექანიზმებს გაეცნენ.
- **2010 წლის მარტში**, ევროკავშირის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ნიდერლანდების საელჩოს ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი არასრულწლოვანთა დაცვის საკითხებზე. საზოგადოებრივი ადვოკატები გაეცნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ადვოკატისა და არასრულწლოვანი კლიენტის ურთიერთობები, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან კონტაქტი, პირველი გასაუბრება, ურთიერთობა ადვოკატსა და არასრულწლოვანი კლიენტის მშობლებს შორის, არასრულწლოვანი ეჭვმიტანილისა და დაზარალებულის დაკითხვა, ასევე – დაცვის სტრატეგია და გასაჩივრებისათვის მომზადება.
- **2010 წლის აპრილში, მაისსა და სექტემბერში** – საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ორგანიზებით ტრენინგები ჩატარდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების თემაზე. სწავლება მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესავალი, კონცეფციები, დაცული უფლებები; სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში; კონვენციის მნიშვნელობა ეროვნული სასამართლოებისათვის; კონვენციის მე-5 მუხლი: თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება; კონვენციის მე-6 მუხლი: უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე; სისხლის სამართლის პროცესში კონვენციის სხვა გარანტიები. მონაწილეებმა კონვენციასთან დაკავშირებული კაზუსებიც განიხილეს.
- 2010 წლის ივნისსა და ოქტომბერში – ორგანიზაციების – „საერთაშორისო სამართლებრივი ცენტრი“, „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი“ და „საქართველოს ბიოეთიკისა და ჯანდაცვის შემსწავლელი საზოგადოება“ – მხარდაჭერით, სასამართლო ფსიქიატრიის თემაზე სემინარები ჩატარდა. ქართველმა და ჰოლანდიელმა ექსპერტებმა საზოგადოებრივ

ered topics such as the improvement of the skills methodology, conceptual analysis and demonstration, structural and contextual elements of argumentation skills, criminal case analysis, etc.

- **In July 2010**, public lawyers attended training in communication skills. Within the framework of the training, emphasis was placed on factors of effective communication, four sides of notification, partner-oriented communication, stages and levels of effective communication, presentation techniques, adequate perception of body language, producing a desired effect by means of nonverbal communication, methods of persuasive communication and argumentation, positive body language during presentation, etc.
- **In October 2010**, the Legal Aid Service delegation visited the United Kingdom. During the study tour, the representatives of the LAS were introduced to the particulars of the free legal aid system in Scotland, attorney performance evaluation, and the assurance of the quality of free legal aid.
- **In December 2010**, within the framework of ToT, the heads of the regional Bureaus and public attorneys were familiarized with new models of teaching and the mechanisms for their effective application.
- **In March 2010**, the United Nations Children's Fund (UNICEF) and the Embassy of the Kingdom of the Netherlands organized training on the issues of the protection of juveniles. Public attorneys were acquainted with topics like the relationship between an attorney and a juvenile client, contact with a juvenile in conflict with the law, first interview with a juvenile client, relationship between an attorney and the parents of a juvenile client, questioning of juvenile suspects and victims, defense strategy, and the preparation of appeal.
- **In April, May, and September 2010**, the German Foundation for *International* Legal Cooperation (IRZ) facilitated trainings on the issues presented in Articles 5 and 6 of the European Convention on Human Rights (ECHR). The trainings covered the following issues: introduction to concepts of universal rights stipulated in the ECHR; proceed-



ადვოკატებს ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების მნიშვნელობა, საკანონმდებლო რეფორმის მიმართულებით შესაძლო ახალი ნაბიჯები და სამომავლო ხედვა, პაციენტის სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსების ჰოლანდიური სისტემა, ყოველდღიურ პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული პრინციპების გამოყენების საკითხები გააცნეს.

- **2010 წლის ივლისში** – გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) ორგანიზებით, საზოგადოებრივი ადვოკატები ლტოლვილთა სამართლებრივი დაცვის თემაზე ტრენინგს დაესწრნენ. მონაწილეები გაეცნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა, UNHCR-ის როლი, ლტოლვილთა დაცვის ძირითადი პრინციპები, ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურები, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მნიშვნელობა ლტოლვილთა დაცვის საქმეში, საქართველოს კანონმდებლობა თავშესაფრის მინიჭების საკითხებზე, ლტოლვილთა შესახებ დღეისათვის მოქმედი კანონის და ახალი კანონპროექტის შედარებითი ანალიზი.
- **2010 წლის ივლისსა და ოქტომბერში** – ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ორგანიზებით ოჯახში ძალადობის საკითხებზე ორი ტრენინგი ჩატარდა. სწავლების ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები და ოჯახში ძალადობის ძირითადი მახასიათებლები, ოჯახში ძალადობის დეფინიცია, მსხვერპლი და მოძალადე, ოჯახის წევრის ცნება, ძალადობის ფორმები, ოჯახში ძალადობის გავლენა არასრულწლოვნებზე, ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურები, მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა და სხვა.

რამდენიმე ტრენინგი ჩატარდა იურიდიული დახმარების სამსახურის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატებისთვისაც.

ings at the European Court of Human Rights; the significance of the Convention for domestic courts; Article 5 of the Convention: the Right to Liberty and Security of Person; Article 6 of the Convention: the Right to Fair Trial; other guarantees provided by the Convention in respect of criminal proceedings. The participants of the training also discussed complex legal cases pertaining to the Convention.

- **In June and October 2010**, seminars on forensic psychiatry were conducted with the assistance of the following organizations: the International Legal Center, the Global Initiative on Psychiatry (GIP) – Tbilisi, and the Bioethics and Healthcare Research Society of Georgia. Georgian and Dutch experts introduced the attending public lawyers to the importance of amendments made to the Law on Psychiatric Care, possible new steps towards legislative reform and future vision, pre-trial assessment, the Dutch system of involuntary hospitalization, and European and international principles of human rights in daily practice.
- **In July 2010**, public lawyers attended training on the legal protection of refugees, organized by the United Nations High Commissioner for Refugees (UNHCR). The participants were introduced to significant topics such as international protection of refugees and asylum seekers, the role of the UNHCR, the basic principles of refugee protection, procedures for determining refugee status, the significance of information concerning the country of origin in refugee protection cases, Georgian legislation on granting asylum, comparative analysis of the law in force and the new draft law on refugees.
- **In July and October 2010**, through the facilitation of the State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking, two training sessions on do-

ამერიკის იურისტთა ასოციაციის მხარდაჭერით გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

- **2010 წლის თებერვალში** – რეესტრის ადვოკატები სამართლებრივი დოკუმენტების მართლწერის პრინციპებს გაეცნენ. სწავლების ფარგლებში მონაწილეებმა განიხილეს სამართლებრივი მართლწერის ძირითადი პრინციპები, როგორებიცაა: ორგანიზებულობა, დამარწმუნებულობა, ენის სიმარტივე და რედაქტირება. გარდა ამისა, ადვოკატები გაეცნენ კვლევის წყაროების, არგუმენტაციისა და შესაბამისი ლიტერატურის გამოყენების საკითხებს.
- **2010 წლის მაისსა და ივნისში** – რეესტრის ადვოკატები სასამართლო უნარ-ჩვევების თემაზე ორგანიზებულ სემინარებს დაესწრნენ. ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მსაჯულთა შერჩევა, შესავალი სიტყვა, პირდაპირი დაკითხვა, ჯვარედინი დაკითხვა, განმეორებითი პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა, მოწმის მომზადება, მოწმის იმპიჩმენტი და დასკვნითი სიტყვა.

რეესტრის ადვოკატთა პროფესიულ განვითარებას ყურადღება ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიამაც (NORLAG) მიაქცია. 2010 წლის ივნისსა და ივლისში, NORLAG-ის ორგანიზებით, ტრენინგები ჩატარდა აღკვეთის ღონისძიებასა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევების საკითხებზე. ნორვეგიელმა და ქართველმა ექსპერტებმა ისაუბრეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ევროკონვენციის სამართლებრივი მოთხოვნები აღკვეთის ღონისძიებებთან მიმართებაში, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლო სხდომა მოსამართლის თვალთახედვით, არგუმენტაციის წარდგენის ტექნიკის მოკლე თეორია.

რეესტრის ადვოკატები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების პრაქტიკაში გამოყენების საკითხებსაც გაეცნენ. 2010 წლის დეკემბერში, ევროკავშირის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში გამართულ ტრენინგზე მონაწილეებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესავალი, კონცეფციები, დაცული უფლებები; სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში; კონვენციის მნიშვნელობა ეროვნული სასამართლოებისათვის; კონვენციის მე-5 მუხლი: თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება; კონვენციის მე-6 მუხლი: უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე; სისხლის სამართლის პროცესში კონვენციის სხვა გარანტიები. მონაწილეებმა კონვენციასთან დაკავშირებული კაზუსებიც განიხილეს.

mestic violence were conducted. In these trainings, emphasis was made on the following issues: causes and principal characteristics of domestic violence, definition of domestic violence, victim and perpetrator in domestic violence cases, the concept of a family member, forms of violence, effects of domestic violence on minors, child protection referral procedures, definition of victim status, etc.

Several training sessions were conducted with the participation of the attorneys listed in the Contracted Public Lawyers' Register of the Legal Aid Service.

With the support of the American Bar Association, the following initiatives were implemented:

- In February 2010, the contracted public lawyers were trained in legal writing skills. Participants discussed the general principles of legal writing, such as organization, persuasiveness, simplicity of language, and editing. Apart from this, the lawyers became familiar with issues of research sources, argumentation, and the application of relevant literature.
- In May and June 2010, the contracted public lawyers attended a seminar on legal skills. Attention was focused on the issues of jury selection, introductory speech, cross-examination, re-direct and cross-examination, witness preparation, witness impeachment and conclusive speech.

The Norwegian Mission of Rule of Law Advisers to Georgia (NORLAG) also observed the professional development of the Register's attorneys. In June and July 2010, NORLAG facilitated a training session on preventive measures and presentation skills. Norwegian and Georgian experts discussed the legal requirements of the ECHR with respect to preventive measures, the imposition of preventive measures from the point of view of the judge, and a brief theory on the presentation of arguments.

The contracted public lawyers were also introduced to the issues of implementation in practice of Articles 5 and 6 of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (ECHR). In December, 2010, during a training organized within the framework of the **"Capacity Building in Support of Rule of Law in Georgia" project supported by the EU, participants discussed issues such as the** concepts of universal rights stipulated in the ECHR; proceedings at the European Court of Human Rights; the significance of the Convention for domestic courts; Article 5 of the Convention: the Right to Liberty and Security of Person; Article 6 of the Convention: the Right to Fair Trial; other guarantees provided by the Convention in respect of criminal proceedings. The participants of the training also discussed complex legal cases pertaining to the Convention.

## 5.3 საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული საქმიანობის სტანდარტები

2010 წელს ევროკავშირის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული საქმიანობის სტანდარტებზე მუშაობა გაგრძელდა. ამ პროცესში ჩართულნი იყვნენ იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგისა და ანალიზის სამმართველოს იურისტები და იურიდიული დახმარების ბიუროების უფროსები.

- **2010 წლის თებერვალში** – საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული საქმიანობის სტანდარტების თემაზე ორდღიანი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრის მიზანი იყო საზოგადოებრივ ადვოკატთა პრაქტიკული საქმიანობის ეთიკური მხარის, დასაცავ პირთან ურთიერთობის, დაცვის სტრატეგიის შემუშავების, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე ადვოკატის როლის მარეგულირებელი ნორმების შეჯერება.
- **2010 წლის ივლისში** – იურიდიული დახმარების სამსახური აღნიშნული დოკუმენტის საბოლოო ვარიანტზე შეჯერდა.
- **2010 წლის სექტემბერში** – სტანდარტების შეჯერებული ვარიანტი განსახილველად წარედგინა იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფს, რომელიც სისხლის სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში მოქმედებს. სტანდარტებზე მუშაობა სამუშაო ჯგუფის მონაწილეების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე გრძელდება.



## 5.3 THE STANDARDS OF THE PROFESSIONAL ACTIVITIES OF PUBLIC LAWYERS

In 2010, work on the development of the standards of the professional activities of lawyers within the "**Capacity Building in Support of Rule of Law in Georgia" project supported by the EU continued. The process involved the attorneys of the Monitoring and Analysis Division of the Legal Aid Service and the heads of the Legal Aid Bureaus.**

- **In February 2010**, a two-day workshop was held on the standards of professional activities of public lawyers. The workshop aimed at the convergence of established norms regulating the ethics of public attorneys' professional activities, relations with clients, elaboration of defense strategy, preliminary investigation, and the role of counsel during criminal proceedings.
- **In July 2010**, the Legal Aid Service agreed on the final version of the aforementioned document.
- **In September 2010**, the final version of the standards was submitted to the Legal Aid Working Group, which acts within the framework of the Interagency Coordinating Council responsible for the implementation of reforms in criminal law, for consideration. Work on the standards is underway on the basis of the comments and recommendations made by the members of the Working Group.

## 5.4 იურიდიული კლინიკები

უკვე მესამე წელია იურიდიული დახმარების სამსახური, „ღია საზოგადოება – სამართლებრივი ინიციატივის“ (OSJI) მხარდაჭერით, იურიდიული კლინიკების პროექტს ახორციელებს. პროექტის მიზანია სამართალმცოდნეობის ფაკულტეტების სტუდენტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ასევე, იურიდიული დახმარების სამსახურში მაღალკვალიფიციური კადრების რეკრუტირება.

ყოველწლიურად თბილისის, იმერეთის-ქუთაისისა და აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროების ბაზაზე მოქმედ კლინიკებში სტაჟირებას ოცდაათამდე სტუდენტი გადის. სტაჟირების შესაძლებლობა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის, ა. წერეთლის სახელობისა და შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტებთან არსებული შეთანხმებების თანახმად, ამ უმაღლესი სასწავლებლების სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის მაგისტრანტებს ეძლევათ. აღსანიშნავია, რომ, 2009 წელს, ორი წარმატებული სტაჟიორი იურიდიული



დახმარების სამსახურში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმდა. კადრების შერჩევის ეს ტენდენცია 2010 წელსაც გაგრძელდა. ყოფილი სტაჟიორი – გიორგი რამაზაშვილი – თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში სპეციალისტის თანამდებობაზე დაინიშნა.

იურიდიული კლინიკის პროგრამის მიხედვით, სტაჟიორები, საზოგადოებრივი ადვოკატების ხელმძღვანელობით, რეალურ კლიენტებს ხვდებიან და კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებსაც ამზადებენ. გარდა ამისა, მათ სასამართლოს, პროკურატურის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და სხვა ორგანოებთან პროფესიული ურთიერთობის საშუალებაც ეძლევათ. პროგრამის დასკვნით ფაზაზე სტუდენტები აწყობენ იმიტირებულ სასამართლო პროცესს, რაც ხელს უწყობს სტაჟიორებს, წარმოაჩინონ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სამართლებრივ დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილება და თეორიული ცოდნა.

როგორც წესი, იმიტირებული სასამართლო პროცესი სასწავლო წლის ბოლოს, ბათუმში, იმართება. 2010 წელს ამ ღონისძიებას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა. პროცესზე განიხილეს საქმე, რომელიც ყაჩაღობის ფაქტს ეხებოდა. ჯგუფებად დაყოფილმა სტუდენტებმა ადვოკატის, პროკურორისა და მოსამართლის როლები შეასრულეს. იურიდიული დახმარების სამსახურის დი-

### 5.4 LEGAL CLINICS

The Legal Aid Service, in cooperation with the "Open Society – Justice Initiative" (OSJI), is implementing a legal clinics project for the third consecutive year. The project aims to promote the professional development of law students, as well as recruit highly qualified personnel to the Legal Aid Service.

Every year, up to thirty students are trained as interns at the legal clinics in Tbilisi, Imereti-Kutaisi and Ajara Legal Aid Bureaus. Internship opportunities are offered to graduate law students of the Iv. Javakhishvili, A. Tsereteli, and Shota Rustaveli universities, based on preliminary agreements. It should be noted that in 2009, two successful interns were employed at the Legal Aid Service. This trend of recruitment continued in 2010. A former intern – Giorgi Ramazashvili, was appointed to the position of Specialist at the Tbilisi Legal Aid Bureau.

As a part of the legal clinic program, interns, under the guidance of public lawyers, meet with real clients and prepare various legal documents pertaining to specific criminal cases. Furthermore, they are given the opportunity to develop professional relationships with legal and penal institutions as well as the prosecutors' office. At the final stage of the program, the students conduct a mock trial which assists the interns in the presentation of practical skills of conducting criminal proceedings, their practical experience in working with legal documents, and theoretical knowledge.

As a rule, the mock trial is conducted at the end of the academic year in Batumi. In 2010, this event was hosted by the Shota Rustaveli State University of Batumi. During the mock-trial, a case pertaining to robbery was considered. The students, divided into groups, assumed the roles of attorney, prosecutor, and judge. Director of the Legal Aid Bureau, Mr. Irakli Kobidze, presented the students with the best results with certificates and commemorative prizes. The ceremony was attended by the public attorneys who supervised the internships.

It is noteworthy that the issue of effective supervision of the student internships is one of the key features of the legal clinics' operation. This is why the Legal Aid Service and "Open Society – Justice Initiative" (OSJI) conduct periodic seminars for the lawyers involved in the project. In 2010, one such seminar was conducted with the participation of an expert from the United States, Mr. Jim Taylor. Together with public lawyers, he discussed the supervision of the interns, the students' role in legal clinics, and future strategies for the development of clinical studies. Apart from this, the participants of the seminar received the opportunity to hear the opinions of former interns about the legal clinics.

The legal clinic project will be continued in the future.

რექტორმა, ირაკლი კობიძემ, საუკეთესო შედეგის მქონე სტაჟიორებს სერტიფიკატები და სამახსოვრო პრიზები გადასცა. ცერემონიას ის საზოგადოებრივი ადვოკატებიც დაესწრნენ, რომლებიც სტუდენტების სტაჟირებას ხელმძღვანელობდნენ.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტების სტაჟირების ეფექტური ხელმძღვანელობის საკითხი იურიდიული კლინიკის ფუნქციონირების ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. სწორედ ამიტომ იურიდიული დახმარების სამსახური და „ღია საზოგადოება – სამართლებრივი ინიციატივა" პროექტში ჩართული ადვოკატებისათვის პერიოდულად სემინარებს მართავს. 2010 წელს ასეთი სემინარი ამერიკელი ექსპერტი, ჯიმ ტეილორის, მონაწილეობით ჩატარდა. მან, საზოგადოებრივ ადვოკატებთან ერთად, განიხილა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სტაჟიორთა ზედამხედველობა, იურიდიულ კლინიკებში სტუდენტების როლი და კლინიკური სწავლების განვითარების სამომავლო სტრატეგიები. გარდა ამისა, სემინარის ფარგლებში საზოგადოებრივ ადვოკატებს ყოფილი სტაჟიორების მოსაზრებების გაცნობის შესაძლებლობაც მიეცათ.

იურიდიული კლინიკის პროექტი მომავალშიც გაგრძელდება.

# მომხმარებლები ჩვენს შესახებ
## CLIENTS ABOUT US

იურიდიული დახმარების სამსახური მომხმარებელზე ორიენტირებული ორგანიზაციაა. საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიონალიზმსა და უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობაზე ზრუნვა ამის ნათელი დადასტურებაა. თუმცა, ძნელია შეაფასო მიღწეული შედეგები მომხმარებელთა კვლევის გარეშე.

2010 წლის დასაწყისში, ევროკავშირის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის სამომხმარებლო კვლევა ჩატარდა. კვლევამ ორი ქალაქი – თბილისი და რუსთავი – მოიცვა. რაოდენობრივი კვლევის მეთოდით 320 ადამიანი გამოიკითხა. აქედან მესამედი – საზოგადოებრივი ადვოკატების მომსახურებით მოსარგებლე პირი, 200 – პოტენციური მომხმარებელი, ხოლო 20 იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელი იყო. გარდა ამისა, თვისებრივი კვლევის ფარგლებში უფასო იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ თავიანთი მოსაზრებები სამართლის ექსპერტებმაც გამოთქვეს. კვლევა კომპანია „ტერამედიამ“ ჩაატარა.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მონაცემი, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის მიმართ საზოგადოებაში არსებულ ტენდენციებზე მიუთითებს:

- მსგავსი იურიდიული მომსახურებით სარგებლობის დროს გამოკითხულთა 58,1% ენდობა სახელმწიფო ორგანიზაციებს.
- რესპონდენტების 94.7% პასუხობს, რომ მათი დაკავშირება მათთვის საჭირო თანამშრომელთან მოხდა საშუალოზე მაღალი სისწრაფით.
- ასეთივე უმრავლესობა-92.0% პასუხობს, რომ მათი პრობლემის გაანალიზება სამსახურის თანამშრომლის მიერ მოხდა საშუალოზე მაღალი დონის სრულყოფილებით.
- გამოკითხული რესპონდენტების 87.7% პრობლემის გადაჭრისათვის დაგეგმილ გზებს აფასებს როგორც საშუალოზე მეტად ეფექტურს.
- რესპონდენტების 86.3% პრობლემის გადაჭრისათვის დაგეგმილ ვადებს აფასებს როგორც საშუალოზე მეტად მისაღებს.
- რესპონდენტთა 78.2% სამსახურის თანამშრომელთა პროფესიონალიზმის დონეს აფასებს როგორც საშუალოზე მაღალს.
- გამოკითხული რესპონდენტების 74.2%-თვის იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების შედეგები საშუალოზე მეტად დამაკმაყოფილებელია.
- სამსახურის მოხმარებლთა 71% აცხადებს, რომ სასამართლოში მათთვის ხელსაყრელ შედეგს მიაღწიეს.

კვლევა ღირებულია არამხოლოდ ამ შედეგებით, არამედ იმ რეკომენდაციებითაც, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის საკომუნიკაციო პოლიტიკის დახვეწასა და მომხმარებელთან ურთიერთობების გაუმჯობესებას ეხება. 2010 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა სწორედ ამ რეკომენდაციებს დაეყრდნო.

The Legal Aid Bureau is a client-oriented organization. The measures taken by the organization to ensure the professionalism of the public lawyers and access to free legal aid are clear evidence of this. However, it is quite difficult to evaluate the results achieved without a client survey.

In the beginning of 2010, within the frameworks of the EU "Capacity Building in Support of Rule of Law in Georgia" project, a Legal Aid Service client survey was conducted. The survey encompassed two major cities – Tbilisi and Rustavi. Three hundred and twenty respondents were surveyed through a quantitative research method. Of these, one third were persons utilizing public attorney services, 200 were potential clients, and 20 were employees of the Legal Aid Service. In addition, within the framework of the qualitative research, legal experts expressed their opinions about free legal aid. The research was conducted by Tera Media, Ltd.

Below, some data from the survey is given, indicating trends in society with regards to the Legal Aid Service:

- During the use of legal services, 58.1% of respondents expressed trust in state organizations.
- 94.7% of respondents indicated that they were connected to an employee relevant to their necessity with higher than average speed.
- A similar majority, 92.0%, indicated that the analysis of their problem by an employee of the LAS was conducted at a higher than average level of proficiency.
- 87.7% of surveyed respondents evaluated the problem-solving methods employed as more effective than average.
- 86.3% of respondents assessed the dates scheduled for the solution of the problem as more acceptable than average.
- 78.2% of respondents surveyed evaluated the level of professionalism of the LAS staff as higher than average.
- 74.2% of respondents rated the results of the services rendered by the Legal Aid Service as very satisfactory.
- 71% of the clients of the LAS stated that they had achieved a favorable outcome in court.

The research is valuable not only for its results, but also for the recommendations concerning the elaboration of communication policy of the Legal Aid Service and improvement of relations with clients. These recommendations were the basis of the public relations activities in 2010.



### 7.1 მედია კამპანია

2010 წელს გაეროს განვითარების პროგრამის მხადაჭერით განხორციელდა მედია კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას, ასევე მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას.


საზოგადოებრივი ადვოკატი

„ჩვენ ვითანამშრომლებთ საერთო მიზნების განსახორციელებლად“



„საზოგადოებრივი ადვოკატი“ – ამ სახელწოდებით, ყოველთვიურად, გაზეთში „24 საათი“ სპეციალური ჩანართები ქვეყნდებოდა, ხოლო რადიო „მწვანე ტალღის“ ეთერში გადაცემები გადიოდა. პროექტი არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიის განვითარების ფონდთან“ თანამშრომლობით განხორციელდა. მთელი წლის მანძილზე, „საზოგადოებრივი ადვოკატი“ იურიდიული დახმარების სამსახურში მიმდინარე რეფორმებსა და საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის დეტალებს აშუქებდა. „საზოგადოებრივი ადვოკატის“ ძირითადი თემები იყო: სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი და მისი ამოქმედებისათვის იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მზადება, საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული საქმიანობის სტანდარტები, ფსიქიატრიული მკურნალობის იძულებითი შეფარდების საქმეები, ძებნილთა და არასრულწლოვანთა დაცვისა და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ფუნქციონირების საკითხები.

გარდა საგაზეთო ჩანართებისა და რადიოგადაცემებისა, იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერით სარგებლობის საშუალებაც მიეცათ. საზოგადოებრივმა ადვოკატებმა რამდენჯერმე მიიღეს მონაწილეობა გადაცემაში „ჩვენი სამართალი“, სადაც აქტუალური სამართლებრივი თემები, მოქალაქეთა იურიდიული პრობლემები და მათი მოგვარების გზები განიხილებოდა.

საინფორმაციო კამპანიის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით დამზადებული სატელევიზიო კლიპი, რომელიც ცენტრალური და რეგიონული არხების ეთერში განთავსდა. მასში აისახა ის შემთხვევები, როდესაც ადამიანს იურიდიული კონსულტაციის მიღების, ან ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის, საჭიროება უჩნდება. კლიპში აღინიშნა იურიდიული დახმარების სამსახურის საკონტაქტო ინფორმაცია – ცხელი ხაზი 8(32)92-00-55 და ვებგვერდი www. legalaid.ge, რომელთა მეშვეობითაც მოქალა-

## 7.1 MEDIA CAMPAIGN

In 2010, a media campaign was implemented with the support of the UNDP. The campaign aimed at raising public awareness about the Legal Aid Service, as well as raising public legal awareness.

Special adverts titled "Public Attorney" were published in the newspaper "24 Hours", and relevant programs were broadcast by the "Green Wave" Radio. The project was imple-






mented in cooperation with the NGO "Media Development Fund (MDF)". Throughout the year, the "Public Attorney" covered the details of the ongoing reforms at the Legal Aid Service and the activities of the











public lawyers. The new Criminal Procedure Code and the preparation of the Legal Aid Service lawyers for its entry into force, the standards of professional activities of public lawyers, cases of involuntary imposition of psychiatric treatment, the protection of juveniles and wanted individuals, and the operation of the Contracted Public Lawyers' Register constituted the principal topics of the articles.

In addition to the newspaper adverts and radio programs, the lawyers of the Legal Aid Service were given the opportunity to use the services of the Georgian Public Broadcaster. The public attorneys participated in the television program "Our Law", wherein relevant legal topics, citizens' legal issues, and the methods for their solution were discussed.

A TV clip, prepared with the assistance of the UNDP, became a significant feature of the information campaign. The clip was aired on central and regional TV channels, and reflected those cases where individuals required a legal consultation or attorney services.

ქეებს უფასო სამართლებრივი დახმარების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება მუდმივად შეეძლოთ. სატელევიზიო კლიპი, სხვადასხვა პერიოდით, განთავსდა შემდეგი მედია საშუალებების ეთერში: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“, „ტელეარხი 25“ (აჭარა), ტელეკომპანია „რიონი“ (იმერეთი), ტელეკომპანია „მე-9 არხი“ (სამცხე-ჯავახეთი) და ტელეკომპანია „თრიალეთი“ (შიდა ქართლი). აქვე უნდა აღინიშნოს საინფორმაციო კამპანიის პირველი შედეგებიც: გაიზარდა მოქალაქეთა მომართვიანობა, რასაც გაწეული კონსულტაციების სტატისტიკა მოწმობს. გარდა ამისა, იმატა იურიდიული დახმარების სამსახურის ვებგვერდის მომხმარებელთა რაოდენობამაც. თუ 2009 წელს საიტს 6 ათასზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა, 2010 წელს საიტის უნიკალურ მომხმარებელთა რაოდენობამ 16 ათას გადააჭარბა.

2010 წელს საინტერესოდ განვითარდა იურიდიული დახმარების სამსახურისა და მედიის წარმომადგენელთა თანამშრომლობაც. ამ კუთხით აღსანიშნავია, გაეროს განვითარების პროგრამის ორგანიზებით, ქობულეთსა და გუდაურში ჩატარებული სამუშაო შეხვედრები, ასევე, ევროკავშირის მხარდაჭერით ბათუმში გამართული ვორკშოპი, რომლებსაც სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე საზოგადოებრივი ადვოკატები და ჟურნალისტები დაესწრნენ.

სამუშაო შეხვედრების ფარგლებში ჟურნალისტები ეცნობოდნენ უფასო იურიდიული დახმარების, საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის, ასევე დაცვის უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. გარდა ამისა, ყოველი შეხვედრის დასასრულს იმართებოდა იმიტირებული სასამართლო პროცესი, სადაც ადვოკატებისა და ჟურნალისტების შერეული ჯგუფები დაცვისა და ბრალდების მხარეებს, ასევე ნაფიც მსაჯულებს განასახიერებდნენ. საინტერესოდ მიმდინარეობდა იმიტირებული პროცესისათვის მზადებაც, რაც ადვოკატებისა და ჟურნალისტების ერთობლივ დისკუსიებსა და პოზიციების შეჯერებაში გამოიხატებოდა. ამ ღონისძიებების შედეგად, ჟურნალისტებმა და საზოგადოებრივმა ადვოკატებმა შეძლეს ერთმანეთის უკეთ გაცნობა და ერთობლივ პროექტებზე მსჯელობა, რაც მომავალში იურიდიული დახმარების სამსახურისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცების პროცესზე დადებითად აისახება.



The clip contained the contact information of the Legal Aid Service – hot line: 8(32) 92-00-55 and web site URL: www.legalaid.ge through which citizens were able to receive detailed information about the free legal aid on a regular basis. The clip was broadcast through the following TV channels for varying periods of time: the Georgian Public Broadcaster, Rustavi 2 Broadcasting Company, "TV Channel 25" (Ajara), TV Company "Rioni" (Imereti), TV Company "Channel 9" (Samtskhe-Javakheti) and TV Company "Trialeti" (Shida Kartli).

The first results of the information campaign should also be noted here: the rate of application of citizens increased, as evidenced by the statistics of legal consultations provided. Furthermore, the number of users visiting the Legal Aid Service website has also increased. While in 2009 the web page recorded over 6,000 visitors, in 2010 the number of users exceeded 16,000.

In 2010, the cooperation between the Legal Aid Service and media representatives followed an interesting course of development. Workshops organized by the UNDP in Kobuleti and Gudauri, and the workshop conducted in Batumi with the support of the EU, were attended by journalists and public attorneys practicing in various regions.

In these workshops, journalists were introduced to the issues of free legal aid, activities of public lawyers, the right to defense, and freedom of expression. Upon the conclusion of each meeting, mock-trials were organized where mixed groups of public lawyers and journalists assumed the roles of defendant, plaintiff, and jury. The preparation for the mock-trial process was found to be interesting by the attorneys and journalists during joint discussions. As a result of these events, journalists and public lawyers became better acquainted with each other and discussed joint projects, which will positively affect the public confidence-building process towards the Legal Aid Service.




იურიდიული დახმარების სამსახურით, როგორც ქართული მართლმსაჯულების სფეროში გატარებული რეფორმების წარმატებული მაგალითით, საერთაშორისო მედიაც დაინტერესდა. სიუჟეტი, რომელიც საქართველოში უფასო იურიდიული დახმარების სისტემას ეძღვნება, დეკემბრის ბოლოს CNN-ის ეთერში, გადაცემაში “World View” გავიდა.

სიუჟეტში მოთხრობილია იურიდიული დახმარების სამსახურის ერთ-ერთი ბენეფიციარის ისტორია. ქურდობაში ბრალდებული კახა ქისიშვილი, რომელმაც სამსახურს საზოგადოებრივი ადვოკატის უფასოდ გამოყოფის თხოვნით მიმართა, მაყურებელს თავის გამოცდილებას უზიარებს. მისი თქმით, რომ არა საზოგადოებრივი ადვოკატის ძალისხმევა, ის კვლავაც პატიმრობაში იქნებოდა. საქმის დეტალებზე საუბრობს ქეთევან გაგოევაც, იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატი, რომელიც კახას ინტერესებს სასამართლოში წარმოადგენდა. იგი მოგვითხრობს, თუ როგორ შეძლო კახას უდანაშაულობის დამტკიცება.




ამ ისტორიასთან ერთად, სიუჟეტში ხაზგასმულია ის პროგრესი, რომელიც საქართველომ მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელების პროცესში მიაღწია. ამის ერთ-ერთ მაგალითად მოყვანილია სწორედ იურიდიული დახმარების სამსახური, რომელიც რამდენიმე წელია, სახელმწიფოს დაფინანსებით, გადახდისუუნარო მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამართლებრივ კონსულტაციებს უწევს.

“World View” ერთ-ერთი ძველი გადაცემაა, რომელიც CNN-ის ეთერში 1987 წლიდან გადის. ეს გადაცემა საშუალებას აძლევს 150 ქვეყნის 350 სამაუწყებლო კომპანიას თავიანთ ქვეყნებში მიმდინარე პროცესების შესახებ მსოფლიოს უამბონ. იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ სიუჟეტი, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის მიერ მომზადდა.




The Legal Aid Service, as a successful example of the reforms introduced in the Georgian judicial system, attracted the interest of international media. At the end of December 2010, a telecast dedicated to the Legal Aid Service was aired on CNN's “World View” program.

The telecast presents the story of one of the beneficiaries of the Legal Aid Service. A defendant, Mr. Kakha Kisishvili, charged with theft, who approached the LAS with a request for free legal aid, shares his experience with the viewers. According to him, if it hadn't been for the efforts of the public attorney provided by the LAS, he would have still been imprisoned. Ms Ketevan Gagoeva, a lawyer of the Shida Kartli Legal Aid Bureau, who defended the interests of Mr. Kisishvili in court, also expounds the details of the case. She speaks how she managed to prove the innocence of her client.

In addition to this story, the telecast highlights the progress Georgia has made in the implementation of judicial reform. One example of this is the Legal Aid Service, which, through state financing, has been providing free legal service and consultation to indigent citizens for several years.




World View is one of the long-standing programs aired on CNN since 1987. This program allows 350 broadcasting companies in 150 countries to report to the of the world about ongoing processes in their respective countries. The telecast on the Legal Aid Service was prepared by the Broadcasting Company “Rustavi 2” with the support of UNDP.



**ლანა ბერიძე**

**გაზეთ „რეზონანსის“ კორესპონდენტი, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ ორგანიზებული მედია ვორკშოპის მონაწილე**

**Lana Beridze**

**correspondent of the newspaper “Resonance”, participant of the LAS media workshop organized by the UNDP**

„მიმაჩნია, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები, როგორიც ქობულეთში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ორგანიზებით, ჟურნალისტებსა და საზოგადოებრივ ადვოკატებს შორის შედგა, ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა იმისა, რომ ჟურნალისტებს მოგვეცა საშუალება, იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსს, ირაკლი კობიძეს, გავსაუბრებოდით და დაგვესვა მისთვის ყველა არსებული შეკითხვა და გვესუბრა ღიად ყველა პრობლემაზე, ასევე გავეცანით იურიდიული დამხარების ბიუროების წარმომადგენლებს, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მანამდე ჩვენ მათი საქმიანობის შესახებ ძალიან მცირე ინფორმაციას ვფლობდით. შეხვედრის ფარგლებში მოხერხდა ის, რომ ჟურნალისტებს აღარ გვაქვს დამოკიდებულება, თითქოს საზოგადოებრივი ადვოკატი ისევ სახაზინო ადვოკატის ფუნქციას ასრულებს და რომ მათთვის მიმართვას აზრი არ აქვს. ამ სტერეოტიპის დამსხვრევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, ჩვენი საშუალებით, საზოგადოება მიიღებს მათი მუშაობის შესახებ ინფომაციას და ის დამოკიდებულება, რაც სახაზინო ადვოკატების მიმართ გახლდათ, უახლოეს მომავალში შეიცვლება. ზოგადად, ვფიქრობ, რომ აუცილებელია ასეთი შეხვედრები, მეტი კომუნიკაცია ჟურნალისტებსა და ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელს შორის, იმისთვის, რომ საზოგადოებას უფრო მეტი და ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ. ამიტომ, ამ შეხვდრისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გაეროს განვითარების პროგრამას, იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებს და ჩემს კოლეგებს. ასევე ექსპერტ – თორნიკე გურულს, რომელმაც მოახერხა, რომ საქმიანი შეხვედრა ბევრი ლოგიკური და მხიარული თამაშით ყოფილიყო დატვირთული, რამაც შეხვედრა უფრო საინტერესო გახადა“. – *ლანა ბერიძე*

“I believe that meetings similar to the one conducted with the organization of UNDP in Kobuleti between journalists and public attorneys are very significant. Besides the fact that journalists received the opportunity to interview the head of the Legal Aid Service, Mr. Irakli Kobidze, pose all existing questions, and openly discuss relevant problems, we also became acquainted with the representatives of the Legal Aid Bureaus, which is also very essential, since prior to our meeting, we had very little information regarding their activities.

Following the meeting, we, as journalists, no longer have the notion that public lawyers continue to perform the function of state attorneys and that addressing them as such would make no sense. The collapse of this stereotype has a major significance. Through our assistance, the society will receive information on the activities of the lawyers, and the prevailing public attitude towards state attorneys is bound to change in the near future. I believe that such meetings, promoting increased communication among journalists and the representatives of any other professional sphere, are indispensable for us to provide more comprehensive information to the public. Thus, I would like to express my gratitude to the UNDP, the Legal Aid Service staff, and my colleagues for organizing this meeting and allowing us to participate in it. In addition, I would like to thank the expert, who has managed to load our business meeting with many logical and fun games, which made the meeting even more interesting.” – *Lana Beridze*



**ანი მიროტაძე**
**საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ ხელმძღვანელი, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ ორგანიზებული მედია ვორკშოპის მონაწილე:**

**Ani Mirotadze**
**head of the information agency "Pirveli", participant of the LAS media workshop organized by the UNDP:**

„ამ ტიპის შეხვედრები, პირველ რიგში, ხელს უწყობს საზოგადოების ინფორმირებულობას და აღნიშნული სამსახურის დანიშნულების და უფლება-მოვალეობების კარგად გააზრებას. საზოგადოებრივი ადვოკატის, მისი ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ, საზოგადოებამ ცოტა რამ იცის და ეს არის ფაქტი. მე მიმაჩნია, რომ ამ სამსახურის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება პრინციპულად მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, ვინაიდან მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ საკუთარი უფლებები და უნდა გაუჩნდეთ იმის რწმენა, რომ მათ უსაფრთხოებას და მოქალაქეობრივ უფლებებს საკუთარი სახელმწიფო იცავს. ჩემი აზრით, ამ სამსახურის გამართულად მუშაობისათვის ფუნდამენტურ აუცილებლობას წარმოადგენს მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციების მაქსიმალურად ტირაჟირება. სემინარის მიმდინარეობის დროს კარგად გამოჩნდა ის ხარვეზები, რომელიც საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიმართულებით არსებობს. ამიტომ, გამოყენებული უნდა იყოს ყველა გზა და შესაძლებლობა, ყველა ბერკეტი და ინსტიტუტი, რომელიც გააადვილებს საზოგადოებამდე მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიტანას და იმის ახსნას, რომ ეს სამსახური ხალხის, რიგითი მოქალაქეების დახმარებისთვის და მათი უფლებების დაცვისათვის შეიქმნა. ასევე, პრინციპულად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ადვოკატურის შემადგენლობაში პროფესიონალი კადრების არსებობა, რადგან მათმა არაპროფესიონალიზმმა შესაძლოა, ამ ძალიან მნიშვნელოვანი სამსახურის იმიჯი შელახოს, რაც ხალხის თვალში ნდობის დაკარგვას გამოიწვევს“. – *ანი მიროტაძე*

"Such meetings primarily contribute to public awareness and thorough understanding of the citizens' rights, purpose, and responsibilities of the Service. It is a fact that our society knows very little about public attorneys, their functions, and activities. I believe that the establishment and operation of the LAS is of profound significance to the public, since the citizens should be aware of their own rights and should have faith that their security and civil rights are ensured by their government. I believe that dissemination of information on the activities of the LAS is a basic requirement for the proper functioning of the Service. During the course of the seminar, shortcomings that exist in communication with the society were clearly defined. Consequently, all methods and possibilities, all instruments and institutions should be utilized to facilitate the delivery of information about the activities of the LAS to the public, and to explain that this Service has been created to assist ordinary citizens and protect their fundamental rights. In addition, the existence of professional staff in the public advocacy is also significant, since their non-professionalism can potentially damage the reputation of this very essential Service, which will lead to a loss of confidence in the public eye." – *Ani Mirotadze*

## 7.2 გასვლითი კონსულტაციები და ღონისძიებები

მედია კამპანიის პარალელურად, 2010 წლის განმავლობაში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გასვლითი კონსულტაციები ხორციელდებოდა. საზოგადოებრივი ადვოკატები ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილებს, სოციალურად დაუცველ მოქალაქეებსა და უფროსკლასელ მოსწავლეებს ხვდებოდნენ. უფასო იურიდიული დახმარების თემაზე რეგიონების მოსახლეობასთან არა ერთი შეხვედრა გაიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრიეს, ხათუნა კალმახელიძის, უშუალო ინიციატივითაც. გარდა ამისა, იურიდიული დახმარების ბიუროები, სისხლის სამართლის რეფორმაში მონაწილე უწყებებთან ერთად, აქტიურად ჩაერთვნენ ადგილობრივი საკოორდინაციო საბჭოების საქმიანობაში, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებები განხორციელდა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინიციატივით მოსახლეობასთან შეხვედრები მთელი წლის მანძილზე რეგულარულად იმართებოდა. საზოგადოებრივი ადვოკატები, ხათუნა კალმახელიძესთან ერთად, საჩხერის, ფოთის, ქუთაისის, ბათუმის, ხელვაჩაურის, ლანჩხუთის, ონის, ამბროლაურის, კოდის, რუსთავის, ქობულეთის, ოზურგეთის, მარნეულის, კასპის, ბოლნისის, საგარეჯოსა და ხაშურის მოსახლეობას შეხვდნენ. მინისტრისა და იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა ერთობლივი შეხვედრები სტუდენტებთანაც ტარდებოდა. ხათუნა კალმახელიძე, საზოგადოებრივ ადვოკატებთან ერთად, ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობისა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტებს სტუმრობდა.

საინტერესო ღონისძიებები გაიმართა იურიდიული დახმარების ბიუროების ორგანიზებით:

- **2010 წლის მაისსა და ივნისში** – თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატებმა მოაწყვეს ლექციები დედაქალაქის №173 და №53 საჯარო სკოლებში. გარდა ამისა, ჩატარდა გასვლითი კონსულტაცია თბილისის გარეუბნის – ხევძმარის დასახლების მოსახლეობასთან.
- **2010 წლის პირველ ნახევარში** – მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის გამართეს ლექციები შემდეგ თემებზე: არასრულწლოვანი და ნარკომანია, ბავშვთა უფლებები; ასევე სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. ლექციები ჩატარდა მცხეთის, გუ-



## 7.2 FIELD CONSULTATIONS AND EVENTS

Parallel to the media campaign, field consultations were implemented in various regions of Georgia throughout 2010. The public lawyers held meetings with persons internally displaced from the occupied territories, socially disadvantaged citizens, and high-school students.

Number of meetings on the subject of free legal aid were held with the regional residents at the direct initiative of the Minister of Corrections and Legal Assistance of Georgia, Ms Khatuna Kalmakhelidze. Moreover, Legal Aid Bureaus, in coordination with agencies participating in criminal justice reform, became actively involved in the activities of the local Coordinating Councils, and various information and educational events were held as a part of it.

Through the initiative of the Ministry of Corrections and Legal Assistance, the meetings with the local residents assumed a regular character throughout the year. Public attorneys, together with Ms Khatuna Kalmakhelidze, met with the residents of Sachkhere, Poti, Kutaisi, Batumi, Khelvachauri, Lanchkhuti, Oni, Ambrolauri, Koda, Rustavi, Kobuleti, Ozurgeti, Marneuli, Kaspi, Bolnisi, Sagarejo, and Khashuri. Also, joint meetings, organized by the Minister and the LAS staff, were held with students. Ms Kalmakhelidze, accompanied by public lawyers, visited the A. Tsereteli university of Kutaisi, Shota Rustaveli university of Batumi, I. Gogebashvili university of Telavi, and Iv. Javakhishvili university of Tbilisi.

Several other important events were also organized by the Legal Aid Bureaus:

- **In May and June 2010**, the lawyers of the Tbilisi Legal Aid Bureau held lectures at public schools #173 and #53 of the capital. In addition, a field consultation was conducted with the residents of the Khevdzmari settlement in the outskirts of Tbilisi.
- **In the first half of 2010**, the employees of the Mtskheta-Mtianeti Legal Aid Bureau organized lectures for public school students on the following subjects: minors and drug addiction, rights of the child, crimes against life, health, and property. The lectures were held for ninth-grade students of the Mtskheta, Gudauri, Dusheti, and Zhinvali public schools. The residents of the areas mentioned above, the population of Stepantsminda, and IDPs from Abkhazia residing in Mtskheta received free legal consultations.

დაურის, დუშეთისა და ჟინვალის საჯარო სკოლების მეცხრეკლასელი მოსწავლეებისათვის. ამავე დასახლებულ პუნქტების, ასევე დაბა სტეფანწმინდის მოსახლეობას და მცხეთაში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილებს უფასო იურიდიული კონსულტაციები გაეწიათ. 2010 წლის ნოემბერსა და დეკემბერში – მცხეთის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ოთხი ლექცია ჩატარდა თემაზე „მე მიცავს კონსტიტუცია“. ლექციების ფარგლებში არასრულწლოვნები გაეცნენ ქვეყნის ძირითადი კანონის მნიშვნელობას, ქართული კონსტიტუციალიზმის ისტორიას, ასევე ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

- **2010 წლის მაისში** – კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტებმა ჩაატარეს ლექციები ლაგოდეხის, ყვარლისა და თელავის სკოლების მოსწავლეებისათვის. ასევე მოეწყო შეხვედრა თელავის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან. ბიურო აქტიურად იყო ჩართული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმაში მონაწილე უწყებების ადგილობრივი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში. წლის მეორე ნახევარში ბიუროს თანამშრომლები სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე შეხვდნენ ქალაქ თელავის, თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის, ლაგოდეხის რაიონის სოფლების – ბაისუბნისა და კაბალის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და მოსახლეობას, ასევე თელავში კომპაქტურად მაცხოვრებელ აფხაზეთიდან დევნილებს.
- **2010 წელს** – ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურომ ორი საინფორმაციო კამპანია განახორციელა. წლის პირველ ნახევარში, ხუთთვიანი კამპანიის ფარგლებში, ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურომ რეგიონის მასშტაბით, 50-ზე მეტ საჯარო სკოლაში ნარკომანიისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პასუხისმგებლობის თემაზე სემინარები





ჩაატარა. გარდა ამისა, ივნისსა და ივლისში, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფლებების თემაზე, ბიუროს თანამშრომლები რუსთავის, გარდაბნის, წალკის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის მოსახლეობას შეხვდნენ. ქვეყანაში მიმდინარე სისხლის სამართლის რეფორმის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ქვემო ქართლის ბიურო მონაწილეობდა ადგილობრივი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაშიც. სექტემბრიდან ბიურომ დაბადების მოწმობის არმქონე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პრობლემაზე მუშაობა დაიწყო. ამ მიზნით ბიუროს იურისტებმა გასვლითი კონსულტაციები ჩაატარეს ბოლნისის რაიონის სოფლების – ტალავერის, სავანეთისა და ქვემო ბოლნისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთათვისა და მოსახლეობისათვის. უფასო იურიდიული დახმარების თემაზე გასვლითი კონსულტაცია დმანისშიც ჩატარდა.

- მრავალფეროვანი იყო შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს მიერ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული საქმიანობაც. 2010 წლის თებერვალი-ივნისის პერიოდში, შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლები ყოველთვიურად უწევდნენ სამართლებრივ კონსულტაციებს ცხინვალის რეგიონიდან დენილთა კომპაქტური დასახლებების მაცხოვრებლებს. ჩატარდა ხუთი გასვლითი კონსულტაცია გორისა და ქარელის რაიონებში მდებარე დასახლებებში. წლის პირველ ნახევარში, ბიუროს იურისტებმა ლექციები წაიკითხეს გორისა და კასპის ხუთი საჯარო სკოლის უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის. არასრულწლოვნებთან შეხვედრები გაიმართა ადგილობრივი საკოორდინაციო საბჭოს ორგანიზებითაც.

გარდა ამისა, საზოგადოებრივმა ადვოკატებმა ყურადღება დაუთმეს სამართალმცოდნეობის

- **In November and December 2010**, four lessons on the subject "The Constitution Protects Me", were conducted for the students of the #1 Public School of Mtskheta. In these lessons, minors were introduced to the significance of the basic laws of the country, the history of Georgian constitutionalism, human rights and fundamental freedoms.
- **In May 2010**, the attorneys of the Kakheti Legal Aid Bureau conducted lessons for the students of the Lagodekhi, Kvareli, and Telavi public schools. In addition, a meeting was held with the law students of Telavi University. The Bureau was actively involved in the activities of the local Coordinating Council for the agencies participating in the criminal justice system reform. During the second half of the year, the Bureau staff participated in meetings on various legal issues with the local government and residents of the city of Telavi, the village of Kurdghelauri, Telavi district, and the villages of Baisubani and Kabala, Lagodekhi district. Additional meetings were held with IDPs from Abkhazia residing in compact settlements in Telavi.
- **In 2010**, the Kvemo Kartli Legal Aid Bureau implemented two information campaigns. In the first half of the year, during a five-month campaign, the Kvemo Kartli Legal Aid Bureau conducted seminars on the topic of drug abuse and associated legal liability in over 50 public schools throughout the region. Furthermore, in June and July, the Bureau staff conducted meetings with the residents of Rustavi, Gardabani, Tsalka, Tetritskaro, Bolnisi, Dmanisi, and Marneuli on the issues of socially disadvantaged population. In order to promote awareness on the criminal justice reform's progress in the country, the Kvemo Kartli Legal Aid Bureau took part in the activities of the local Coordinating Council. Since September, the Bureau has begun work on the problems of ethnic minorities without birth certificates. With this purpose, the attorneys of the Bureau conducted field consultations with the representatives of local authorities and the residents of the villages of Talaveri, Savaneti, and Kvemo Bolnisi, Bolnisi district. A field consultation on free legal aid was also conducted in Dmanisi.
- The public awareness raising activities implemented by the Shida Kartli Legal Aid Bureau were also diverse. During the period of February-June, 2010, the Shida Kartli Legal Aid Bureau staff provided monthly legal consultations to the IDPs from Tskhinvali residing in

შემსწავლელ სტუდენტთა პროფესიული განვითარების საკითხსაც. ამ მიზნით ბიუროს თანამშრომლებმა სამი შეხვედრა მოაწყვეს გორში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებთან. 2010 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში, ბიუროს იურისტები, უფასო იურიდიული დახმარების თემაზე, კასპის რაიონის სოფლების მეტეხის – კავთისხევის, წინარეხის, დოესის, ახალციხისა და ახალქალაქის ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შეხვდნენ.

- ახალშექმნილმა სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურომ აქტიური საკომუნიკაციო კამპანია დაარსების დღიდანვე დაიწყო. ბიუროს იურისტებმა გაცნობითი შეხვედრები მოაწყვეს ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან. ჩატარდა ლექციები ახალციხეში მოქმედი უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებთან. დანაშაულის პრევენციის მიზნით, საზოგადოებრივმა ადვოკატებმა სემინარები ჩაატარეს უფროსკლასელი მოსწავლეებისთვისაც. ამ მიზნით ისინი ახალციხის №1 საჯარო სკოლას, ასევე ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის, დაბა ასპინძისა და ასპინძის რაიონის სოფელ ოშორის საჯარო სკოლებს სტუმრობდნენ. გარდა ამისა, სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტებმა გავსლითი კონსულტაციები ბორჯომის, ადიგენისა და ვალეს მოსახლეობისათვის მოაწყვეს. ბიურომ, პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან პარტნიორობით, არასრულწლოვანი პრობაციონერებისათვის ორგანიზებულ სემინარსაც უმასპინძლა.

  სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო მონაწილეობდა ადგილობრივი საბჭოს საქმიანობაშიც. საბჭოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია პროკურატურისა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლების ერთობლივი შეხვედრა ახალციხის №6 საჯარო სკოლის პედაგოგებთან, ასევე მოეწყო ახალციხის №5 და №6 საჯარო სკოლების მოსწავლეების იმიტირებული სასამართლო პროცესი.
- **2010 წლის პირველ ნახევარში** – იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტები შეხვდნენ ქუთაისში კომპაქტურად მცხოვრებ დევნილებს, არასრულწლოვან პრობაციონერებსა და ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებს. ბიურო ჩართული იყო ადგილობრივი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში. საბჭოს ორგანიზებით შედგა სტუდენტთა იმიტირებული სასა-

compact settlements. Five field consultations were conducted in the residential areas located in the districts of Gori and Kareli. During the first half of the year, the lawyers of the Bureau delivered lectures to the senior students of five public schools of Gori and Kaspi. Meetings with minors were also conducted with the facilitation of the local Coordinating Council.

In addition, public attorneys also focused attention on the issue of professional development of law students. For this purpose, the Bureau staff conducted three meetings with law students of the higher education institutions operating in Gori. In September and October 2010, the attorneys of the Bureau met with the representatives of the local government and residents of the villages of Metekhi, Kavtiskhevi, Tsinarekhi, Doesi, Akhaltsikhe, and Akhalkalaki of the Kaspi district.

- The newly created Samtskhe-Javakheti Legal Aid Bureau initiated an active communications campaign since the day of its establishment. The lawyers of the Bureau convened introductory meetings with the representatives of local authorities of Akhaltsikhe, Adigeni, Aspindza, and Borjomi. Lectures were given to the law students of the higher education institutions of Akhaltsikhe. Public attorneys conducted seminars about crime prevention for senior high school students. With this purpose, they visited the Akhaltsikhe Public School #1, and the public schools of the villages of Atskuri and Aspindza, Akhaltsikhe district, and the village of Ishori, Aspindza district. Also, the lawyers of the Samtskhe-Javakheti Legal Aid Bureau implemented field consultations for the residents of Borjomi, Adigeni, and Vale. The Bureau, in partnership with the National Probation Agency, hosted seminars organized for juvenile probationers.
- The Samtskhe-Javakheti Legal Aid Bureau also participated in the activities of the local Council. Among the events organized by the Council, a joint meeting of the representatives of the Legal Aid Bureau and the Prosecutor's Office with the teaching staff of the Akhaltsikhe Public School #6, and a mock-trial process organized for the students of the Akhaltsikhe Public Schools #5 and #6, are noteworthy.
- **In the first half of 2010**, the attorneys of the Imereti-Kutaisi Legal Aid Bureau held meetings with the internally displaced residents of compact settlements in Kutaisi, juvenile probationers, and the students of the A. Tsereteli

მართლო პროცესი. ღონისძიების ფარგლებში, მხარეებად და მოსამართლეებად დაჯგუფებულმა სტუდენტებმა მომზადება პროკურატურაში, იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროსა და სასამართლოში გაიარეს. პროცესის დასასრულს  დაცვის და ბრალდების როლის საუკეთესო შემსრულებლებიც გამოვლინდნენ.

- **2010 წლის მეორე ნახევარში** – ბიუროში დასაქმებული საზოგადოებრივი ადვოკატები უფასო იურიდიული დახმარების თემაზე შეხვდნენ ქალაქ სამტრედიის,  სამტრედიის რაიონის სოფლების – დიდი ჯიხაიშისა და კულაშის, ასევე ხონის რაიონის სოფელ გოჩა ჯიხაიშის მოსახლეობას.
  სხვა ბიუროების მსგავსად, ადგილობრივი საკოორდინაციო საბჭოში მონაწილეობა აქტუალური იყო იმერეთის-ზესტაფონის ბიუროსთვისაც. 2010 წლის ივნისში – იმერეთის-ზესტაფონის ბიურომ, ადგილობრივ პროკურატურასა და სასამართლოსთან ერთად, მოაწყო მოსწავლეთა იმიტირებული სასამართლო პროცესი. პროცესში მონაწილეობა ზესტაფონის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა მიიღეს. ისინი სამ ჯგუფად დაიყვნენ. ბრალდებისა და დაცვის მხარეებს პროცესისათვის მზადებაში პროკურატურისა და იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლები ეხმარებოდნენ. მოსამართლეთა ჯგუფს კი სათანადო კონსულტაციები ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში გაუწიეს. იმიტირებული პროცესი მეტად საინტერესოდ წარიმართა და დაცვის მხარის გამარჯვებით დასრულდა. მოსწავლეებს სამახსოვრო საჩუქრებიც გადაეცათ.



- **2010 წლის ნოემბერსა და დეკემბერში** – იმერეთის-ზესტაფონის ბიუროს იურისტებმა სემინარები გამართეს საჩხერის, ზესტაფონისა და თერჯოლის საჯარო სკოლების დირექტორები-

University. The Bureau was also involved in the activities of the local Coordinating Council. Through the organization of the Bureau, a mock-trial process was held for the students. As a part of the event, the students, who were grouped into opposing parties and judges, went through training at the Prosecutor's Office, the Imereti-Kutaisi Legal Aid Bureau, and the court. Upon the completion of the process, the most successful executors of the defendant and plaintiff roles were identified.

During the second half of 2010, public lawyers employed at the Bureau participated in meetings with the local residents of the city of Samtredia, the villages of Didi Jikhaishi and Kulashi, Samtredia district, and the village of Gocha Jikhaishi, Khoni district, on the subject of free legal aid.

- Similar to other Bureaus, participation in the activities of the local Coordinating Council was relevant for the Imereti-Zestaponi Legal Aid Bureau. In June 2010, the Imereti-Zestaponi Legal Aid Bureau, in cooperation with the local Prosecutor's Office and court, organized a mock trial process for the students of the Zestaponi public schools. They were divided into three groups. The defendant and plaintiff parties were assisted in preparing for the process by the employees of the Prosecutor's Office and the Legal Aid Bureau. The judicial group received relevant consultation from the Zestaponi District Court. The mock-trial was conducted in the most interesting manner and concluded with the victory of the defending side. The students also received commemorative gifts.
- **In November and December 2010**, the attorneys of the Imereti-Zestaponi Legal Aid Bureau conducted seminars for the directors of the public schools of Sachkhere, Zestaponi, and Terjola. As a part of the initiative, public lawyers introduced the directors to the issues of administrative proceedings, individual acts of law-making, and the procedures of filing an administrative complaint and application review.
- **In December 2010**, through the initiative of the Imereti-Zestaponi Bureau, the representatives of the Legal Aid Bureau, the Social Service Agency, and the Civil Registry organized a round table meeting. During the conference, the problems of the local population, as well as interagency cooperation to provide solutions to their problems were discussed.

სათვის. ღონისძიებების ფარგლებში, საზოგადოებრივმა ადვოკატებმა დირექტორებს ადმინისტრაციული წარმოების საკითხები, ინდივიდულაური სამართლებრივი აქტების მიღება, ასევე ადმინისტრაციული საჩივრისა და განცხადების განხილვის წესებიც გააცნეს.

- **2010 წლის დეკემბერში** – იმერეთის-ზესტაფონის ბიუროს ინიციატივით, იურიდიული დახმარების სამსახურის, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სამოქალაქო რეესტრის წარმომადგენლებმა მრგვალი მაგიდა მოაწყვეს. შეხვედრაზე ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებსა და, მათი გადაჭრის მიზნით, უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე იმსჯელეს.
- **2010 წლის აპრილში** – სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურომ, ჩეხურ არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ადამიანი გაჭირვებაში" ერთად, გასვლითი კონსულტაციები მოაწყო დევნილების კომპაქტური დასახლების ადგილებში. შეხვედრები გაიმართა ზუგდიდის რაიონის სოფლებში – ნარაზენში, ცაისსა და ჭკადუაში. საზოგადოებრივმა ადვოკატებმა დევნილებს, კომპაქტური დასახლებების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, სახელმწიფოს სტრატეგიული გეგმა გააცნეს. საუბარი ასევე შეეხო თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთების დაკანონების, ელექტროენერგიის დავალიანებისა და საომარი მოქმედებების შედეგად დაკარგული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღდგენის საკითხებს.
- **2010 წლის ივლისში** – პრობაციის ბიუროსა და სახალხო დამცველის ოფისთან თანამშრომლობით, სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურომ მონაწილეობა მიიღო არასრულწლოვან პრობაციონერთათვის ორგანიზებულ სემინარში.
- გარდა ამისა, **2010 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში** – სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა კონსულტაციები გაუწიეს ზუგდიდის რაიონის სოფლების – კოკის, განმუხურის, ანაკლიის, დარჩელის, ინგირის, შამგონის, ერგეტის, ოქტომბრის, ურთის, ცაიშის, დიდინეძისა და ჩხორიის – მოსახლეობას.
- დევნილთა სამართლებრივი პრობლემები პრიორიტეტული იყო სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროსთვისაც. 2010 წლის პირველ ნახევარში – ბიუროს იურისტებმა სამი გასვლითი კონსულტაცია მოაწყვეს ფოთსა და სენაკში კომპაქტურად მაცხოვრებელი დევნილებისათვის. გარდა ამისა, ნარკომანიისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პასუხისმგებლობის თემაზე მოეწყო ლექციები ფოთის №1, №5 და №21 საჯარო სკოლებში. საზოგადოებრივმა ადვოკატებმა მოზარდებს აუხსნეს ნარკოტიკული დანაშაულის არსი და მისი სამართლებრივი შედეგები. ამავე თემაზე მოეწყო ღონისძიება არასრულწლოვანი პრობაციონერებისათვის.
- **2010 წლის ნოემბერში** – აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტებმა სემინარები ხელვაჩაურის რაიონის სოფლების – შარაბიძეებისა და კახაბრის – პირველ საჯარო სკოლებში გამართეს. სემინარების ძირითადი თემა იყო არასრულწლოვანთა სამართლებრივი მდგომარეობა და მათი დაცვის გარანტიები. მოსწავლეთა ინტერესის საგანს წარმოადგენდა ისეთი დანაშაულები, როგორიცაა: ქურდობა, ხულიგნობა, ძარცვა, ცივი იარაღის ტარება და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარება. მათ აინტერესებდათ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფი არასრულწლოვნების განათლების და დასაქმების მხვრივ არსებული მდგომარეობა. საუბარი შეეხო ბავშვთა უფლებებისა და მოსწავლეთა ქცევის კოდექსთან დაკავშირებულ საკითხებსაც.

2010 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა რამდენიმე ღონისძიება გამართა სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისათვისაც:

- **In April 2010**, the Samegrelo-Zugdidi Legal Aid Bureau, in partnership with the Czech NGO "People in Need", implemented field consultations at IDP compact settlements. Meetings were held in the villages of Narazeno, Tsaishi, and Tchkaduri, Zugdidi district. The public attorneys briefed the IDPs on the details of the state strategic plan for the refurbishment of compact settlements. The discussion also touched upon the issues of the legalization of arbitrarily occupied land plots, arrears for electricity bills, and the restoration of identification documents misplaced as a result of the armed conflict.
- **In July 2010**, in cooperation with the National Probation Agency and the Public Defender's Office, the Samegrelo-Zugdidi Legal Aid Bureau participated in a seminar organized for juvenile probationers.
- In addition, **in October and November 2010**, the employees of the Samegrelo-Zugdidi Legal Aid Bureau provided legal consultations to the local residents of the villages of Koki, Ganmukhuri, Anaklia, Darcheli, Ingiri, Shamgoni, Ergeti, Octomberi, Urta, Tsaishi, Didinedzi and Chkhoria of the Zugdidi district.
- The legal issues of IDPs were also a priority for the Samegrelo-Poti Legal Aid Bureau. In the first half of 2010, the attorneys of the Bureau organized consultations for IDPs residing in compact settlements in Poti and Senaki. Furthermore, lectures on drug abuse and associated legal liability were given to students of Public Schools #1, #5, and #21 of Poti. Public lawyers explained the essence of drug-related crime and its legal consequences to the young listeners. An event on a similar subject was also held for juvenile probationers.
- **In November 2010**, the lawyers of the Ajara Legal Aid Bureau organized seminars at the first public schools of the villages of Sharabidzeebi and Kakhaberi, Khelvachauri district. The principal topic of the seminars was the legal status of minors and guarantees for their protection. The students' interest was focused on crimes such as theft, hooliganism, robbery, possession of sharp edged weapons, and consumption of psychotropic substances. They also expressed interest in the conditions of education and employment for juveniles in prison. Discussion also focused on the rights of the child as well as the code of conduct for students.

In 2010, the Legal Aid Service implemented several initiatives for the students of various universities:

- In April and May 2010, Director of the Legal Aid Service, Mr. Irakli Kobidze, held meetings with the students of the Tbilisi State University, Ilia State University, and the Free University of Tbilisi. The Director familiarized the students with the rules of a conference essay competition on the topic "Right to Defense and the Legal Aid Service", which was announced for law students of various higher education institutions.
- In June 2010, about twenty students from eight universities of Georgia participated in the student essay competition, titled "Access to Justice in a Democratic Society and the Legal Aid Service". The competition was held with the organizational support of the UNDP and the LAS. The principal objective of the contest was the promotion of discussion among future lawyers on the issues of availability of justice in Georgia and the right to defense, as well as their introduction to the already existing practice of the Legal Aid Service. The competition was concluded with a summary conference wherein the participants reviewed the compliance of Georgian legislation and practice with international standards, and developed their own recommendations. The paperwork submitted for the competition was evaluated by a qualified jury. The winning students received commemorative prizes from UNDP. All participants received relevant certificates.
- In September and October 2010, Director of the Legal Aid Service, Mr. Irakli Kobidze, participated in the project of student information on the criminal justice reform implemented by the Ministry of Justice, the European Union, and the United Nations Association. Within the framework of the project, Mr. Kobidze gave four lectures to students from Tbilisi, Kutaisi, Akhaltsikhe, Gori, and Gardabani on the issue of free legal aid. He expounded the reform of the state-sponsored legal aid system, the organizational structure of the Legal Aid Service, the mandate of the LAS, the features of the work of public attorneys, as well as the priorities of the Service in terms of further development.



- **2010 წლის აპრილსა და მაისში** – იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, ირაკლი კობიძე, შეხვდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილია ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტის, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებს და გააცნო საკონფერენციო ნაშრომების კონკურსის პირობები, რომელიც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის გამოცხადდა.
- **2010 წლის ივნისში** – საქართველოს რვა უნივერსიტეტის ოცამდე სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო სტუდენტური ნაშრომების კონკურსში: „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახური“. კონკურსი გაეროს განვითარების პროგრამისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა. მისი მიზანი იყო წაეხალისებინა მომავალი იურისტების მსჯელობა საქართველოში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და დაცვის უფლების შესახებ და გაეცნო მათთვის საქართველოში უკვე არსებული იურიდიული დახმარების სამსახურის პრაქტიკა. კონკურსი დასრულდა შემაჯამებელი კონფერენციით, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებმა საერთაშორისო სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა მიმოიხილეს და საკუთარი რეკომენდაციებიც შეიმუშავეს. კონკურსზე წარდგენილი ნაშრომები შეაფასა კვალიფიციურმა ჟიურიმ. გამარჯვებულმა სტუდენტებმა გაეროს განვითარების პროგრამისგან (UNDP) სამახსოვრო პრიზები მიიღეს. მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.
- **2010 წლის სექტმებერსა და ოქტომბერში** – იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, ირაკლი კობიძემ, მონაწილეობა მიიღო სისხლის სამართლის რეფორმის შესახებ სტუდენტთა ინფორმირების პროექტში, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო, ევროკავშირი და გაეროს ასოციაცია ახორციელებდნენ. პროექტის ფარგლებში ირაკლი კობიძემ უფასო იურიდიული დახმარების თემაზე ოთხი ლექცია გამართა თბილისის, ქუთაისის, ახალციხის, გორისა და გარდაბნის სტუდენტებისათვის. მან ვრცლად ისაუბრა სახელმწიფოს ხარჯზე არსებული სამართლებრივი დახმარების სისტემის რეფორმაზე, იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, სამსახურის მანდატსა და საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის თავისებურებებზე, ასევე სამსახურის შემდგომი განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებზე.



**ანზორ ხატიაშვილი**

**თსუ მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტი, გაეროს განვითარების პროგრამისა და იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თემაზე ორგანიზებული კონკურსის გამარჯვებული, პირველი ადგილის მფლობელი:**

**Anzor Khatiashvili**

**TSU first-year LLM student, first place winner of the essay competition on the topic of Access to Justice, organized by the UNDP and the Legal Aid Service**

„კონკურსი მიზნად ისახავდა იურიდიული დახმარების სამსახურის პოპულარიზაციას. აქედან გამომდინარე, სურვილი მქონდა, თვითონ მიმეღო უფრო მეტი ცოდნა ამ მიმართულებით და, სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ გავიმარჯვებდი. მუშაობის პროცესში მართლაც ძალიან დიდი ცოდნა მივიღე. თემაში მიმოვიხილე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა საერთშორისო სტანდარტების და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ასევე ვიმსჯელე იმაზე, თუ როგორია დაცვის უფლება საკონსტუტიციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ამასთან, გავაანალიზე იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობა. ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია. ამ კონკურსმა დიდი გამოცდილება და ცოდნაც მომცა, მით უმეტეს, რომ მომავალში საადვოკატო საქმიანობას ვაპირებ. სხვათა შორის, ეს ცოდნა უკვე დამეხმარა, რადგან ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩავაბარე და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიც გამომადგება“. – *ანზორ ხატიაშვილი*

“The competition aimed at the popularization of the Legal Aid Service. Consequently, I wanted to gain more knowledge in this respect, and honestly, I didn’t believe I was going to win. During the working process, I truly gained a great amount of knowledge. In my essay, I reviewed access to justice in accordance with international standards and decisions of the European Court. In addition, I discussed the right to defense according to the decisions of the Constitutional Court, and analyzed the work of the Legal Aid Service. This victory is very significant. I gained great experience and knowledge through the contest, especially considering the fact that I plan to pursue a career in law. By the way, the knowledge that I’ve received has already helped me pass the Bar examination, and I’m sure that it will continue to be useful to me in the future.” – *Anzor Khatiashvili*



**ნინო ხაჭაპურიძე**

**თსუ მაგისტრატურის პირველი კურსი, გაეროს განვითარების პროგრამისა და იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თემაზე ორგანიზებული კონკურსის გამარჯვებული, მეორე ადგილის მფლობელი**

**Nino Khachapuridze**

**TSU first-year LLM student, second place winner of the essay competition on the topic of Access to Justice, organized by the UNDP and the Legal Aid Service**

„ჩემს თემაში ძირითადად მიმოხილული იყო დაცვის უფლების მახასიათებლები, მისი ძირითადი გამოვილინება და შეზღუდვის შესაძლებლობა, მაშინ, როდესაც ეს შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლების დარღვევად. ვფიქრობ, ეს კონფერენცია მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ ხელი შემიწყო გავცნობოდი უფრო მეტ ლიტერატურას ამ კონკრეტული მიმართულებით. უნივერსიტეტში, მართალია, გვასწავლიან ამ საგნებს, მაგრამ დაცვის უფლებასთან დაკავშირებით უფრო მეტი შევიძინე და, ვფიქრობ, მომავალში დაცვის უფლების პრაქტიკაში განხორციელებისას ძალიან დამეხმარება. ამ კანონების ცოდნით შევძლებ ვიმოქმედო ისე, რომ არ დაირღვეს პირის უფლებები და არც ისე, რომ ჩემი დაცვის უფლებით სახელმწიფოს მიადგეს ზიანი“. – *ნინო ხაჭაპურიძე*

"My essay mainly reviewed the features of the defense system, its general manifestation, and limitation possibilities in cases where this can be considered a violation of human rights. I believe that this conference was also significant since it encouraged me to become familiar with more literature on this particular topic. Although these subjects are taught at the university, I gained a considerable amount of knowledge with regards to the defense system, which, I believe, will assist me in the application of the right to defense in practice in the future. The knowledge of this legislation will enable me to act in a manner that will not violate a person's rights, and so that my right to defense will not cause harm to the State." – *Nino Khachapuridze*



### სოფიკო ოდილავაძე

**თსუ-ის მაგისტრატურის პირველი კურსი, გაეროს განვითარების პროგრამისა და იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თემაზე ორგანიზებული კონკურსის გამარჯვებული, მესამე ადგილის მფლობელი**

### Sopiko Odilavadze

**TSU first-year LLM student, third place winner of the essay competition on the topic of Access to Justice, organized by the UNDP and the Legal Aid Service**

„კონკურსი იყო ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი, რადგან ძირითადი უფლებები ყოველთვის იქნება აქტუალური. ჩემს თემაში შევეცადე მიმომეხილა როგორც საქრთველოს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმები, ასევე მქონდა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა და ევროპული კონვეციის და ევროპული პრეცედენტული სამართლის ნორმები. ნამუშევარში ერთ-ერთი ასპექტი იყო იმის დადგენა, რამდენად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ევროპულ კონვეციასა და პრეცედენტულ სამართალს. აგრეთვე წარმოვადგინე ჩემეული ხედვა, როგორია საქართველოს კანონმდებლობა იურიდიული დახმარების სამსახურთან დაკავშირებით. გამოვხატე აზრი, თუ როგორ შეიძლება დაიხვეწოს და რა ცვლილებები იქნება უფრო უკეთესი დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელებისთვის“. – *სოფიკო ოდილავაძე*

"The competition was very interesting and significant, since fundamental rights will always be relevant. In my essay, I attempted to review the pertinent norms of the Constitution of Georgia, the practice of the Constitutional Court, the ECHR, and the European case law. One of the aspects of the work was to determine whether Georgian legislation and the practice of the Constitutional Court comply with the European Convention and case law. In addition, I presented my vision with regards to Georgian legislation pertinent to the Legal Aid Service. I also expressed my opinion on how it can be elaborated and what beneficial changes can be made to ensure a more effective implementation of the right to defense." – *Sopiko Odilavadze*

# საერთაშორისო კონფერენციები
# INTERNATIONAL CONFERENCES

2010 წელი იურიდიული დახმარების სამსახურისათვის მნიშვნელოვანი იყო იმ საერთაშორისო ღონისძიებებითაც, რომლებიც სისხლის სამართლის სისტემაში მიმდინარე რეფორმებს ეძღვნებოდა.

- **2010 წლის მაისში** – ევროკავშირის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში თბილისში გამართულ კონფერენციაზე, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, ირაკლი კობიძემ, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს 2009-2010 წლებში უფასო იურიდიული დახმარების სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგები გააცნო. საქმიანობის შედეგებზე საუბრისას ირაკლი კობიძემ ყურადღება გაამახვილა ისეთ პრიორიტეტულ საკითხებზე, როგორებიცაა უფასო იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. სტუმრებს მიეწოდათ ინფორმაცია განახლებული და ახლადგახსნილი იურიდიული დახმარების ბიუროების, საზოგადოებრივი ადვოკატებისათვის ჩატარებული ტრენინგებისა და სხვა აქტივობების შესახებ.
- **2010 წლის მაისში** – შედგა ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის – პერ ეკლუნდის ვიზიტი იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიუროში, სადაც დიპლომატი საზოგადოებრივი ადვოკატებისა და კონსულტანტების საქმიანობას, ასევე უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს გაეცნო. პერ ეკლუნდმა შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ევროკავშირი კვლავაც განაგრძობს საქართველოს მხარდაჭერას იურიდიული დახმარების სამსახურის, როგორც ძლიერი და საზოგადოების ნდობით აღჭურვილი ორგანიზაციის, ჩამოყალიბების პროცესში.
- **2010 წლის სექტემბერში** – თბილისში გამართული ორდღიანი სამუშაო შეხვედრის ფარგლებში „იურიდიული დახმარების რეფორმატორთა ქსელის" (LARN) მონაწილეები უფასო საადვოკატო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით საქართველოში არსებულ მდგომარეობას გაეცნენ. სამსახურის დირექტორმა, ირაკლი კობიძემ, კი საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული საქმიანობის სტანდარტების პრეზენტაცია გამართა.



სტანდარტებზე საუბრისას ირაკლი კობიძემ ყურადღება დოკუმენტის მნიშვნელობაზე, სტრუქტურასა და შემდგომი იმპლემენტაციის საკითხებზე გაამახვილა. მისი განმარტებით, დადგენილი სტანდარტები საზოგადოებრივ ადვოკატთა პრაქტიკული საქმიანობის ეთიკურ მხარეს, დასაცავ პირთან ურთიერთობას, დაცვის სტრატეგიის შემუშავებასა და სამართალწარმოების ეტაპებზე ადვოკატის როლს განსაზღვრავს. აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეუწყობს უფასო საადვოკატო მომსახურების ხარისხის ამაღლებას, რაც იურიდიული დახმარების სამსახურის სტრატეგიული პრიორიტეტია.

თბილისში გამართული იურიდიული დახმარების რეფორმატორთა ქსელის (Legal Aid Reformers' Network, LARN) ორდღიანი სამუშაო შეხვედრა სისხლის სამართლის საქმეებზე დაცვის ხარისხის უზრუნველყოფისა და იურიდიული დახმარების სფეროში პოლიტიკის შემუშავების პროცესში კვლევების მნიშვნელობის საკითხებს მიეძღვნა. ღონისძიება ღია საზოგადოების ინსტიტუტის „სამართლებრივი ინიციატივის" (OSJI), ასევე მოლდოვისა (SFM) და საქართველოს (OSGF) ფონდების ორგანიზებით ჩატარდა. შეხვედრას საქართველოს, ლიტვის, ბულგარეთის, მოლდოვის, უკრაინის, ყირგიზეთისა და მონღოლეთის უფასო იურიდიული დახმარების მიმწოდებელი ორგანიზების წარმომადგენლები დაესწრნენ.

„იურიდიული დახმარების რეფორმატორთა ქსელი" (LARN), ღია საზოგადოების ინსტიტუტის ინიციატივით, გასულ წელს ჩამოყალიბდა. მისი მიზანია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემების რეფორმირება და ამ სფეროში რეგიონული თანამშრომლობის განვითარება. საქართველოს მხრიდან ორგანიზაციის საქმიანობაში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური მონაწილეობს.

- **2010 წლის სექტემბერში** – თბილისში, ევროკავშირის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის თემაზე მორიგი კონფერენცია გაიმართა. იურიდიული დახმა-

2010 was also significant to the Legal Aid Service in terms of those international conferences which were dedicated to the reforms underway in the criminal justice system.

- **In May, 2010**, during a conference organized in Tbilisi within the framework of the EU "Capacity Building in Support of Rule of Law in Georgia" project, Director of the Legal Aid Service, Mr. Irakli Kobidze, informed the representatives of the civil society on the reforms conducted in the field of free legal aid during the period of 2009-2010. In his speech about the results of the activities, Mr. Kobidze emphasized priority issues such as increased access to free legal aid, provision of high-quality service, and increasing public awareness of the Legal Aid Service. The attendees were provided with information on the improved and newly opened Legal Aid Bureaus, the trainings conducted by the public lawyers, and other activities.
- In May 2010, the head of the EU Delegation in Georgia, Mr. Per Eklund, visited the Ajara Legal Aid Bureau. During his visit, the diplomat was introduced to the activities of the public attorneys and consultants, as well as the ongoing reforms in the free legal aid system. During the meetings, Mr. Eklund once again reiterated that the EU continues to provide support to Georgia in the development of the Legal Aid Service into an organization equipped with a high level of public trust.
- **In September 2010**, during a two-day workshop held in Tbilisi, the members of the Legal Aid Reformers' Network (LARN) were acquainted with the situation existing in Georgia about the provision of the quality

რების სამსახურის დირექტორმა, ირაკლი კობიძემ, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს სამსახურის განვითარების ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა გააცნო. ირაკლი კობიძემ ვრცლად ისაუბრა იურიდიული დახმარების სამსახურის შემდგომი რეფორმირების პრიორიტეტულ მიმართულებებზე. ყურადღება გამახვილდა იმ სამუშაოზეც, რომელიც სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კანონმდებლობისა და პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული სიახლეების შესაბამისად საზოგადოებრივი ადვოკატების გადამზადებისათვის განხორციელდა.

- **2010 წლის დეკემბერში** – იურიდიული დახმარების სამსახურმა საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა. კონფერენციის თემა იყო „ადვოკატის როლი სამართლებრივ სახელმწიფოში“. ღონისძიებას სახელმწიფო, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე საზოგადოებრივი ადვოკატები დაესწრნენ. კონფერენცია ევროკავშირის პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ ორგანიზებით ჩატარდა.

ღონისძიების ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, ირაკლი კობიძემ, 2010 წელს სამსახურის საქმიანობის შედეგები შეაჯამა და წარმატებული თანამშრომლები სიგელებით დააჯილდოვა.

კონფერენციაზე მოხსენებებით წარდგნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე გიორგი შავლიაშვილი და ევროკავშირის პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ ხელმძღვანელი რენატე ვინთერი. გაიმართა დისკუსია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსის თემებზე. მონაწილეებმა ასევე იმსჯელეს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთა სპეციალიზაციის, მათი პროფესიული საქმიანობის სტანდარტებისა და სასწავლო საჭიროებების, ასევე – იურიდიული დახმარების ბიუროების მართვისა და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების საქმიანობის საკითხებზე.

of free legal aid. Director of LAS, Mr. Irakli Kobidze, conducted a presentation of the standards of professional activities of the public lawyers.

With regards to the standards, Mr. Kobidze highlighted the significance of the document, its structure, and the issues of its subsequent implementation. According to him, the established standards determine the ethical aspects of the public attorneys' practice, relations with the defendant, the development of the defense strategy, and the role of counsel during various stages of proceedings. The aforementioned document will contribute to the improvement of the quality of free legal aid, which is a strategic priority of the Legal Aid Service.

The two-day workshop with the participation of the Legal Aid Reformers' Network (LARN) was dedicated to the provision of quality defense in criminal cases, and the significance of research during the policy development process in the field of legal aid. The event was organized by the "Open Society – Justice Initiative" (OSJI) in partnership with the Soros-Foundation Moldova (SFM), and the Open Society – Georgia Foundation (OSGF). The conference was attended by the representatives of free legal aid provider organizations of Georgia, Lithuania, Bulgaria, Moldova, Ukraine, Kyrgyzstan, and Mongolia.

The Legal Aid Reformers' Network (LARN), established last year through the initiative of the Open Society Institute, aims at the reformation of free legal aid systems in post-communist countries and the promotion of regional cooperation in this field. The Legal Aid Service of the Ministry of Corrections and Legal Assistance participates in the organization's activities on Georgia's behalf.



- In September 2010, another conference within the EU "Capacity Building in Support of Rule of Law in Georgia" project on the subject of criminal justice reform was held in Tbilisi. Director of the Legal Aid Service, Mr. Irakli Kobidze, introduced the LAS five-year development plan to international organizations and representatives of civil society. Mr. Kobidze spoke at length about subsequent reform priorities of the Legal Aid Service. Attention was also focused on the work carried out in terms of retraining program of public attorneys in accordance with the updated provisions of the new Criminal Procedure Code on legislation and imprisonment.
- In December 2010, the Legal Aid Service hosted an international conference, themed "Role of the Attorney in a Rule of Law State". The representatives of governmental, non-governmental, donor organizations, and public lawyers attended the event. The conference was implemented within the EU "Capacity Building in Support of Rule of Law in Georgia" project.

In this event, Director of the Legal Aid Service, Mr. Irakli Kobidze, summarized the results of LAS activities undertaken in 2010, and awarded certificates to successful employees.

Supreme Court Justice, Giorgi Shavliashvili, and the head of the EU "Capacity Building in Support of Rule of Law in Georgia" project, Ms Renate Winter, addressed the conference. A discussion was held on Criminal Procedural Legislation, juvenile justice, and the Code of Ethics of the Georgian Bar Association. Participants also discussed the issues of specialization of LAS public lawyers, the standards of their professional activities and training requirements, as well as the management of the Legal Aid Bureaus and activities pertaining to the attorneys listed in the Contracted Public Lawyers' Register.

# დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა
## INDEPENDENCE AND TRANSPARENCY

2010 წლის დეკემბერში – სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა, ხათუნა კალმახელიძემ, იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭო ჩამოაყალიბა. საბჭო წარმოადგენს სახელმწიფოს ხარჯზე არსებული უფასო სამართლებრივი სისტემის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მექანიზმს, რომლის ფუნქციებსაც „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონი განსაზღვრავს.

მონიტორინგის საბჭო არის სამეთვალყურეო ორგანო, რომელიც კომპლექტდება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, პარლამენტის, სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. საბჭო განსაზღვრავს იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ამტკიცებს სამსახურის სტრატეგიას, ახორციელებს მონიტორინგს სამსახურის სტრატეგიის შესრულებაზე; გარდა ამისა, სამსახურის ფუნქციონირების დახვეწის მიზნით, დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს, რომლებსაც განსახილველად მინისტრს წარუდგენს.

In December 2010, Minister of Corrections and Legal Assistance of Georgia, Ms Khatuna Kalmakhelidze established the Monitoring Council of the Legal Aid Service. The Council provides a mechanism to ensure the independence and transparency of the free legal system existing at the expense of the State. The functions of the Council are defined by the Law on Legal Aid.

The Monitoring Council is a supervisory body, staffed by the representatives of the Georgian Bar Association, the Ministry of Corrections and Legal Assistance, the Parliament, and NGOs working in the field of law and human rights. The Council determines the principal directions of the LAS, approves its strategy, implements the monitoring of the fulfillment of the strategy; in addition, in order to improve the operation of the Service, it develops recommendations and suggestions, and submits them to the Minister for consideration.

The members of the Council are the following:

- Mr. Alan Parastaev – Deputy Minister of Corrections and Legal Assistance of Georgia;
- Ms Chiora Taktakishvili – member of the Parliament of Georgia;
- Mr. Zviad Devdariani – representative of the “Civil Development Agency” NGO;
- Mr. Zviad Kordzadze – representative of the Georgian Bar Association;
- Mr. Paata Silagadze – Supreme Court Justice.

The Monitoring Council held its first session in December 2010. Deputy Minister Alan Parastaev was elected as Chairman of the Council. Director of the Legal Aid Service, Mr. Irakli Kobidze, presented the annual report on the activities undertaken by the LAS in 2010. Furthermore, the statute of the Council and the Legal Aid Service strategy for 2011 were approved.

საბჭოს წევრებად დაინიშნენ:

- ბატონი ალან პარასტაევი – სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იური-დიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე,
- ქალბატონი ჩიორა თაქთაქიშვილი – საქართველოს პარლამენტის წევრი,
- ბატონი ზვიად დევდარიანი – არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების სააგენტოს“ წარმომადგენელი,
- ბატონი ზვიად კორძაძე – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმო-მადგენელი,
- ბატონი პაატა სილაგაძე – საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსა-მართლე.



მონიტორინგის საბჭომ პირველი სხდომა 2010 წლის დეკემბერში გამართა. საბ-ჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს მინისტრის მოადგილე, ბატონი ალან პარასტაევი. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, ირაკლი კობიძემ, საბჭოს წარუდგინა ანგარიში 2010 წელს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესა-ხებ. გარდა ამისა, დამტკიცდა საბჭოს დებულება და იურიდიული დახმარების სამსახურის 2011 წლის სტრატეგია.



**ხათუნა კალმახელიძე**
**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი**

**Khatuna Kalmakhelidze**
**Minister of Corrections and Legal Assistance of Georgia**

„იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭოს შექმნა იყო ერთ-ერთი ვალდებულება, რომელიც კანონით სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ეკისრებოდა. მოხარული ვარ, რომ ეს ვალდებულება შევასრულეთ და შევქმენით ამ უმნიშვნელოვანესი სამსახურის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმი. მინდა აღვნიშნო საბჭოს წევრების ენთუზიაზმი, რომლითაც ისინი იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის განხორციელებაში მონაწილეობის მიღების წინადადებას გამოეხმაურნენ. დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანები თავის წვლილს შეიტანენ ამ სამსახურისადმი საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებისა და, ზოგადად, ამ სტრუქტურის დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდის საქმეში.

საინტერესოდ წარიმართა მონიტორინგის საბჭოს პირველი სხდომაც, სადაც კიდევ ერთხელ აღინიშნა ის პროგრესი, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურმა 2010 წელს განიცადა. ჩემთვის სასიხარულო იყო, რომ 2010 წელს საშუალება მომეცა, საქართველოს მთავრობის სახელით, იურიდიული დახმარების სამსახურის ახალი ოფისების ამოქმედება სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონების მოსახლეობისათვის მიმელოცა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური უმცირესობებისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობის სამართლებრივი დაცვის გასაძლიერებლად, რასაც ჩვენი სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს.

მინდა წარმატებები ვუსურვო იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭოს. დარწმუნებული ვარ, საბჭოს მეშვეობით სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინიტრო შეძლებს ბევრი სასიკეთო გადაწყვეტილების მიღებას იურიდიული დახმარების სამსახურის შემდგომი განვითარების მიმართულებით“. – *ხათუნა კალმახელიძე*

"The creation of the Monitoring Council of the Legal Aid Service was one of the obligations imposed on the Ministry of Corrections and Legal Assistance of Georgia by law. I am happy to note that we have honored this obligation and established an effective mechanism to ensure the transparency of this significant service. I would also like to emphasize the enthusiasm of the members of the Council, with which they responded to the request to participate in the implementation of the monitoring of the LAS. I am certain that these individuals will contribute to strengthening public confidence in this service, and, in general, to the increase of the degree of independence of this structure.

The first session of the Monitoring Council was quite interesting. During the session, the progress achieved by the Legal Aid Service in 2010 was reiterated. I was glad that in 2010, I had an opportunity to congratulate, on behalf of the government of Georgia, the population of the Samtskhe-Javakheti and Shida-Kartli regions on the initiation of new local offices of the Legal Aid Service. This was a very significant step towards strengthening the legal protection of ethnic minorities and IDPs from occupied territories, which our Ministry will continue in the future.

I would like to wish success to the Monitoring Council of the Legal Aid Service. I am confident that with the assistance of the Council, the Ministry of Corrections and Legal Assistance of Georgia will be able to make numerous beneficial decisions towards further development of the Legal Aid Service." – *Khatuna Kalmakhelidze*



**ზვიად დევდარიანი**
**არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების სააგენტოს“ წარმომადგენელი, იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭოს წევრი**

**Zviad Devdariani**
**representative of the “Civil Development Agency” NGO, member of the Monitoring Council of the Legal Aid Service**

„როდესაც მოსახლეობაში სამართლებრივი განვითარება სუსტია, სახელმწიფოს როლი კიდევ უფრო იზრდება. იგი ვალდებულია უზრუნველყოს მოქალაქის სამართლებრივი დაცვის გარკვეული ინსტრუმენტების ჩამოყალიბება. ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობა მნიშვნელოვანია და იგი ძალიან კარგ შედეგს იძლევა. ეს სამსახური ეხმარება მოქალაქეთა სამართლებრივი ინტერესების მაღალი დონით დაცვას, რაც, ყველაფერთან ერთად, საზოგადოების განვითარებას ძალიან წაადგება.

რადგან იურიდიული დახმარების სამსახურის კანონმდებლობაში ჩაიწერა, რომ საჭიროა არსებობდეს სამსახურის მონიტორინგის საბჭო, ეს მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს სამსახური და მისი ეფექტური მონიტორინგი. მხოლოდ საბჭოს შექმნა არ ნიშნავს იმას, რომ იგი ეფექტური იქნება. გარდა ანგარიშის მოსმენისა, საბჭო იქნება სამსახურის დამხმარე რგოლი. ჩვენ კონსულტაცია უნდა გავუწიოთ ამ სამსახურს, რომ თავისი საქმიანობა უკეთესად განახორციელოს. მე პირადად, ამ ნაწილში უფრო ვხედავ საბჭოს მნიშვნელოვან ფუნქციას“. – *ზვიად დევდარიანი*

“When legal development among the population is weak, the role of the State increases further. The government is responsible for the establishment of certain instruments of legal protection for the citizen. In this regard, the activities of public lawyers are very significant and yield positive results. The LAS provides a high level of legal protection of citizens’ interests, which, among other things, greatly benefits the development of society.

The necessity for the establishment of Monitoring Council, stipulated in the legislation of the Legal Aid Service, indicates that this Service and its effective monitoring mechanism are very significant. However, the establishment of the Council alone does not guarantee its effectiveness. Besides hearing the report, the Council will serve as a supporting unit to the LAS. We will provide consultation to the Service in order to implement its activities better. I personally see this part as one of the more important functions of the Council” – *Zviad Devdariani*

## დაფინანსება 2010 წელს (სულ 2,601,900 ლარი)
## FUNDING IN 2010 (GEL 2,601,900 IN ALL)




საბიუჯეტო ასიგნებები
BUDGETARY ALLOCATIONS

გრანტები
GRANTS

## 2010 წელს გაწეული ხარჯები (სულ 2,559,900 ლარი)
## EXPENDITURES FOR 2010 (GEL 2,559,900 IN ALL)




შრომის ანაზღაურება
REMUNERATION

ოფისის ხარჯები
OFFICE EXPENCES

ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი
TRANSPORTATION MAINTENANCE COSTS

სხვა ხარჯები
OTHER EXPENCES

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება
FREELANCERS' REMUNERATION

მივლინებები
BUSINESS TRIPS

სხვა საქონელი და მომსახურება
OTHER GOODS AND SERVICES

არაფინანსური აქტივების ზრდა
INCREASE OF NON-FINANCIAL ASSETS

# პარტნიორები
# PARTNERS

human dynamics
public sector consulting

ABA CEELI
Promoting the Rule of Law

unicef

UNDP
Georgia

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
TRAINING CENTER OF JUSTICE OF GEORGIA

Deutsche Stiftung Für Internationale Rechtliche Zusammenarbeit e.v.

NORLAG

## იურიდიული დახმარების სამსახური (ცენტრალური ოფისი)
## LEGAL AID SERVICE (Central Office)

რუსთაველის №30, თბილისი 0146, საქართველო
#3 Rustaveli Ave., Tbilisi 0146, Georgia
ტელ/Tel: +995 (32) 92 00 55; 98 84 93; 93 20 90
ფაქსი/Fax: +995(32) 98 84 93
ელ-ფოსტა/E-mail: info@legalaid.ge

### თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო
### TBILISI LEGAL AID BUREAU

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №140ა, მე-3 სართ (შესასვლელი პასტერის ქუჩიდან)
Tbilisi, #140a David Aghmashenebeli Ave., 3rd floor (entrance from Paster Street)
ტელ/Tel: 8(32) 954474/75; 8(95) 364410

### კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
### KAKHETI LEGAL AID BUREAU

თელავი, ერეკლე II გამზ. №8
Telavi, #8 Erekle II Ave.
ტელ/Tel: 8(350) 7 15 38; 8(95) 90 17 07

### მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო
### MTSKHETA-MTIANETI LEGAL AID BUREAU

მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ. №51
Mtskheta, #51 David Aghmashenebeli Street
ტელ/Tel: 8(32) 51 38 73; 8(95) 90 17 05

### ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
### KVEMO KARTLI LEGAL AID BUREAU

რუსთავი, ბათუმის ქ. №17
Rustavi, #17 Batumi Street
ტელ/Tel: 8(341) 14 14 25; 8(95) 90 17 06

### შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
### SHIDA KARTLI LEGAL AID BUREAU

გორი, სამეფოს ქ. №54
Gori, #54 Samepo Street
ტელ/Tel: 8(370) 7 95 56; 8(95) 90 17 04

### სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
### SAMTSKHE-JAVAKHETI LEGAL AID BUREAU

ახალციხე, თაბუკაშვილის ქ. №17
Akhaltsikhe, #17 Tabukashvili Street
ტელ/Tel: 8(91) 11 55 71

### იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო
### IMERETI-ZESTAPONI LEGAL AID BUREAU

ზესტაფონი, აკაკი წერეთლის ქ. №11
Zestaponi, #11 Akaki Tsereteli Street
ტელ/Tel: 8(492) 4 02 50; 8(95) 36 44 41

### იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო
### IMERETI-KUTAISI LEGAL AID BUREAU

ქუთაისი, სადგურის მოედანი №3
Kutaisi, #3 Station Square
ტელ/Tel: 8(431) 5 34 11; 8(95) 90 17 00

### სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო
### SAMEGRELO-ZUGDIDI LEGAL AID BUREAU

ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. №24
Zugdidi, #24 Merab Kostava Street
ტელ/Tel: 8(415) 5 34 72; 8(95) 90 17 02

### სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო
### SAMEGRELO-POTI LEGAL AID BUREAU

ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №37
Poti, #37 David Aghmashenebeli Street
ტელ/Tel: 8(493) 4 33 32; 8(95) 90 17 03

### აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო
### AJARA LEGAL AID BUREAU

ბათუმი, აკაკი წერეთლის შესახვევი №6
Batumi, #6 Akaki Tsereteli Lane
ტელ/Tel: 8(422) 3 17 99; 8 (95) 90 17 01

### ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი
### OZURGETI CONSULTATION CENTER

ოზურგეთი, მერაბ კოსტავას ქ. №1, მე-3 სარ.
Ozurgeti, #1 Merab Kostava Street, 3rd floor
ტელ/Tel: 8(496) 7 38 24; 8(95) 30 88 50

### ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი
### AMBROLAURI CONSULTATION CENTER

ამბროლაური, დავით აღმაშენებლის ქ. №24
Ambrolauri, #24 David Aghmashenebeli Street
ტელ/Tel: 8(95) 30 88 47

### ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი
### AKHALKALAKI CONSULTATION CENTER

ახალქალაქი, თამარ მეფის №44
Akhalkalaki, #44 Tamar Mepe Street
ტელ/Tel: 8(91) 99 65 97

www.legalaid.ge